პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

# კომუნისტი

საქარ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დაწესებულებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ [illegible] „[illegible]“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: წონპარელის სტრიქონი—20 კ., [illegible]—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. [illegible] დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

კვირა, 4 ოქტომბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 228 (1383)

დღევანდელი ნომრის შინაარსი

დღიური

— გერმანიის დელეგატები გაემგზავრნენ საგარანტიო კონფერენციაზე
— საფრანგეთისა და ამერიკის შორის [illegible] დაიდო დროებითი შეთანხმება.
— კანტონისა და შანხაიელ გენერლების ჯარებს შორის ბრძოლა სწარმოებს.
— ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „კომუნისტი“
## გრძელდება ხელისმოწერა
## ოქტომბრისათვის

ჟურნალ

## „მეცნიერება და ტექნიკა“-ს
მორიგი ნომერი გამოვა 15 ოქტომბერს

15 ოქტომბერს შესდგება
საქარ. კომპარტიის ცენტრალურ
კომიტეტის პლენუმი
საოლქო და სამაზრო კომიტეტების მდივნების
თანადასწრებით.
ცეკას ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
ს. კ. პ. ც. კ—ტის მდივანი მიხ. კახიანი.

# ხანმოკლე ზეიმი

ოციოდე დღის წინათ, როცა სკარბოროში მიმდინარეობდა ინგლისის პროფკავშირთა ყრილობა, მემარცხენე ფრთის ხელმძღვანელ ამხ. პერსელმა თავის რეზოლიუციაში გადაჭრით მოითხოვა: სასტიკი პროტესტი იმპერიალიზმის კოლონიალურ პოლიტიკის წინააღმდეგ, მუშათა მოძრაობის მხარის დაჭერა ინგლისის იმპერიის ყველა ნაწილებში და დამორჩილებულ ერთვნებათა თვითგამორკვევა იმპერიისაგან სრულ გამოყოფამდე.

ასეთი მოთხოვნილებით შემკრთალმა ცნობილ რეფორმისტმა, რკინისგზელთა პროფკავშირების ხელმძღვანელ ტომასმა საპასუხო სიტყვაში დაცინვით ბოდიში მოსადა რეზოლიუციის ავტორს და სხვათა შორის განაცხადა, რომ „პერსელმა არ იცოდა რაზე ლაპარაკობდაო“. მიუხედავათ ამისა ყრილობამ სამ მილიონ ოთხმოცი ათასი ხმით სამოცდა ცხრამეტი ათასი ხმის წინააღმდეგ მხარი დაუჭირა მემარცხენე ფრთის რეზოლიუციას.

ამის შემდეგ, მას შემდეგ, რაც სკარბოროში აშკარად გაიმარჯვა მუშათა კლასის მთლიანობის იდეამ და მძლავრად გაისმა იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ხმა, ინგლისის მთელი ანტირევოლიუციური ხროვა ერთხმად აყაყანდა გამოფხიზლების გზაზე შემდგარ პროლეტარიატის წინააღმდეგ.

ტრედ-იუნიონების ახალ ნაბიჯებში ინგლისის ბურჟუაზიამ „კონსტიტუციისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის“ წინააღმდეგ გალაშქრება დაინახა. მუშათა კლასის მტრებს ვერ მოუნელებიათ, რომ ინგლისის პროფკავშირებმა ძველი ჩვეულების წინააღმდეგ მუშათა კლასის ეკონომიურ უფლებებზე ზრუნვასთან ერთად პოლიტიკური ბრძოლის ამოცანაც დაისახეს მიზნათ და სასტიკი მუქარით მიმართეს „მშობლიურ“ იმპერიალიზმს.

სკარბოროს კონგრესის დასრულების მეორე დღესვე ვაჭრობის მინისტრმა კენლიფ ლისტერმა აღშფოთებით განაცხადა იორკშირში წარმოთქმულ სიტყვაში: „ტრედ-იუნიონებს თავისუფლება მიენიჭათ იმისათვის, რომ შეასრულონ ინდუსტრიალური ფუნქციები, და არა ძირი გამოუთხარონ კონსტიტუციას და დაწესებულებებს“.

ამიტომ იყო, რომ მთელი რეაქციონური ინგლისი მოუთმენლად მოელოდა მუშათა პარტიის ყრილობას ლივერპულში, რომელსაც უნდა ჩაეყურზებია სკარბოროში გავარდნილ ყუმბარის ხმა და დაეშოშმინებია შეშინებული ქვეყნის სულიერ განწყობილებაში.

დღეს, როცა დასრულდა ეს მეორე ყრილობაც, როცა ჩვენ გავეცანით ლივერპულის კონგრესის ყველა რეზოლიუციებს, შეიძლება ითქვას, რომ მიზანი მიღწეულია, ყვითელ სოციალიზმის მოციქულებმა პირნათლად შეასრულეს ბატონის დავალება. თუ პერსელმა, ტომასის სიტყვით, არ იცოდა რას თხოულობდა სკარბოროში, „ბრძენ“ მაკდონალდს და ჰენდერსონს ვერავინ ეტყვის ასეთ საყვედურს. მათ არც სჭიროდათ მაინცა და მაინც იმის ცოდნა, რასაც „იქმოდენ.“ მათი საქმიანობის აზრი და მნიშვნელობა ყველაზე უფრო ლონდონის ბირჟამ დაიფასა, სადაც ლივერპულის კონგრესის შემდეგ შესამჩნევათ აიწია ფასიან ქაღალდების კურსმა.

მაგრამ მიუხედავათ ლივერპულში რეფორმისტების გამარჯვებისა, ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ არც ისე „რიგზეა ყველაფერი“, როგორც ეს მუშათა კლასის მტრებს წარმოუდგენიათ.

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია კონგრესის უკანასკნელ სხდომის ანგარიშები. მიუხედავათ იმისა, რომ ბურჟუაზიის ფალავნები, მაკდონალდ-ჰენდერსონები წელებზე ფეხებს იდგამდენ ბატონის გულის მოსაგებათ, მიუხედავათ იმისა, რომ კონგრესის ძალთა განწყობილება აშკარათ რეფორმისტების სასარგებლო იყო, ყრილობა იძულებული გახდა ხმის უმრავლესობით მიეღო კომუნისტების შესწორება.

ამ შესწორებაში ინგლისის კომპარტია მოითხოვს: ბრძოლას დაუესის გეგმის წინააღმდეგ, გერმანიიდან, ჩინეთიდან და ეგვიპტედან ინგლისის ჯარების გამოყვანას, საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას, საბჭოთა კავშირის სრულ ცნობას, მისთვის სესხის მიცემას და სხვა.

ცხადია, ამ შემთხვევაში ჩვენ მარტო მორიგ დიპლომატიურ ფანდთან არა გვაქვს საქმე, რომლითაც რეფორმიზმის ბელადებს ჩვეულებრივათ სურთ თვალი აუხვიონ ინგლისის პროლეტარიატს. ამასთან ერთად, აქ უთუოდ თავი იჩინა იმ ძლიერმა უკმაყოფილებამ, რომელსაც ადგილი აქვს პროლეტარიატის ფართო ფენებში მუშათა პარტიის საგარეო პოლიტიკის მიმართ. ამ სულისკვეთებას უთუოდ ყრილობაზედაც უნდა ჰქონოდა ადგილი და ის სწორეთ ამ შესწორებაში გამოიხატა.

ამნაირათ ლივერპულის კონგრესის რეფორმისტულ რეზოლიუციებში, რომელიც „იავნანას“ უმღერის ინგლისის პროლეტარიატს და შეთანხმებისაკენ მოუწოდებს მას, კომუნისტურ პარტიის შესწორება რევოლიუციურ მოწოდების მქუხარე ხმათ გაისმის.

ამ ხმამ გაიმარჯვა. მას მხარი დაუჭირა რაფორმისტულ ყრილობის უმრავლესობამაც კი. ეს ჩვენ ბევრ რამეს გვეუბნება. ეს მეტად საგულისხმო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ შორს ვართ, თქმა არ უნდა, იმ აზრისაგან, რომ ამას ახლო მომავალში რაიმე რეალური შედეგი მოჰყვება. ინგლისის ბურჟუაზიას შეუძლია დამშვიდებით იყოს. მაკდონალდებმა ღირსეულათ შეასრულეს მათი დავალება. მუშათა მოძრაობას კიდევ ერთხელ ჩასცეს ზურგში მახვილი ლივერპულის იუდებმა. შემოტევა დროებით მოგერიებულია. „ღამე ნებისა“, შეუძლია უთხრან გამცემლებმა თავის ბატონებს. მაგრამ ხანგრძლივი არ იქნება ეს ტკბილი ძილი. ბრძოლა მხოლოთ დროებითაა გადადებული.

# ინჟენერ-სპეციალისტების მომზადების საკითხი*)

დღეს მთელ კავშირში დიდი მუშაობა სწარმოებს ჩვენი მრეწველობის აღსადგენათ და გასაფართოებლად. ამ მუშაობასთან დაკავშირებით მთელი სიმწვავით ისმება კითხვა წარმოების მომზადებულ და საქმის მცოდნე ხელმძღვანელების შესახებ.

როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენში?—უზრუნველყოფილია თუ არა ჩვენი მრეწველობა ინჟინერ-სპეციებით. ამ საკითხს უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ. მთელ რიგ წარმოებებში, როგორიცაა: საამშენებლო, თამბაქოს, პოლიგრაფიულ შუშის, თიხის, ტყავის დამზადების, ლითონის და სხვა დარგი, ჩვენ საქმის მცოდნე ხალხის დიდ ნაკლებობას განვიცდით, და ეს ნაკლებობა მით უფრო საგრძნობი ხდება, რაც უფრო წინ მივდივართ ჩვენ სამეურნეო აღორძინების გზით,

საქმის მცოდნეთ ინჟენერ-სპეციების სახელის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ პირებს, რომელთაც საკმარისი თეორიულ ცოდნასთან ერთად, მიღებული აქვთ პრაქტიკული სტაჟიც, რომლის საშუალებითაც მათ შეეძლებათ უშუალოდ და სრულიად დამოუკიდებლათ საფუძველი ჩაუყარონ და მომგებიანათ წაიყვანონ ესა თუ ის სამრეწველო საქმე. ჩვენ აქ სრულიადაც არა გვაქვს სახეში ყველაფრის მცოდნე დილეტანტი ინჟენერები. მომავალში რამდენადაც ჩვენი მრეწველობა წინ წაიწევს, იმდენად იგი თანდათან ვიწრო სპეციფიკაციის სახეს მიიღებს, როგორც ამას დღეს ევროპაში აქვს ადგილი, და მაშასადამე მოთხოვნილებაც ვიწრო სპეციალობის მომზადებულ ინჟენრებზე კიდევ უფრო გაიზრდება.

საიდან უნდა ველოდეთ ამ დანაკლისის შევსებას?

რუსეთზე და უცხოეთზე დიდ იმედებს ვერ დავამყარებთ, რადგან ეს ათი წელიწადია ჩვენი ახალგაზრდობა აქვე ასრულებს უმაღლეს განათლებას და საქართველოს გარეთ იშვიათ შემთხვევაში მიემგზავრება.

მაგრამ იქნება ჩვენმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოგვცეს ამ მხრივ საჭირო ძალები?—აქედანაც იმედები ძალიან სათუოა. ჯერ ერთი პოლიტექნიკურ განყოფილებას მარტო მ-3 კურსი აქვს გახსნილი.

მეორე ის, რომ ჩვენი პოლიტექნიკური განყოფილება 1 ნახ.—2 წლამდი ადრე ვერ გამოუშვებს თავის ინჟენრებს. და თუ გამოუშვა, ასეთების ცოდნას და პრაქტიკულ სტაჟს ისეთი მინიმალური სიმძიმე ექნება, რომ მათზე, როგორც მწარმოებელ ინჟენრის გამოყენებაზე, ლაპარაკი 5—10 წლამდი ზედმეტი იქნება. ეს გასაკვირველიც არაა. თუ მხედველობაში მივიღებთ საერთოდ ჩვენი უნივერსიტეტის და კერძოთ პოლიტექნიკურ განყოფილების მატერიალური მდგომარეობას. რასაკვირველია იმ პოლიტექნიკუმს, სადაც ნივთიერი ხელნაკლებობის გამო მასწავლებლები ქველმოქმედებათ უფრო სთვლიან თავის შრომას, ვიდრე ჯამაგირზე სამსახურათ და, სადაც პრაქტიკულ მუშაობისათვის თითქმის არაფერი მოიპოვება, ბევრს ვერაფერს მოვთხოვთ. ამ გვარათ, ჩვენ ერთი კრიზისის ფაქტის წინაშე ვდგევართ. ეს გახლავთ სპეცინჟენერების ძალთა ნაკლებობა, რომელიც ყოველდღიურათ იზრდება.

როგორ უნდა გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან? ჩვენის აზრით ერთად ერთი გამოსავალი შემდეგია:

მთავრობამ ყოველგვარი, დახმარება უნდა აღმოუჩინოს ჩვენი უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ განყოფილებას, რომ იგი ჯეროვანათ მოეწყოს და დაყენებული იქნეს ევროპიულ და კერძოთ გერმანულ სისტემის და პროგრამის მიხედვით. საერთო სტრუქტურა დარგების და განყოფილებების მიხედვით პირველ ხანებში უნდა წარმოადგენდეს ჩემის აზრით ასეთ სურათს: საჭირო იქნება ოთხი დარგი, შემდეგი განყოფილებებით: მექანიკური (მექანიკური და საელექტრო), საამშენებლო (სამოქალაქო-საამშენებლო, ჰიდრავლიკურ-მელიორატიული, საგზაო-საამშენებლო, სახუროთმოძღვრო) სამთო (სამთო-მადნო, მეტალურგიული), ქიმიო-ტექნოლოგიური (საერთო ქიმიური და ტექნოლოგიური).

კურს დამთავრებული ნიჭიერი ახალგაზრდა ინჟენრები უეჭველათ უნდა იგზავნებოდენ ევროპაში, უმთავრესათ გერმანიაში. იქ მათ უნდა დაჰყონ ორ წლამდი და ადგილობრივ გაეცნონ თანამედროვე ტექნიკის მიღწევებს.

სანამ ეს გეგმა გატარდებოდეს და აღნიშნული მოთხოვნილება დაკმაყოფილდეს, ჩვენ იძულებული ვართ გადავიდეთ ვიწრო სპეციების საზღვარ გარეთიდან მოწვევაზე, რომლებიც იმუშავებენ წარმოებებში ჩვენი სპეციალისტების ადმინისტრატიულ ზედამხედველობის ქვეშ. მომავალში ესენი თანდათან შეიცვლებიან ჩვენი ძალებით. ასეთ გეგმის ჩასატარებლათ ჩვენ საჭიროთ ვსთვლით სათანადო კომისიის ანუ კომიტეტის დაარსებას, რომელიც იარსებებს ჩვენ საგეგმო კომისიის სოციალურ კულტურულ სექციასთან სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად.

ეს საკითხი იმდენათ სერიოზულია, რომ იგი ისეთივე შესწავლა-დაგეგმვას მოითხოვს, როგორც სხვა სერიოზული ამოცანები.

ინჟენერი გ. ედიბერიძე.

---

*) საკითხის გარჩევის წესით. რედ.

# მორიგ ამოცანების წინაშე

(საქართველოს წითელი ჯვრის ცეკას პლენუმის გამო)

დღეს პირველათ იკრიბება საქართვ. წით. ჯვრის საზოგადოების პლენუმი. როგორც ვიცით, წითელი ჯვარი საბჭოთა საზოგადოებრივობის ორგანიზაციაა.

ყოველი საბჭოთა ორგანიზაცია მაშინ არის მძლავრი და სიცოცხლის ნიშან-წყალის მატარებელი, როცა იგი თავის საქმიანობაში საზოგადოების ფართო მასებს ეყრდნობა და ამ მასებთან მჭიდრო კავშირს ამყარებს.

წ. ჯ. საზოგადოების საერთო ყრილობამ გაითვალისწინა ეს გარემოება და დაავალა ხელმძღვანელ ორგანოს ასეთი კავშირის განმტკიცება; ამ დარგში წარმოებულმა საქმიანობამ დაგვანახა, რომ წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილებანი ფრიად უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებიან. საზოგადოებრივი თვითმოქმედების მაგივრათ აქ ფეხი აქვს გადგმული უმოქმედობას და უმეტესი ნაწილი ამ განყოფილებებისა ვერ ასრულებენ საზოგადოებრივ მოვალეობას. სამწუხაროთ უნდა ვაღვიაროთ, რომ კომიტეტების უმეტესი ნაწილი ვერ გრძნობენ საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას და საქმიანობას აწარმოებენ სხვათა შორის, ქველმოქმედების მიზნით. ამ გარემოებას უნდა ბოლო მოეღოს; ადგილობრივი ორგანოები უნდა გახდენ საზოგადოებრივ თვითმოქმედ ორგანოებათ და მჭიდროთ დაუკავშირდენ ცენტრს, მაშინ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება შეიქმნება მძლავრ თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციად და ადვილათ შესძლებს თავის მიზნების განხორციელებას. წ. ჯ. საზოგადოების პრეზიდიუმი წარუდგენს პლენუმს თავის მოსაზრებებს იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლათ, და პლენუმმაც თავის მხრივ უნდა გამოიტანოს განსაზღვრული დადგენილება.

მშვიდობიანობის დროს საექიმო-სასანიტარო დარგში საქმიანობა წითელი ჯვრის საზოგადოების ერთ უმთავრეს მიზანს შეადგენს.

ამ დარგში მუშაობის დროს წითელი ჯვრის საზოგადოებამ უნდა მოიხდინოს ის პროფილაქსიური განხრა, რომელიც ტარდება ეხლა მკურნალობაში და რომელიც შეადგენს ახალ სიტყვას საბჭოთა მედიცინისას. არა ავადმყოფის შესწავლა და მისი მკურნალობა, არამედ შესწავლა მთელი მოსახლეობის, მისი ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობების. აი რა უნდა დაისახოს მიზნათ სამკურნალო მედიცინამ, თუ მას სურს ნაყოფიერათ აწარმოოს ბრძოლა სოციალურ და გადამდებ სენთა წინააღმდეგ. საერობო მედიცინამ ასეთი საკითხი წამოაყენა. მაგრამ მისი გადაჭრა მან ვერ შესძლო, ზოგჯერ მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო. საბჭოთა მედიცინამ კი ეს საკითხი არა თუ წამოაყენა, არამედ შეუდგა მის პრაქტიკულათ გადაჭრასაც.

პრეზიდიუმი წარუდგენს პლენუმს თავის მოსაზრებას ამ საკითხის შესახებ და მანაც უნდა დასტური მისცეს ასეთ საქმიანობას.

ბავშვთა დახმარების საქმე მეტად სუსტად არის დაყენებული. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას ამ სფეროში ჯერ არაფერი გაუკეთებია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ დახმარებებს, რომელსაც არა სისტემატიურათ უწევს წითელი ჯვარი სხვადასხვა საბავშვო დაწესებულებებს. წითელ ჯვართა საერთაშორისო კომიტეტი საზოგადოთ და კერძოთ რუსეთის წითელი ჯვარი უკვე აწარმოებენ ბავშვთა დახმარების საქმეს. საქართველოს წითელი ჯვარიც რაც შეიძლება ჩქარა უნდა შეუდგეს ამ საქმეს და აქაც საჭირო იქნება დასტური.

ამ მოკლე ხანში უნდა დამთავრდეს 1923 წ. დაწყებული საქმე წითელი ჯვრების და წითელ ნახევარ მთვარეების ერთის კავშირში გაერთიანებისა. მეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების საზოგადოებებისათვის ასეთ კავშირის დაარსებას. იგი გეგმაშეწონილი ხასიათს მისცემს წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების საქმიანობას, იგი ნივთიერადაც გააძლიერებს ნაციონალურ წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების საზოგადოებებს და საზოგადოებრივათ გააძლიერებს მათ; ახლო მომავალში უნდა დაარსდეს წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების კავშირის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი. პლენუმმა უნდა იქონიოს მსჯელობა ამ საკითხის შესახებ და გამოიტანოს სათანადო დადგენილება.

აპრილში წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების კონფერენციამ გამოიმუშავა კავშირის სათანადო სტატუტი, რომელიც საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ უკვე დამტკიცებულია. ამ სტატუტის ძალით თვითოეულ კავშირის წევრს წითელი ჯვრის და წითელი ნახევარ მთვარისა უფლება ეძლევა იყოლიოს საზღვარგარეთ თავისი წარმომადგენელი. პლენუმმა უნდა იქონიოს მსჯელობა ასეთ წარმომადგენლობის დაარსების შესახებ და აქაც სათანადო დირექტივები მისცეს პრეზიდიუმს.

ასეთია ის მთავარი საკითხები, რომელიც წამოყენებულია ცხოვრების მიერ საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების წინაშე. ჩვენ გვჯერა, რომ პლენუმი საქმის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ, ღირსეულათ გადასწყვეტს ყველა ზემოთ აღნიშნულ საკითხებს.

ვ. კიკალიშვილი.

# ამხ. ჩიჩერინი გერმანიაში

## შტრეზემანისა და ჩიჩერინის თათბირი გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ
## გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება ახლო ხანში იქნება ხელმოწერილი
## ამხ. ჩიჩერინი საგარანტიო ხელშეკრულებისა და ერთა ლიგის წესდების მე-16-ე მუხლის შესახებ

### ჩიჩერინის და შტრეზემანის თათბირი

ბერლინი, 2 ოქტომბერი. 1 ოქტომბერს ჩიჩერინის და შტრეზემანის თათბირი ღამის 2 საათამდე გაგრძელდა.

ფიქრობენ, რომ ჩიჩერინი დარჩება ბერლინში 6 ოქტომბრამდე.

2 ოქტომბერს შტრეზემანმა კვლავ მიიღო ჩიჩერინი. საუბარი გაგრძელდა 1 საათი. საუბრის დროს მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა კავშირის და გერმანიის წინაშე მდგომ პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხების შესახებ.

### ჩიჩერინი ჰინდენბურგთან

ბერლინი, 2 ოქტომბერი. სამშაბათს ელიან ჩიჩერინის შეხვედრას ჰინდენბურგთან.

### გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება

ბერლინი, 2 ოქტ. ცნობას საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მიღწეულ შეთანხმების შესახებ უდიდესი ყურადღებით შეხვდენ გერმანიის და უცხოეთის წრეები. მანამდე კი გავრცელებული იყო ხმები, თითქოს მოსალოდნელია „მეორე რაპალოს ხელშეკრულების“ დადება და ეს მოხდება ლოკარნოს კონფერენციაზე გერმანიის დელეგაციის გამგზავრების წინ.

### ჩიჩერინის განცხადება

ბერლინი, 2 ოქტომბერი. „ბერლინერ ტაგებლატ“-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს ჩიჩერინი ვრცლად შეეხო იმ საშიშროებას, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობაში იმის გამო, რომ ინგლისის მთავრობა მტრულ განწყობილებას იჩენს საბჭოთა კავშირისადმი. როგორც ჩიჩერინმა აღნიშნა, შეიძლება მრავალი დამამტკიცებელი საბუთის მოყვანა იმისი, რომ ინგლისი ანხორციელებს საბჭოთა კავშირის გარემოცვის პოლიტიკას. ინგლისის პოლიტიკა საგარანტიო ხელშეკრულების დადების საკითხში წარმოადგენს ინგლისის ანტისაბჭოთა მოღვაწეობის შემადგენელ ნაწილს. ჩიჩერინმა განაცხადა, რომ ინგლისის გეგმა—გათიშოს გერმანია და საბჭოთა კავშირი ეწინააღმდეგება გერმანიის მთავრობის სურვილებს. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ ამავე დროს იჭრება საკითხი: შესძლებს თუ არა ინგლისი საგარანტიო ხელშეკრულების დადების შემდეგ ჩაითრიოს გერმანია ანტისაბჭოთა პოლიტიკაში?

შეეხო რა ერთა ლიგის წესდების 16—17 მუხლებს, ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ გერმანია 16 მუხლის ძალით ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, როცა ინგლისი საფრანგეთის დახმარებით ძლიერ ზეგავლენას მოახდენს გერმანიაზე, ხოლო მეორეს მხრივ მას შეუძლია გამოვიდეს გერმანიის დამცველათ საფრანგეთის წინაშე.

შემდეგ ჩიჩერინი შეეხო მომავალ სავაჭრო ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის და აღნიშნა, რომ ის ხედავს [illegible] დაიცავს რაპალოს ხელშეკრულება. ის გარემოება, რომ შეთანხმება—ფაქტია, მოასწავებს აშკარა დემონსტრაციას რაპალოს ხელშეკრულების სასარგებლოდ.

### ჩიჩერინი საგარანტიო კონფერენციის შესახებ

ბერლინი, 2 ოქტ. „დეილი ჰერალდ“-ის ბერლინელ კორესპონდენტთან საუბარში, ჩიჩერინმა განაცხადა, რომ ლოკარნოს კონფერენციის წარმოება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა იმაზე, გაუქმდება თუ არა შენიშვნა ერთა ლიგას წესდების 16 მუხლს.

„გერმანია“-ო, სთქვა ჩიჩერინმა, გაებმებოდა საშიშარ მახეში, თუ იგი დათანხმდებოდა ლიგაში შესვლაზე იმ იმედით, რომ მე-16 მუხლი გაუქმებული იქნება მომავალში“.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, მართალია თუ არა ცნობა იმის შესახებ, რომ მუსოლინი აპირებს საბჭოთა კავშირთან კავშირის დაჭერას, ჩიჩერინმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია ამ ცნობის არც დადასტურება არც უარყოფა. დამოკიდებულება, იტალიასა და საბჭოთა კავშირს შორის ჩიჩერინის სიტყვით, სასურველია და „იგი მომავალში კიდევ უფრო გაუმჯობესდება“.

### ვინ ექიმობს ჩიჩერინს

ბერლინი, 2 ოქტ. ჩიჩერინს გასინჯავს პროფესორი კლემპერერი, რომელიც გამოარკვევს მისი მკურნალობის ადგილს.

### რუმინეთის შიში

ვენა, 2 ოქტომ. ჩიჩერინის ჩასვლამ ვარშავაში დიდი მღელვარება გამოიწვია რუმინეთის მთავრობის წრეებში, რომლებიც შიშობენ, რომ ჩიჩერინის მოგზაურობა ზიანს მიაყენებს პოლონეთ-რუმინეთის კავშირის სიმტკიცეს.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ორგანო „ენდეპანდანს რუმენ“ იმედს გამოსთქვამს, რომ ჩიჩერინის ვარშავაში ჩასვლის მიზანი იყო მშვიდობიანობის საქმის განმტკიცება, რასაც კმაყოფილებით უნდა მიესალმოს რუმინეთი.

### გერმანია თანახმაა ხელი მოაწეროს გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულებას

ბერლინი, 2 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იტყობინება:

„კაბინეტის გუშინდელ სხდომაზე გერმანიის მთავრობამ პრინციპიალური თანხმობა განაცხადა ხელი მოაწეროს გერმანიის და საბჭოთა კომისიების მიერ შემუშავებულ მთელ რიგ ხელშეკრულებებს, რომელთაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ ორთავე სახელმწიფოს ეკონომიურ და უფლებრივ ურთიერთობათა მოსავარებლად: შეთანხმებებს გადასახლებულთა შესახებ, სავაჭრო ნაოსნობას, სარკინიგზო კავშირის, [illegible] შესახებ, შეთანხმება [illegible] დაცვის შესახებ, შეთანხმება საკომერციო არბიტრაჟის შესახებ, საკონსულო კონვენცია, შეთანხმება იურიდიული კონსულტაციის შესახებ და შეთანხმება მემკვიდრეობის უფლების შესახებ.

ამ შეთანხმებათა დადება უსათუოდ დიდ ნაბიჯს წარმოადგენს ამ ორ სახელმწიფოს მეგობრულ ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

შეთანხმება, რომელიც მიღწეულ იქნა იმ რთული მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც უკვე ორ წელზე მეტია გრძელდება, მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ გერმანია პირველი სახელმწიფოა, რომელმაც ყოველმხრივ მოაგვარა თავისი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. მომავა[illegible] ხელი შეუწყონ [illegible]რებას ორივე სახელმწიფოს [illegible] და გააძლიერებს მათ თანამშრომლობას ორივე ქვეყნის მეურნეობის აღდგენის საქმეში.

# ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია

ლივერპული, 2 ოქტ. მუშათა პარტიის კონფერენციის სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლის თანახმად ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს უფლება აქვთ აკრიფონ გადასახადები მამულებზე; რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე, რომ ფინანსთა სამინისტრომ გაადიდოს საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე ადგილობრივ დაწესებულებებისათვის მისაცემათ თანხების რაოდენობა. მიღებულ იქნა აგრეთვე რეზოლიუცია, რომელიც აფართოებს ქალაქის თვითმართველობების უფლებებს იმ მხრივ, რომ მათ უფლება ენიჭებათ იყიდონ და გამოჰყონ სათანადო ფასის გადახდით მიწები და გამოიყენონ ისინი სხვადასხვა საქმიან ოპერაციებისათვის.

კონფერენციამ მიიღო აგრეთვე მთელი რიგი რეზოლიუციებისა, რომელთაც უმნიშვნელო ცვლილებები შეაქვთ კანონში პარლამენტის და ქალაქის თვითმართველობის არჩევნების შესახებ.

მიღებულია რეზოლიუცია სახალხო განათლების რეფორმის შესახებ, რომელმაც უნდა შესძინოს ბავშვებს ისეთი თვისებები და გონებრივი განვითარება, რომელიც აუცილებელია ერთმანეთთან თანამშრომლობაზე დამყარებულ ახალ საზოგადოების მოქალაქეთათვის.

დამარცხებამ, სიდნეი ვებისამ, რომელიც არ იქნა არჩეული აღმასკომის წევრად, სხვადასხვა გვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია კონფერენციის მონაწილეებს შორის. იუწყებიან. რომ მისი „მეტად დიდი ჭკუა“ იჭვს ბადებს პროფესიონალური მოძრაობის მუშაკებში.

### კონფერენციის დახურვა

ლივერპული, 2 ოქტომბერი. კონფერენციის 1 ოქტომბრის სხდომაზე კომუნისტმა კოლაიერმა შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს მუშათა კრებებზე ჯაშუშების გაგზავნის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ მუშათა მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს ამ ჯაშუშობის სისტემის მოსპობა და საიდუმლო პოლიციის არქივების გამოქვეყნება.

გენდერსონმა განაცხადა, რომ ის მიიღებდა ამ რეზოლიუციას როგორც სახელმძღვანელო სურვილს აღმასკომისას, მაგრამ არა როგორც რეზოლიუციას, ვინაიდან ყველა არქივების გამოქვეყნება შეუძლებელია.

რეზოლიუცია მიღებული იქნა როგორც სურვილის გამოთქმა.

მემარცხენე ფრთის ზემოდ ჩამოთვლილ რეზოლიუციების მიღების გამო, კონფერენციის ბევრი მონაწილე, რომლებიც ყოფილან დელეგატებათ რამდენიმეჯერ წინანდელ კონფერენციებზე, აღნიშნავს, რომ ეხლა მემარცხენე ფრთა უფრო ძლიერია.

არჩეულ იქნა მუშათა პარტიის ახალი აღმასკომი. წინანდელ შემადგენლობასთან შედარებით ცვლილება უმნიშვნელოა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ახალ შემადგენლობაში არ შევიდა კუკი, რომელმაც უარი სთქვა არჩევაზე.

ლივერპული, 2 ოქტომბერი. მუშათა პარტიის ერთ-ერთმა ადგილობრივმა განყოფილებამ წარუდგინა კონფერენციას განსახილველად რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა, რომ მუშებს დახმარება გაეწიათ მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ორგანო „სანდეი უორკერ“-ისათვის.

მაკ კინდერმა, პარლამენტის წევრმა, განაცხადა, რომ ერთ-ერთი წერილი, მოთავსებული „სანდეი უორკერ“-ში, ბრალად სდებდა მაკდონალდს კერძო მოლაპარაკების წარმოებას ცანკოვთან. კინდერმა განაცხადა, რომ ეს ბრალდება მოკლებულია სიმართლეს.

გაზეთისათვის დახმარების გაწევის საკითხს უყარეს კენჭი, რომლის დროს დახმარებას მიემხრო 1,143,000 კაცი, წინააღმდეგ წავიდა 2,036,000 კაცი.

კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია პოლიტის გატაცების შესახებ მოითხოვს შეცვლილი იქნეს კანონი ნაფიც მსაჯულთა შესახებ იმ მხრივ, რომ მუშებს დაეთმოთ ადგილების სათანადო რაოდენობა ნაფიც მსაჯულთა კოლეგიაში.

ლანსბერიმ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ მან უარი სთქვა მუშათა პარტიის აღმასკომის თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობის მიღებაზე, რადგან მას სურს დაიტოვოს კრიტიკის თავისუფლება.

აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია რობერტ ვილიამსი, თავმჯდომარის ამხანაგად—რობერტსი.

კონფერენცია დაიხურა.

## გოლდუინის სოციალისტებმა შეასრულეს დავალება

### „პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 3 ოქტ. „პრავდა“ ასეთი სათაურით ათავსებს მოწინავეს, რომელშიაც სწერს:

„კონგრესი ლივერპულში დაიხურა. ბატონი მაკდონალდი და მისი თანამებრძოლები ყოველნაირად ცდილობენ, რომ თავი არ შეერცხვინათ ინგლისის ბურჟუაზიის წინაშე; უკანასკნელმა კატეგორიულად და სრულიად გარკვეულად დაავალა მუშათა პარტიის ბელადებს სამაგიეროდ გადაეხადათ სკარბოროს კონგრესისათვის. ბატონმა მაკდონალდებმა ბრწყინვალედ შეასრულეს ეს დავალება. რეფორმისტულმა ლიდერებმა ვერ გაბედეს ვერც ერთი ისეთი რეზოლიუციის მიღება, რომელიც ოდნავ მაინც დაარღვევდა ინგლისის კაპიტალისტების სულიერ სიმშვიდეს.

მუშათა პარტიის ბიუროკრატებს შეუძლიათ იამაყონ იმ დამსახურებით, რომ მათ საკუთარი პარტიის მემარცხენე ელემენტების წინააღმდეგ გაილაშქრეს ბევრად უფრო სასტიკად, ვიდრე ლიბერალურ და კონსერვატიულ პარტიების წარმომადგენლებმა.

ლივერპულის კონგრესი ყველაზე უფრო ხელსაყრელი აღმოჩნდა კაპიტალიზმისათვის. მან ჰპოვა გამოხმაურება კაპიტალისტურ წრეებში და ბირჟაზე, რომელმაც მნიშვნელოვნად ასწია ფასიანი ქაღალდის კურსი. სამაგიეროდ ძალიან საეჭვოა, რომ ასეთივე გამოხმაურება მოეპოვებოდეს ლივერპულში მიღებულ რეზოლიუციებს მუშათა უბნებში.

ტომასი, მაკდონალდი, სნოუდენი და კომპანია შეეცდებიან აცნობონ მთელ მსოფლიოს, რომ მათ შესძლეს ეკლებიანი ღობის გავლება ინგლისის პროლეტარიატის ისტორიულ გზაზე. მაგრამ ისინი, ბოლოს და ბოლოს სასტიკად დამარცხდებიან. მარცხნივ მიმავალ მდინარეს ისინი მარჯვნივ ვერ წაიყვანენ. ლივერპულის ზღუდეს დაანგრევს მუშათა მასების მოწოლა“.

# საბჭოთა კავშირი და პოლონეთი

## ამხ. ჩიჩერინი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ვარშავა, 2 ოქტომბერი. ვარშავაში ყოფნის დროს ჩიჩერინმა პოლონეთის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა შემდეგი:

„ჩემმა გამოვლა ვარშავაში გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მე მივდივარ სამკურნალოთ ცენტრალურ ევროპაში,—სახელდობრ სად დავრჩები, ჯერ კიდევ არ მაქვს გადაწყვეტილი. მაგრამ ვარშავაში გამოვლისას, მე მოხარული დავრჩი, რომ მომეცა აქ გაჩერების საშუალება, რათა პოლონეთის პოლიტიკის ხელმძღვანელებთან უშუალო მოლაპარაკების გზით ხელი შევუწყო არსებულ გაუგებრობათა აღმოფხვრას ჩვენს ურთიერთობაში და შევქმნა რამდენიმე მტკიცე დასაყრდენი პუნქტი მომავალ დიპლომატიურ მოლაპარაკებისათვის ჩვენი სახელმწიფოების დასაახლოვებლად.

ჩვენი ურთიერთობა გასული წლების განმავლობაში წარმოადგენს თანდათანობით ევოლიუციას, მიმართულს ყველა ჩვენს გამთიშველ ელემენტების აღმოფხვრისა და ჩვენი სახელმწიფოების უფრო მეტად დაახლოვებისაკენ. ეს მეტად მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფაქტია.

როგორც ჩვენს მთავრობას ესმის დაახლოვების ეს პროგრამა, ის არ ატარებს ვინმეს წინააღმდეგ მიმართულ აგრესიულობის ხასიათს. რამდენადაც ჩვენს შორის წამოჭრილი კონფლიქტები დიდ გავლენას ახდენდა მთელი ევროპის მდგომარეობაზე, იმდენადვე ჩვენმა დახლოვებამ უდიდესი გავლენა უნდა მოახდინოს საერთაშორისო ძალთა განწყობილებაზე და ურთიერთობაზე.

დაახლოვება გულისხმობს მთელ რიგ პრაქტიკულ კონკრეტიულ საკითხების გადაჭრას ჩვენს შორის. ასეთ საკითხებათ უნდა ჩავთვალოთ მთელი სესია რიგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე საკითხები და აგრეთვე უამრავი ეკონომიური ხასიათის საკითხები.

ჩვენი ეხლანდელი დიდი დაკვეთები პოლონეთში წარმოადგენენ მხოლოდ დასაწყისს ეკონომიური ურთიერთობისას, რომელიც მხოლოდ მაშინ განვითარდება სავსებით, როცა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის დაიდება სავაჭრო ხელშეკრულება. სავაჭრო ხელშეკრულებასთან დაკავშირებულია სხვა საკითხებიც, მაგალითად, ტრანზიტის საკითხი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს დაინტერესებულ ქვეყნების ეკონომიკაზე. ამ უდიდეს ამოცანებს ემატება მთელი რიგი უფრო ნაკლები მნიშვნელობის მქონე ამოცანები“.

# საგარანტიო კონფერენცია

## გერმანიის დელეგაცია მიემგზავრება ლოკარნოში

ბერლინი, 2 ოქტ. ალბად, დღეს საღამოს გერმანიის დელეგაცია გაემგზავრება ლოკარნოში კონფერენციაზე საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

## ბრიანი გაემგზავრა ლოკარნოში

პარიჟი, 2 ოქტომბერი. საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ბრიანი გაემგზავრა ლოკარნოში.

## გერმანიის მთავრობა ომისათვის პასუხისმგებლობის შესახებ

**ბერლინი**, 2 ოქტომბერი. ვოლფის სააგენტო იტყობინება: „ავტორიტეტულ წყაროებიდან გადმოგვცემენ, რომ გერმანიის მთავრობის თვალსაზრისი ომისათვის პასუხისმგებლობის საკითხის შესახებ ასეთია:

როცა საფრანგეთის, ინგლისის, ბელგიის და იტალიის პასუხი გერმანიის მემორანდუმზე ზოგიერთმა წრეებმა გაიგეს, როგორც მთავრობის დამარცხება, ეს აიხსნება მხოლოდ იმ მიზნის სრული უცოდინარობით, რომელსაც ისახავდა გერმანიის მთავრობა თავისი გამოსვლით.

მთავრობის წრეებში არავინ არ ელოდა სასურველ პასუხს მოკავშირეებისაგან მემორანდუმზე და, სწორედ წინააღმდეგ ამისა, მთავრობისათვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი იყო იმის ნათლად გამოხატვა, რომ გერმანიის ხალხი არ სცნობს თავს ომისათვის პასუხისმგებლათ, რომ გერმანიის ხალხი როგორც საგარეო, ისე შინაურ პოლიტიკის სფეროში თავის თავს სცნობს სხვა სახელმწიფოებთან თანასწორად და მოითხოვს ისეთსავე ანგარიშის გაწევას მისთვის, როგორსაც უწევენ სხვებს. გერმანიის მთავრობის ეს ნაბიჯი გადადგმული იყო ეხლა აგრეთვე იმიტომ, რომ მოკავშირეები საგარანტიო ხელშეკრულების იდეას უკავშირებენ ერთა ლიგის იდეას, ხოლო გერმანიის შესვლა ერთა ლიგაში შეუძლებელი იქნება, თუ ეს გაიგეს ისე, თითქოს გერმანიამ უსიტყვოდ სცნო თავისი პასუხისმგებლობა ომისათვის.

მაშასადამე, მიზანი, რომელსაც ისახავდა მთავრობა მიღწეულია და მას ვერ შესცვლის მოკავშირეების ვერავითარი პასუხი.

თავისთავად ცხადია, რომ გერმანიის მთავრობა, მომავალშიაც დაიცავს ამ თვალსაზრისს, რომ მისთვის მიუღებელია პოლიტიკური აქტი, რომელიც გაგებული იქნება ისე, თითქოს გერმანიის ხალხმა სცნო თავისი მძიმე მორალური პასუხისმგებლობა. როგორც ერთა ლიგაში შესვლის შემთხვევაში, ისე იმ შემთხვევაშიაც, თუ ეს არ მოხდება,—ეს თვალსაზრისი უშუალოდ ეცნობება ყველა სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას და რომელთაც ეს განცხადება არ გადასცემიათ“.

# ჩინეთის ამბები

## ფინ-იუ-სიანის განკარგულება

პეკინი, 2 ოქტომ. ფინ-იუი-სიანმა წინადადება მისცა მის ხელქვეით სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლებს პოპულიარული ენით დასწერონ სუნ-იატ-სენის მოძღვრების მთავარი პრინციპები, რომელიც მან გამოაცხადა „ჩინეთის რესპუბლიკის მთავარ პრინციპებად“.

## პოლიტიკურ პროპაგანდისტების კურსები

**პეკინი**, 2 ოქტ. კალგონში დაარსდა სპეციალური 6 თვიანი კურსები პოლიტიკურ პროპაგანდისტების მოსამზადებლად. კურსებზე გადიან სუნ-იატ-სენის მოძღვრებას.

## სამხედრო ოპერაციები

პეკინი, 2 ოქტომ. გუან-დუნის პროვინციაში სწარმოებს ახალი სამხედრო ოპერაციები. ბრძოლა სწარმოებს კანტონის აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და დასავლეთით. ყველაზე უფრო სერიოზული ბრძოლა ვითარდება აღმოსავლეთით, სადაც ჩენ-ცზიუნ-მინის არმია ცდილობს ხელთ იგდოს ქალაქი შეკლუნგი. გააფთრებული ბრძოლაა აგრეთვე შან-ტო-ცაის რაიონში. ცნობები ორივე ფრონტის მდგომარეობის შესახებ ერთი-მეორეს ეწინააღმდეგება. ზოგიერთი გაზეთების მტკიცებით, გომინდანის ჯარები უკან იხევენ, პრესის მეორე ნაწილი ირწმუნება, რომ ჩენ-ცზიუნ-მინის გენერლები სასტიკად დაამარცხეს.

**სამხედრო ოპერაციები დასავლეთით მიმდინარეობს კანტონის ჯარების სასარგებლოდ, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი ტაიში, მოწინააღმ-**

## ახალი ნოტა

ლონდონი, 2 ოქტ. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ სახელმწიფოებმა ახალი ნოტა გაუგზავნეს ჩინეთს. ნოტაში ნათქვამია, რომ სამხედრო ღონისძიებანი, რომელსაც მიმართეს სახელმწიფოებმა შანხაის ამბების გამო 30 მაისს, უკვე უარყოფილია; მეზღვაურთა რაზმები გადაყვანილია გემებზე. და ბოლოს აღნიშნულია, რომ სახელმწიფოები მზად არიან განიხილონ საკითხი შერეულ სასამართლოების გადაცემის შესახებ ჩინეთის დაწესებულებების განკარგულებაში.

# საფრანგეთი და ამერიკა

**ვაშინგტონი**, 2 ოქტომბერი. საფრანგეთის დელეგაციამ, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებდა ამერიკასთან საფრანგეთის ვალების საკითხის მოსაგვარებლად, დასდო დროებითი შეთანხმება, რომლის ძალით საფრანგეთი ვალდებულია იხადოს 5 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ორმოც-ორმოცი მილიონი დოლარი.

3 ოქტომბერს კაიო ბრუნდება საფრანგეთში.

## საფრანგეთის ფინანსთა სამინისტროს თაგირი

**პარიჟი**, 2 ოქტომბერი. საფრანგეთის ფინანსთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა საფრანგეთ-ამერიკის მოლაპარაკების შესახებ საფრანგეთის ვალების საკითხის მოსაწესრიგებლად. ცნობაში ნათქვამია, რომ საფრანგეთი სცნობს თავის ვალს, მაგრამ ვალის რაოდენობა მცირდება. საფრანგეთი აცხადებს, რომ ის შეასრულებს თავის ვალდებულებებს მისი გადახდის უნარიანობის ნიადაგზე გამოანგარიშებულ გადასახადების მიხედვით, მაგრამ ეწინააღმდეგება გარეშე კონტროლს.

# ფაშისტური ტერორი

## ბესარაბიელ გლეხების „გასამართლება“

**ვენა**, 2 ოქტომ. ბესარაბიელ აჯანყებულ გლეხთა პროცესზე კიშინიოვში დამთავრდა დაკითხვა ბრალდებულებისა ტატარბუნარიდან. დაიწყო იმ ბრალდებულთა დაკითხვა, რომლებიც არიან ნერუშაიდან და ჩაშმაიდან.

ტატარბუნარელმა ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ ჩვენები წინასწარ გამოძიებაზე მათმიაცემინეს ძალით ტერორის და წვალების გზით, რის გამო ისინი უარჰყოფენ წინანდელ ჩვენებებს.

## კომუნისტების დაპატიმრება რუმინეთში

**ვენა**, 2 ოქტ. რუმინეთში გრძელდება კომუნისტების დაპატიმრება.

## უნგრეთის პოლიცია თავს იმართლებს

**ვენა**, 2 ოქტომ. იმ საპროტესტო კომპანიის ზეგავლენით, რომელიც გაჩაღდა უცხოეთში ბუდაპეშტში დაპატიმრებულ კომუნისტების ცემის გამო, უნგრეთის მთავრობა და ბუდაპეშტის პოლიცია ცდილობენ თავი იმართლონ და ირწმუნებიან, რომ დაპატიმრებულებს კარგად ეპყრობოდნენ. გაზეთები იტყობინებიან, რომ უნგრეთის პოლიცია განზრახული აქვს გადასცეს საგამოძიებო მასალები უცხოეთის პოლიციო დაწესებულებებს, რათა გაეცნონ მათ კომუნისტების ორგანიზაციული მუშაობა.

# საბერძნეთში

## დამფუძნებელი კრების დათხოვნა

**ათინა**, 2 ოქტომ. გამოქვეყნდა რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტი, რომლითაც ძალაში შედის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საბერძნეთის დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ. დეკრეტში ნათქვამია, რომ ახალი არჩევნების ვადა დანიშნული იქნება შემდეგი დეკრეტით, კანონში გათვალისწინებულ ვადის მიხედვით. ახალ პარლამენტს უფლება ეძლევა 15 დღის განმავლობაში გადასინჯოს ახალი კონსტიტუცია, შეცვლილი და მიღებული მინისტრთა საბჭოს მიერ.

ხალხის მიმართ გამოცემულ მოწოდებაში, რომელსაც თან ახლავს მთავრობის დეკრეტი დამფუძნებელი კრების დათხოვნის შესახებ, ნათქვამია, რომ მე-4-ე საკანონმდებლო კრებამ უკვე დიდი ხანია დაჰკარგა ერის ნდობა.

# წყალდიდობა იაპონიაში

**ტოკიო**. 2 ოქტ. იაპონიაში დიდი წყალდიდობაა, დამხრჩვალთა რიცხვი დიდია.

# ტროცკის წერილი

## ტროცკი მონატას და როსმერის ორგანო „პროლეტარული რევოლიუცია“-ს შესახებ

**პარიჟი**. 2 ოქტ. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის შეკითხვის გამო ტროცკიმ დაახასიათა მონატას და როსმე- [illegible] ვოლიუცია“.

ტროცკი იგონებს მონატას და როსმერის რევოლიუციონურ წარსულს და აცხადებს, რომ ის რომ დასწრებოდა კომინტერნის მეხუთე კონგრესის სხდომას, როცა ირჩეოდა ზემოდ დასახელებულ ამხანაგების გამორიცხვის საკითხი, ხმას მისცემდა და ვა მორიცხვის წინააღმდეგ, მაგრამ, გაეცნო რა უკანასკნელ დროს მათი ორგანოს მიმართულებას, ის ფიქრობს, რომ კიდეც, რომელიც აღებული აქვს ამ ორგანოს, საგ- [illegible] მათი გამორიცხვის შესახებ.

ტროცკი კატეგორიულად უარყოფს მისი პოზიციის დაცვას აღნიშნულ ჟურნალის მიერ. „მონატამ და როსმერმა დაუყოვნებლივ უნდა შესწყვიტონ თავისი ორგანოს გამოცემა,—აცხადებს ტროცკი,—და მიმართონ კომინტერნის აღმასკომს თხოვნით გადასინჯული იქნეს მათი საქმეები“.

# წითელ რესპუბლიკებში

## რუსეთი

### საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს განმარტება.

**მოსკოვი**. 3 ოქტ. საკავშირო ცენტრალურმა პროფსაბჭომ განმარტა, რომ პროფკავშირების იმ წევრს, რომელსაც იჯარით აქვს აღებული სახლი თავისი საჭიროებისათვის, არ შეუძლია იყოს პროფკავშირის წევრათ, რადგან ასეთი პირი შედის არამშრომელთა კატეგორიაში.

### იაპონია-საბჭოთა კავშირის სარკინისგზო კონფერენცია.

მოსკოვი, 3 ოქტ. 6 ოქტომბერს მოსკოვში მოელიან იაპონიის დელეგაციას იაპონია-საბჭოთა კავშირის სარკინისგზო კონფერენციაზე დასასწრებლათ. კონფერენცია გაიხსნება 12 ოქტომბერს.

### რკინისგზების 100 წლის იუბილე.

მოსკოვი, 3 ოქტ. გზათა სახ. კომისარიატის კოლეგიამ გამოჰყო სპეციალური კომისია რკინისგზების 100 წლის იუბილეს ჩასატარებლათ.

# მეორე საგლეხო მომგებიანი სესხი

მოსკოვი, 3 ოქტომ. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს ადმინისტრატიულ-საფინანსო კომისიის თავმჯდომარის ლეპლევსკის მოხსენება მეორე საგლეხო მომგებიან სესხის გამოშვების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი სესხი გამოშვებული იქნება ორი წლის ვადით 1925 წლის 1 ნოემბრიდან 1927 წლის 1 ნოემბრამდე. ეს სესხი გათამაშებული იქნება ოთხჯერ. სესხი გათამაშებული იქნება ცალკე სერიებათ ათ-ათი მილიონი თვითეულ სერიაში. ობლიგაციებში იქნება 4, 10 და 50 მანეთიანი. სესხის საერთო ჯამი 100 მილიონ მანეთს არ უნდა აღემატებოდეს.

# დახმარებისა და პენსიების ნორმების გადიდება

მოსკოვი, 3 ოქტ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება დახმარებისა და პენსიების ნორმების გადიდების შესახებ.

დახმარების ნორმა პირველი კატეგორიის ინვალიდებისთვის გადიდებული იქნება საშუალო ხელფასის ორ-მესამედამდე, ამასთანავე გადიდებული იქნება პენსიების ნორმა სხვა ჯგუფების ინვალიდებისათვის. უდიდდებათ დახმარების რაოდენობა [illegible] მელს—20 პროც.-ით, ორის შემნახველს—35 პროც.-ით, სამის და მეტის—50 პროც.-ით. გაუქმებული იქნება დღიური დახმარება 5 მანეთამდე იმ პირთათვის, რომელთა ხელფასი ამ ნორმაზე მეტია, მაგრამ დახმარების რაოდენობა 360 მანეთს არ უნდა აღემატებოდეს თვიურად.

დადგენილება ძალაში შედის 1 ოქტომბრიდან.

# ჩვენი აღმშენებლობის პერსპექტივები

## სამთო ქიმიური მრეწველობა

ს. მ. უ. საბჭოს სამთო-ქიმიური კომბინატი 1925—26 სამეურნეო წლისათვის ფიქრობს დაამზადოს „შრომის“ ქარხანაში 800.000 ცალი ცეცხლგამძლე აგური და 60.000 ფუთი ასეთივე თვისების თიხა.

მთელი დამზადებული აგურის 70 პროცენტი გასაღებული იქნება ა.-კ. რკინის გზებზე, 50 პროცენტი ადგილობრივ ბაზარზე და 25 პროცენტი ბაქოს ბაზარზე. ცეცხლის გამძლე თიხა კი გასაღდება ა.-კ. რკ. გზებზე (85 პროც.) და ადგილ. ბაზარზე (15 პროც.).

საერთო შემოსავალი „შრომის“ ქარხნიდან აღნიშნულ წელს გამოანგარიშებულია—160.000 მანეთის რაოდენობით.

### გლაუბერის მარილი

გლაუბერის მარილის დამზადებას კომბინატი აწარმოებს მუხროვანის ქარხანაში. მიმდინარე წელს განზრახულია 60.000 ფუთი კრისტალური მარილის დამზადება.

გლაუბერის მარილით ადგილობრივ მხოლოდ ბორჯომის შუშის ქარხანა სარგებლობს. ამ ქარხნის წლიური მოთხოვნილება გლაუბერის მარილზე გამოიხატება სწორედ—60.000 ფუთში.

### ბარიტი, შაბიამანი და სურიკი

წელს, კომბინატის საწარმოო გეგმაში განზრახულია დამზადება **500.000 ფუთი ბარიტისა**, რომელთაგან 200.000 ფუთი უნდა დამზადდეს გლეხების არტელების საშუალებით და 300.000 ფ. კი სამეურნეო წესით.

ბაზრის მოთხოვნილების თანახმად ბარიტის ეს რაოდენობა დანაწილებული იქნება სამ ხარისხათ. აღნიშნულ რაოდენობაზე უკვე ხელშეკრულება დადებულია სხვადასხვა ორგანიზაციებთან და იგი მთლიანად იქნება გასაღებული.

მიმდინარე საოპერაციო წელს, საიჯარო წესით განზრახულია დამზადება—**80.000 ფუთი შაბიამნისა**, რომელიც გასაღდება „აჭარპრომტორგი“-ს ქიმიური ქარხნის საშუალებით, რომელთანაც დადებულია სათანადო ხელშეკრულება.

ამავე წელს უნდა დამზადდეს—**20.000 ფუთი რკინის სურინჯი**, ესეც საიჯარო წესით. ამ რაოდენობასაც „აჭარპრომტორგი“-ს ქიმიუ- [illegible]

საერთო წლიური შემოსავალი, ჩამოთვლილ სამ მადანის დამზადებიდან იქნება—**410.000 მანეთი**.

### ტყავის მრეწველობა

მიმდინარე 1925—26 წელს ტყავის ტრესტის ორ ტყავის ქარხანაში განზრახულია დამზადება 45.000 მსხვილი ტყავისა და 40.000 წვრილის.

ფეხსაცმელების ფაბრიკამ ამ წელს უნდა დაამზადოს 26.000 წყვილი მძიმე ფეხსაცმელი, 110.000 წყვილი —მსუბუქი და 14.000 წყვილი ნაბდის. კერძოდ ნაბდის ფაბრიკა დაამზადებს—6.100 ფუთამდე სხვადასხვა გვარ ნაბდეულს.

დაბახანაში განზრახულია დამზადება 6 ათასი მსხვილი ტყავისა და ამდენივე წვრილის.

დაწყებულია და მიმდინარე წელს გატარებული იქნება ფეხსაცმლის ფაბრიკაში წარმოების სრული მექანიზაცია, ტყავის ქარხანას კი გაუკეთდება კაპიტალური რემონტი.

### ზეთის, საპნის და საფეიქრო მრეწველობა

ზეთის, საპნის და საფეიქრო ტრესტის ზეთის 2 ქარხანას წელს განზრახული აქვს დაამზადოს: 67.500 ფ. გაწმენდილი ბამბის ზეთი, 9.640 ფ. მისი ნალექი, 232,594 ფუთი კოპტონი, 48.250 ფ. ნარჩენი და 7.125 ფ. მოკლე ბამბა (ლინტერი), რისთვისაც იგი გადაამუშავებს—475.000 ფუთ ბამბის თესლს.

ამავე ქარხნების **საპნის განყოფილებაში დამზადდება**—3.840 ფუთი საპონი. და **საგლიცერინო განყოფილებაში**: ცხიმოვანი სიმჟავენი—42.596 ფ. და ტეხნიკური გლიცერინი—3.704 ფ.

**ტრესტის 2 საპნის ქარხანაში** დამზადდება: 73.700 ფუთი მარმარილოს საპონი, 82.500 ფუთი საპონი, პირის საბან საპნების მოსამზადებლად.

**ბამბის სართავი ფაბრიკა დაამზადებს**, სხვადასხვა ნართს—8,826 ფუთის რაოდენობით.

**ბამბის ფაბრიკა** კი დაამზადებს, ქაღალდის ბამბას სხვადასხვა ნორმისა, საერთოდ—12.600 ფუთს და მატყლის ბამბას, ორ ნომერს—900 ფუთს. ფაბრიკის ჰიგროსკოპიული განყოფილება დაამზადებს—40.800 კილოგრამ ჰიგრ. ბამბას.

**ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში** წელს, განზრახულია დამზადება: 75.000 მეტრი უბრალო მაუდის, ამავე რაოდენობის მეორე ხარისხის მაუდის და 56.780 მეტრი ნაზი მაუდის.

### ტყის მრეწველობა

სატყეო ტრესტს, 1925—26 წლისათვის განზრახული აქვს მრეწველობის შესამჩნევათ გაფართოება [illegible] მზადებელი ოპერაციებისა: ბალდათის, სვანეთის და კახეთის რაიონებში. განზრახულია აგრეთვე ახალი რაიონების შექმნა, ხე-ტყის დასამზადებლად: ახალციხის და რაჭის მაზრებში და ახალი ქარხნების აგება.

საწარმოო პროგრამის მიხედვით 1925—26 წელს განზრახულია დამზადება: 1.500.000 კუბ. ფუტი დასახერხ მასალისა, 80.000 ცალი მორისა, 260.000 ცალი შპალის, 28.000 ცალი სამაღაროო დაზგისა, 14.000 ფ. მოხის ქერქისა, 30.000 ცალი წიფლის [illegible], 20.000 კუბ. საჟენი [illegible], 17.000 ფ. ნახშირისა 170.000 კუბ. ფუტი მეირქვას ხეების მასალისა.

წელსავე განზრახულია აგება სამი ახალი ქარხნისა: მცხეთაში, ბორჯომში და ფოთში; დამთავრდება მარელისის გრეხილ ავეჯეულების ფაბრიკის აგება და ტკეჩის დასამზადებელი ქარხნის აგება ბორჯომში.

განზრახულია აგრეთვე ტფილისში არსებულ ავეჯეულობის ფაბრიკის გაფართოება და მე-3 ქარხანაში ორთქლის ქვაბის გამოცვლა.

ეხლა მუშავდება გეგმა: ფანერის პარკეტის, ხის მშრალად გამოხდის და სხვა ქარხნის ასაგებად.

ტრესტის ნაწარმოების გასაღება უზრუნველყოფილია.

### ლითონის მრეწველობა

მიმდინარე სამეურნეო წელს ლითონის ტრესტს განზრახული აქვს 4.550 ცალი სხვადასხვაგვარ გუთნების და სხვა სასოფლო-სამ. იარაღების, 3.550 საწონის, 24.000 თუჯის ქვაბის და ტაფის და ლითონის სხვა ნაწარმოების დამზადება.

გაზრახულია ჩათახის ქარხნის ორთქლით მუშაობაზე გადაყვანა.

წითელი სპილენძის გატკეცის ნორმა უკვე აყვანილ იქნა სათანადო დონემდე და მასზე მოთხოვნილებაც გაიზარდა.

ტრესტის ყველა ქარხნები წელს სავსებით უზრუნველყოფილნი იქნებიან ნედლი მასალით.

### სპირტის მრეწველობა

მიმდინარე სამეურნეო წელს „სახელმწიფო სპირტ“-ს განზრახვა აქვს გამოხადოს 4 მილიონი გრადუსი სპირტი ჰირნახულიდან, რისთვისაც გომის ქარხანას ეხლა უკეთდება კაპიტალური რემონტი. სპირტის ამ რაოდენობის დასამზადებლად საჭიროა—80.000 ფ. სიმინდი და 10.000 ფ. ქერი. წარსულ წელთან შედარებით წარმოება გაიზრდება წელს—20 პროცენტით.

ყოფ. სარაჯიშვილის ქარხანაში, სადაც იწმინდება ჭაჭის სპირტი, კეთდება კონიაკი, არაყი და ლიკიორები. წელს განზრახულია გადამუშავება 2 მილიონი გრადუსი ჭაჭის არაყისა, 600.000 გრადუსი კო- [illegible] 20.000 [illegible] ლიკიორის ჩამოსხმა.

წელსავე „სახსპირტი“ ფიქრობს ააგოს ორი კონიაკის ქარხანა, რომლის ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შეტანილია საკავშირო ბიუჯეტში.

განზრახულია დამზადება—60.000 ვედრო ლუდისა, რომლის ფასი შემცირებული იქნება 15—20 პროცენტით.

# საბჭოთა წყობილება და ნოე ჟორდანია

## VI

## პროლეტარიატის დიქტატურა და ნ. ჟორდანიას „დემოკრატია“

სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში ვკითხულობთ: «Необходимое условие этой социальной революции составляет диктатура пролетариата, т. е. завоевание пролетариатом такой политической власти, которая позволит ему подавить всякое сопротивление эксплоататоров». (ხაზი ჩვენია. კ. ო.)

სცნობს თუ არა ნოე ჟორდანია პროლეტარიატის დიქტატურას, რომლის შესახებ ლაპარაკობს სოციალ-დემოკრატიული პროგრამა? ეს საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ მასზე შეჩერება აუცილებლად საჭიროა.

მაგრამ სანამ შევჩერდებოდეთ ნ. ჟორდანიას შეხედულებაზე ამ საკითხში, საჭიროა მოვიგონოთ მარქსის და ენგელსის აზრი პროლეტარიატის დიქტატურაზე.

თავის ცნობილ „გოტას პროგრამის კრიტიკაში“ მარქსი სწერს შემდეგს: «Между капиталистическим и коммун. обществом лежит период революционного переустройства одного в другое. Этому соответствует и в политике переходный период, во время которого не может быть иного государства, кроме революционной диктатуры пролетариата». *)

მარქსის აზრით **პროლეტარიატის დიქტატურა აუცილებლობას წარმოადგენს გარდამავალი ხანისათვის**. დიქტატურის საშუალებით მუშათა კლასი საბოლოოდ ამოაგდებს ბურჟუაზიის ძლიერებას და ამით ნიადაგს მოუმზადებს უკლასო, კომუნისტური საზოგადოების შექმნას.

რა არის პროლეტარიატის დიქტატურა? პროლეტარიატის დიქტატურა არის სახელმწიფო გამარჯვებული მუშათა კლასისა, რომელიც უკავშირდება გლეხკაცობის და საზოგადოების სხვა მშრომელ ელემენტებს. სახელმწიფო კი იარაღია გაბატონებული კლასის ხელში მოპირდაპირე კლასის ბატონობის დასათრგუნავად.

ბურჟუაზიული სახელმწიფო სჩაგრავს მუშათა კლასს და ცდილობს არსებულ რეჟიმის შენახვა-განმტკიცებას. პროლეტარული სახელმწიფო მოასწავებს გაბატონებული ბურჟუაზიული კლასის დამხობას და ახალი წყობილების განმტკიცებას.

ნ. ჟორდანია ამას თითქოს არ უარყოფს. ის ამბობს: „...ჩვენ, მარქსისტებმა, ვიცით, რომ **სახელმწიფო საზოგადოების კლასებათ დაყოფის ნიადაგზე აღმოცენდა და ის არის პოლიტიკური ორგანიზაცია გაბატონებული კლასებისა. ასეთია სახელმწიფოს ბუნება**“. *) (ხაზი ჩვენია. კ. ო.).

ეს უეჭველად მარქსისტული აზრია. გავყვეთ ქვევით.

როგორ უყურებდა მარქსი და ენგელსი ბურჟუაზიულ სახელმწიფოს საერთოდ და დემოკრატიას კერძოდ? ენგელსი თავის წინასიტყვაობაში მარქსის „სამოქალაქო ომის საფრანგეთში“ გარკვეულ პასუხს იძლევა ამ საკითხზე. აი ეს ადგილი: «Нередко считают необыкновенно смелым шагом отказ от веры в наследственную монархию и принятие в свою программу демократической республики. В действительности же государство есть не что иное, как орудие угнетения одного класса другим; это относится к демократической республике не менее, чем к монархии». **)

რას გვეუბნება ენგელსი? იმას, რომ **ბურჟუაზიული სახელმწიფო, განურჩევლად მისი ფორმისა, ერთნაირათ სჩაგრავს მუშათა კლასს**. ასეთია დემოკრატიული რესპუბლიკაც; დემოკრატიული რესპუბლიკის მოთხოვნა ვერაფერი გმირობაა, სწერს ენგელსი იმ წვრილბურჟუაზიული სოციალისტების საყურადღებოთ, რომლებიც დიდ იმედებს ამყარებდენ მასზე.

მარქსის შეხედულებით დემოკრატიული რესპუბლიკა უკანასკნელი ფორმაა ბურჟუაზიული სახელმწიფოსი. ის სასტიკად დასცინის იმ ვულგარულ დემოკრატებს, რომლებიც დემოკრ. რესპუბლიკის დამყარებაში ჰხედავენ უდიდეს მოპოვებას და ამბობს, რომ „**ბურჟუაზიული საზოგადოების ამ უკანასკნელ ფორმაში უნდა მოხდეს უკანასკნელი გარდამწყვეტი ბრძოლა კლასებს შორის**“ *) (ხაზი ავტორისაა), ბურჟუაზიის და პროლეტარიატს შორის.

ერთი სიტყვით, მარქსი და ენგელსი ფანტასტიური წარმოდგენის არ არიან სახელმწიფოს დემოკრატიულ ფორმაზე. რა თქმა უნდა ისინი არ უარყოფდენ ამ ფორმის უპირატესობას მონარქიის და სხვა ფორმების წინაშე, მაგრამ არასოდეს არ ივიწყებდენ, რომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაბატონებულ ძალას წარმოადგენს ბურჟუაზია, რომ იქ კვლავ იჩაგრება და იყვლიფება მუშათა კლასი, რომ იქ კვლავ სწარმოებს ბრძოლა გაბატონებულ და დამონებულ კლასებს შორის.

ყველა ამ ფორმებს ბურჟუაზიული სახელმწიფოსისა მარქსმა დაუპირდაპირა პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა, რასაც ადგილი უნდა ექნეს გარდამავალ პერიოდში. პროლეტარიატის დიქტატურის თეორია აუცილებელი დასკვნაა მარქსის მოძღვრებიდან კლასთა ბრძოლის შესახებ. თუ გწამს კლასთა ბრძოლა, მუშათა კლასის გამარჯვება, მაშინ უნდა გრწამდეს პროლეტარიატის დიქტატურაც, ე. ი. მუშათა კლასის სახელმწიფო.

ეხლა გავანებოთ თავი მარქსს და ენგელსს და გადავიდეთ ნ. ჟორდანიაზე. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ ნ. ჟორდანიას აზრი სახელმწიფოს შესახებ, სადაც ის გარკვევით გვეუბნება, რომ სახელმწიფო კლასებათ დანაწილებულ საზოგადოების შედეგია, რომ **ის იარაღია გაბატონებული კლასის ხელში თავისი არსებობის შესანარჩუნებლათ**.

შერჩა თუ არა ნ. ჟორდანია ამ აზრს ბოლომდის? სდგას თუ არა ის ბოლომდის ამ კლასიურ თვალსაზრისზე?

რომ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ მას უნდა ეცნო პროლეტარიატის დიქტატურაც, უნდა ეცნო პროლეტარული სახელმწიფოს აუცილებლობა.

ნ. ჟორდანიამ სწრაფად მიატოვა კლასიური თვალსაზრისი, უარყო მარქსის შეხედულება ამ საკითხში, უღალატა რევოლიუციონურ სოციალიზმს. აი რას გვეუბნება ის: „კ. მარქსი სცნობს სამ ფორმას რესპუბლიკისას: პარლამენტარულს, დემოკრატიულს და სოციალურს. უკანასკნელი ფორმა რესპუბლიკისა კერძო საკუთრების გარეშე სდგას, ხოლო კაუცკის სიტყვით „**დემოკრატიული რესპუბლიკა—ეს ერთად ერთი პოლიტიკური ფორმაა, რომლის მოთავსება შეიძლება სოციალიზმთან**“, ამიტომ რჩება ორი ფორმა რესპუბლიკისა: პარლამენტარული და დემოკრატიული“ *) (ხაზი ჩვენია კ. ო.).

ნ. ჟორდანია აყენებს მენშევიკებს არჩევანის წინაშე: ან პარლამენტარული, ან დემოკრატიული რესპუბლიკა, სხვა ფორმის ამორჩევა შეუძლებელია, რადგან ყველა ისინი დაწყევლილია კაუცკის მიერ. მენშევიკებმა, რა თქმა უნდა, ამოირჩიეს დემოკრატიული რესპუბლიკა.

როდესაც ოქტომბერში მუშათა კლასის წინაშე დაისვა ასეთი საკითხი, მან უარყო როგორც პარლამენტარული, ისე დემოკრატიული რესპუბლიკა, და ამოირჩია მუშათა რესპუბლიკა, ე. ი. პროლეტარიატის რევოლიუციონური დიქტატურა. ბურჟუაზიული სახელმწიფოს ყველა ფორმებს მან დაუპირდაპირა **საბჭოთა წყობილება**—ფორმა პროლეტარიატის დიქტატურისა.

რუსეთის მუშათა კლასმა საკითხი მარქსისტულათ გადასწყვიტა. მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ ნ. ჟორდანიას, კარგად ჩაუკვირდეთ აქ მოყვანილ ციტატას!

მართლა სცნობდა თუ არა მარქსი რესპუბლიკის სამ ფორმას? არა, უპირველეს ყოვლისა მარქსი სცნობდა ბურჟუაზიულ და პროლეტარულ სახელმწიფოს, ბურჟუაზიის და პროლეტარიატის დიქტატურას და შემდეგ კი არჩევდა თვითეული მათგანის სხვადასხვა ფორმებს.

ჩვენ მოვიყვანეთ მარქსის აზრი პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ. ჩვენ ვიცით, რომ მენშევიკებს სასტიკათ ეჯავრებათ, როდესაც ჩვენ მათ მარქსის ამ აზრზე მივუთითებთ. საკითხი ნათლათ დგას: ან უნდა იცნოთ პროლეტარიატის დიქტატურა, ან და უარყოთ ის. როდესაც მეორე ინტერნაციონალის ბელადი—კაუცკი დადგა ასეთი დილემის წინაშე, მან ამჯობინა პროლეტარიატის დიქტატურის უარყოფა და უარყო კიდეც. მან ეს სიტყვა შესცვალა დემოკრატიულ რესპუბლიკათ.

ნ. ჟორდანია მიგვითითებს სწორედ კაუცკიზე. კაუცკი კი არ სცნობს „სოციალურ“ რესპუბლიკას, არ სცნობს პროლეტარიატის დიქტატურას. და ეს მითითება კაუცკიზე საკმარისია ნოე ჟორდანიასათვის, რომ მანაც უარყოს პროლეტარიატის დიქტატურა და იცნოს მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფორმები.

როდესაც ჯერი მიდგა პრაქტიკაზე, ამა თუ იმ რესპუბლიკის აშენებაზე, ნოე ჟორდანიამ უკუაგდო კლასიური თვალსაზრისი, დაივიწყა ის, რაც სთქვა თავისი წიგნაკის დასაწყისში. ეხლა ის უკვე აღარ ლაპარაკობს კლასიურ ბრძოლაზე, მან უკვე გადაიხადა თავისი ვალი მარქსიზმის წინაშე. ეხლა ნოე ჟორდანია გამოიხვია ახალ სამოსელში და გადასკუპდა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის საკმე. მას დაავიწყდა მარქსი (დაუჯერა ჭკვიან კაუცკის!), დაავიწყდა თავისი საკუთარი აზრი, თავისი საკუთარი პარტიის პროგრამა.

დემოკრატიული რესპუბლიკის გულისათვის ნოე ჟორდანია მზად არის ჯვარს ეცვას. მართალია, ის ხშირათ ეპოტინება მარქსს, მაგრამ მხოლოდ იმისათვის, რომ თავის მკითხველებს თვალები დაუბრმავოს და თავისი რეაქციონური და ანტიპროლეტარული აზრები მარქსისტულათ გაასაღოს.

აბა, მოუსმინეთ, რას ამბობს ის! თავის წიგნაკში „სოც. დემ. და საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაცია“ ნოე ჟორდანია სწერს: „**დემოკრატია—ეს ხალხის პოლიტიკური ბატონობაა**, ეს პოლიტიკური თვითმართველობაა, ე. ი. ისეთი წყობილებაა, რომლის **დროს ხალხმა** უნდა გამოიჩინოს უნარი და ნიჭი, რომ თავისი თავი თვითონ მართოს, ის უნდა იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი.“ (გვ. 10, ხაზი ჩვენია. კ. ო.).

რომელი **ხალხის** პოლიტიკური **ბატონობაა** დემოკრატია? ვის ინტერესებს ემსახურება ის? აი ეს კარდინალური საკითხი ნ. ჟორდანიას განმარტებაში ბურუსში გახვეული რჩება.

დემოკრატია უპირველეს ყოვლისა—**სახელმწიფო ორგანიზაციაა**. ნოე ჟორდანიამ კი იმავე წიგნაკის მე-4-გვერდზე გვითხრა, რომ სახელმწიფო—გაბატონებული კლასების პოლიტიკური ორგანიზაციაა. ჩვენ უფლება გვაქვს მას დაუსვათ ასეთი საკითხი: რომელი გაბატონებული კლასის პოლიტიკური ორგანიზაციაა დემოკრატია? საკითხი იმდენათ ნათელია, რომ მასზე წაკიდულ-მოკიბული პასუხის მიცემა შეუძლებელია.

ნ. ჟორდანიამ დაივიწყა ის, რაც სთქვა თავისი წიგნაკის მე-4-ე გვერდზე და მე-10-გვერდზე სულ სხვა რამეს სწერს. ეხლა კლასები უკვე აღარ არსებობენ; არსებობს მხოლოდ ხალხი, ხალხის ნებისყოფა, ხალხური წყობილება.

სად გაქრენ კლასები? ნუ თუ ვიმყოფებით კომუნისტური წყობილების ხანაში, როდესაც ყველანი თანასწორი არიან და კლასები გამქრალია? აი ამ კითხვებზე ჩვენ ვერ ვპოულობთ პასუხს ნოე ჟორდანიას ნაწერებში.

ეხლა ავიღოთ კონკრეტიული ფაქტები. რუსეთში 1917 წ. ოქტომბერში განხორციელდა პროლეტარიატის დიქტატურა. სულ მალე მის მერვე წლის თავს ვდღესასწაულებთ. რუსეთის მუშათა კლასმა დაანგრია ძველი კლასის ბატონობა, ბურჟუაზიულ სახელმწიფო ორგანიზაცია. მან ჩამოართვა კაპიტალისტებს ფაბრიკა-ქარხნები, მემამულეებს მიწა, ძირფესვიანათ ამოაგდო მათი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერება. კომუნისტური პარტია იდგა და უდგია სათავეში ამ მოძრაობას. მან უარყო ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფორმები (პარლამენტარული, დემოკრატიული და სხვ. რესპუბლიკა) და წამოაყენა ლოზუნგი საბჭოთა წყობილების მშენებლობისა.

ეს არის მარქსის გზა.

საქართველოში თავიდანვე სახელმწიფო ძალა-უფლების სათავეში მოექცენ მენშევიკები. მათ უარყვეს საბჭოთა სისტემა, პროლეტარიატის დიქტატურა და შეუდგენ დემოკრატიული რესპუბლიკის შენებას. მენშევიკებმა ფაქტიურათ ხელუხლებლათ დასტოვეს თავად-აზნაურობა, ფაბრიკა-ქარხნები დაუტოვეს კაპიტალისტებს. გლეხობას და მუშებს კი მოუწოდებდენ მოთმინებისაკენ. არსებული მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები მენშევიკების წყალობით არარაობათ იქცენ. ისინი მოუწოდებდენ მუშებს, რომ მათ უარი ეთქვათ ძალა-უფლებაზე და ის გადაეცა „დემოკრატიული“ ორგანოებისათვის.

აი როგორ მიმართა ნ. ჟორდანიამ რკინისგზელებს ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში 1918 წ. 17 სექტემბერს: „... от имени революции говорю вам, что для ея интересов и для ея закрепления, нет необходимости в том, чтобы в ваших руках находились административные функции. Во имя закрепления революционных завоеваний, во имя утверждения демократическаго строя, они всецело должны быть переданы в руки правительства“ *) (ხაზი ჩვენია კ. ო.).

მაშ ასე, ხელი აიღეთ ძალა-უფლებაზე, გადაეცით ის მთავრობას! აი საითკენ მოუწოდებდა ნ. ჟორდანია რკინისგზელ მუშებს. საბჭოთა სისტემის ნაცვლათ—დემოკრატიული რესპუბლიკა, „ხალხის“ პოლიტიკური ბატონობა—ასეთი იყო ნ. ჟორდანიას სიტყვა, საქართველო გამოცხადდა დემოკრატიულ რესპუბლიკათ.

რომელი კლასისათვის იყო სასარგებლო ეს დემოკრატიული რესპუბლიკა? ვის უმზადებდა ის ნიადაგს?

ამ კითხვაზე ნ. ჟორდანია იძლევა ასეთ პასუხს: „ეჭვი არ არის, რომ ყველა სახელმწიფო ბურჟუაზიული საზოგადოების ფარგლებში, ასე თუ ისე, **ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას ვერას გზით თავს ვერ დააღწევს საქართველოს სახელმწიფო**. ამისათვის თავის დაღწევა—უტოპიაა და ამიტომ ჩვენ ამას სრულიად არ ვცდილობთ“ *) (ხაზი ჩვენია კ. ო.).

ფარდა ჩამოხდილია! ნ. ჟორდანიას „სახალხო“ რესპუბლიკა ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს, ხელს უწყობს მის გაძლიერებას. „საქართველოშიაც ხომ განვითარდება ძლიერი ბურჟუაზია“?—ეკითხება თავის თავს ნ. ჟორდანია. დემოკრატიული რესპუბლიკა საუკეთესო ფორმაა ბურჟუაზიული რესპუბლიკის და ამიტომ, რა თქმა უნდა, საქართველოშიც შესაძლებელი იყო ძლიერი ბურჟუაზიის შექმნა.

ქართველ გლეხების და მუშების ფართე მასსებმა თავის დროზე გაიგეს, რომ ნ. ჟორდანიას სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ემსახურება არა მშრომელებს, არამედ ბურჟუაზიას. სწორედ ამიტომ იყო, რომ ისინი აწყობდენ აჯანყებებს „დემოკრატიული“ რესპუბლიკის წინააღმდეგ და ცდილობდენ მუშათა რევოლიუციონური დიქტატურის, საბჭოთა წყობილების დამყარებას.

ეს მოხდა 1921 წ.

„დემოკრატიული“ რესპუბლიკის ხელმძღვანელები გაიქცენ საზღვარგარეთ. მათ გაყვა ნ. ჟორდანიაც. ისინი დღეს ხელიხელ ჩაკიდებული საფრანგეთის და ინგლისის „დემოკრატიასთან“ მოქმედებენ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ.

ნ. ჟორდანია იდეური ბელადია გაქცეული ემიგრაციის, ის ხელში კალამს ისე არ აიღებს, რომ წყევლა-კრულვა არ გაუგზავნოს ბოლშევიკებს და საბჭოთა მთავრობას. თავის წიგნაკში საბჭოთა წყობილების შესახებ ის შეეცადა თეორეტიულად დაესაბუთებია საბჭოთა სისტემის უვარგისობა.

როგორია ეს თეორეტიული გამოკვლევა? რა არის საბჭოთა წყობილება ნ. ჟორდანიას „მარქსისტული“ შემეცნებით? აი რა: „რუსეთში მოისპო რევოლიუციონური ეკონომიკა, ამით მოისპო თებერვალში მოპოვებული რევოლიუციონური პოლიტიკური წყობილება... **საბჭოთა რუსეთმა აღადგინა ძველ ეკონომიკასთან ერთად ძველი პოლიტიკური და საზოგადოებრივი უუფლებობა. თებერვალში გაიმარჯვეს ინდუსტრიალურ კლასებმა, ევროპიულ საზოგადოებამ, ოქტომბერში გაიმარჯვეს შუათანა კლასებმა აზიურ საზოგადოებამ**“ (გვ. 41, 42, ხაზი ჩვენია. კ. ო.)

ჩვენ უკვე ვიცით ნ. ჟორდანიას აზრი საბჭოთა რუსეთის საწარმოვო ფორმებზე. მისი აზრით იქ არ მოიპოვება არც ერთი ახალი საწარმოვო ფორმა, ყველაფერი ძველია. ჩვენ ვიცით აგრეთვე ნ. ჟორდანიას აზრი გლეხობის და შუათანა კლასების რეაქციონერობის შესახებ. აქედან მას გამოჰყავს ლოღიკური დასკვნა: **საბჭოთა წყობილება, აშენებული რეაქციონური საშუალო კლასების ძველ საწარმოვო ფორმაზე, არის რეაქციონური წყობილება**. აი, ნ. ჟორდანიას მარქსიზმი! აი, მისი თეორეტიული გამოკვლევა!

მოდით და ამის შემდეგ ნუ დაუკრავთ ტაშს ამ გენიალურ გამოკვლევის ავტორს!

თებერვალში გაიმარჯვა ევროპიულ საზოგადოებამ, ოქტომბერში კი—აზიურ საზოგადოებამ, გვეუბნება ნოე ჟორდანია. ვინ არის ეს ევროპიული საზოგადოება, რომლის ოქტომბერში დამარცხებაზე ასე მწარედ სტირის ჩვენი „გენიალური“ მკვლევარი? „რუსეთის გაევროპიელებულა საზოგადოება შეიცავდა ერის ზედაპირს, თავად-აზნაურობას, ბურჟუაზიას და ინტელიგენციას“ (გვ. 46)—სწერს ნოე.

ეხლა კი გასაგებია ყველასათვის, თუ ვის დამარცხებაზე მოსთქვამს ჩვენი ავტორი. ის ვერ შერიგებია დღემდის იმ აზრს, რომ რუსეთში და საქართველოში დამარცხდა „ევროპიული“ საზოგადოება, ე. ი. თავად-აზნაურობა, ბურჟუაზია და ინტელიგენცია; ის ზრუნავს ამ ევროპიული საზოგადოების კვლავ მკვდრეთით აღდგენაზე.

მაშ ასე, ნოე ჟორდანია არ **სცნობს პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ ის სცნობს ბურჟუაზიის და მემამულეების დიქტატურას; ის წყევლა-კრულვას უგზავნის პირველს და ლოცვა-კურთხევას მეორეს. აი, სანამდის მივიდა ყოფილი სოციალისტის, დღევანდელი თეთრგვარდიელის და კონტრ-რევოლიუციონერი ემიგრანტის დაცემა და გათახსირება!**

(დასასრული იქნება)

კ. ორაგველიძე

---

*) იხ. მარქსის—Критика Гот. прогр. Петрогр., 1918 г., გვ. 32.

*) იხ. ნ. ჟორდანიას—სოც. დემ. და საქართველოს სახელმწ. ორგანიზაცია, გვ. 4.

**) იხ. კ. მარქსის—Гражд. война во Франции, Москва, 1918 г., ენგელსის წინასიტყვაობა გვ. 12.

*) იხ. „გოტის პროგრამის კრიტიკა“ გვ. 34.

*) ნ. ჟორდანია—სოც.-დემ. და საქართველოს სახელმ. ორგანიზაცია, გვ. 15.

*) იხ. მისი—За два года, доклады и речи, გვ. 187.

*) იხ. მისი—სოც. დემ. და საქარ. სახელმწ. ორგანიზაცია, გვ. 6.

# პარტიული ცხოვრება

## „წერკუმსის“ კვირეულისათვის

### ს. კ. პ. საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

მიმდინარე წლის ნოემბრის 1-დან ჩატარებული იქნება წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების („წერკუმსის“) კვირეული. კვირეულის მიზანია „წერკუმსის“ მიზნების გაცნობა მშრომელ მასსებისათვის, აგრეთვე ახალი წევრების ჩაწერა „წერკუმსში“. ვიღებთ რა მხედველობაში „წერკუმსის“ მნიშვნელობას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, წინადადებას გაძლევთ კვირეულის ჩატარებაში მიიღოთ აქტიური მონაწილეობა, გაუწიოთ ყოველგვარი დახმარება „წერკუმსის“ ადგილობრივ ორგანიზაციებს.

ს. კ. პ. ცეკას მდივანი: **ქართველიშვილი.**

საავიტ.-საპროპ. განყ. გამგის მოადგილე: **მუშიშვილი.**

## რ. კ. პ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს ფრაქციის მოხსენების გამო *)

11. აღვნიშნავთ რა სამეურნეო წლის მეორე ნახევარში: შრომის ნაყოფიერების ზრდას, ნაწარმოებთა თვითღირებულების დაკლებას, მეტწილ წარმოებებში პროდუქციის გადიდებას და ხელსაყრელ სამეურნეო კონიუნქტურას, რომელიც თანდათან იქმნება,—შესაძლებლად იქნეს ცნობილი სამუშაო ხელფასის ნომინალის მომატება მრეწველობის იმ დარგებში, სადაც გვაქვს სათანადო სამეურნეო მიღწევები.

ამასთან ერთად აუცილებლად იქნეს ცნობილი სამუშაო ხელფასის ისეთი მომატება მრეწველობის უფრო ჩამორჩენილ დარგებში, რომ ამან დააინტერესოს კვალიფიციური მუშა-ხელი მეურნეობის ამ დარგებში და მისცეს სტიმული შრომის ნაყოფიერების მომავალ ზრდას.

12. მომავალი საბიუჯეტო წლიდან აუცილებლად იქნეს ცნობილი რკინისგზელების სამუშაო ხელფასის გადასინჯვა მისი რეალური მომატების მიზნით, დაწესდეს ერთიანი სატარიფო სარტყელი ამიერ-კავკასიის რკინისგზის მთელს ხაზზე, და ამავე დროს შემოღებულ იქნეს პროცენტული მომატება რკინისგზის ნამდვილ მალიარიიან უბნებზე.

13. რადგან ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შემთხვევებს, როცა ნორმების და ნარდი განაკვეთების გადასინჯვასთან დაკავშირებით ხდებოდა სამუშევრების შემცირება, კავშირებმა და სამეურნეო ორგანოებმა ასეთი გადასინჯვა აუცილებლად უნდა მოახდინონ მხოლოდ იმ ვადაში, რომელიც დაწესებულია ხელშეკრულებებით.

14. რადგან ადგილი ჰქონდა მთელ რიგ შემთხვევებს, როცა ხელშეკრულების დადება ხდებოდა თვით მუშების დაუსწრებლად, პროფსაბჭოებმა აუცილებლად გადამჭრელი ბრძოლა უნდა აწარმოონ საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს დირექტივის გადამახინჯების წინააღმდეგ ამ საკითხში და დაავალონ პროფკავშირებს ყველა დასადები ხელშეკრულებები გაარჩიონ მუშების საერთო კრებებზე.

15. ვინაიდან თანდათან იზრდება მუშათა კოოპერაციის მნიშვნელობა მუშათა ბიუჯეტში, და ვითვალისწინებთ რა მის მძიმე მდგომარეობას, აუცილებელია დახმარების გაწევა მისთვის კრედიტების და სესხების მიცემის გზით. პროფკავშირებმა უნდა გააღრმავონ მუშაობა თავისი წევრების კოოპერაციაში ჩასაბმელად და გააძლიერონ მათი აქტივობა კოოპერატიულ აღმშენებლობაში.

16. რესპუბლიკების ცენტრალურმა კომიტეტმა პროფორგანოებთან ერთად უნდა მიიღონ ყოველივე ზომები საწარმოო თათბირების მუშაობის გამოსაცოცხლებლად, მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ ამ თათბირებზე არ შესუსტდეს მუშების მონაწილეობა, აგრეთვე გააძლიერონ პროფკავშირების მონაწილეობა ხელმძღვანელ ეკონომიურ ორგანოებში. საჭიროა გაძლიერებული იქნეს მუშების და მუშა-ქალების წამოყენება ადმინისტრატიულ-სამეურნეო პოსტებზე.

17. იუსტიციის და შრომის სახალხო კომისარიატებმა უნდა მოაწესრიგონ შრომის საკონფლიქტო ორგანოებში და სახალხო სასამართლოებში ყველა იმ საქმეების დაჩქარებით და გულდასმით განხილვა, რომლებიც შეეხებიან მუშებს, უმუშევრებს და მოჯამაგირეებს. პროფკავშირებმა ყურადღება უნდა მიაქციონ იურიდიული კონსულტაციის დაყენებას.

18. უმუშევრობასთან საბრძოლველად საჭიროდ იქნეს ცნობილი კრედიტების გადიდება 25—26 წ. საზოგადოებრივ სამუშაოებისა და შრომის კოლექტივების მოწყობისათვის და მიეცეს მეტი საშუალებები შრომის ბირჟებს უმუშევრებისაგან კვალიფიციურ მუშა-ხელის გადასამზადებლად.

ადგილობრივი მრეწველობის საპერსპექტივო გეგმის მიხედვით, სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, ამიერკავკასიის პროფსაბჭომ, ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატმა და ლენ. კომკავშირმა ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უნდა შეიმუშაონ [illegible] მუშა-ხელის მომზადების საკითხი.

19. მომავალი წლიდან სოციალური დაზღვევის ორგანოები აუცილებლად უნდა შეუდგენ ახალ სანატორიუმების მოწყობას და აგებას და დასასვენებელ სახლების ქსელის გაფართოებას.

20. ვინაიდან წელს დაზღვევის ტარიფი შემცირებული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც დიდია დავალიანება დამზღვევ სალაროებისადმი, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ სამეურნეო ორგანოებმა აუცილებლად გადაიხადონ სავსებით დასაზღვევი გამოსაღები დამზღვევ ორგანოების მიერ დაწესებულ ვადაში.

დაზღვევის ტარიფის შემცირების ან ცალკე წარმოებათა დავალიანების გაუქმების საკითხის გადაჭრა დაევალოს ამიერ-კავკასიის დამზღვევ საბჭოს.

21. მიექცეს პროფკავშირების განსაკუთრებული ყურადღება მუშაობის გაძლიერებას მუშების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების, შრომის დაცვის, საექიმო დახმარების გაძლიერების დარგში, საბინაო კოოპერაციის გაძლიერებას; აგრეთვე აუცილებელია ყურადღება მიექცეს მუშათა სასადილოების და ბავშვთა ბაგების მოწყობას.

22. აღვნიშნავთ რა მუშების, კერძოთ რკინის გზელების, მეტად მძიმე საბინაო პირობებს, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა მთავრობამ და საკრედიტო დაწესებულებებმა დახმარება აღმოუჩინონ საშუალებებით მუშათა საბინაო აღმშენებლობის გაძლიერებას და დაჩქარებას, შექმნილი მძიმე მდგომარეობის აღმოსაფხვრელად. ამავე დროს პროფკავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ და გაუწიონ შეუსუსტებელი კონტროლი ბინების დანაწილებას მუშებს შორის.

23. კავშირებმა ზომები უნდა მიიღონ საკლუბო მუშაობის გასაძლიერებლად, უნდა აქციონ კლუბები მუშათა მასების თვითმოქმედების და პოლიტიკურ-განმანათლებელ ცენტრებად, ჩაატარონ მასიური ნებაყოფლობითი წევრობა კლუბებში და მიიღონ ზომები მუშებისაგან საკლუბო მუშაკების კადრის მოსამზადებლად.

კავშირებმა უნდა გამოიჩინონ უფრო მეტი აქტივობა და გააძლიერონ თავიანთი ხელმძღვანელობა ნებაყოფლობით საზოგადოებების („ავიახიმი“ და სხვ.) მუშაობისადმი.

24. რადგან ყველა ხელშეკრულებაში შემცირებულია პროცენტული ანარიცხი კულტურულ მუშაობისათვის, ხოლო კავშირები კი ატარებენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობას კავშირების წევრებს შორის და პროფტექნიკურ განათლებას, საჭიროა კავშირებს ამ სამუშაოსათვის საჭირო ხარჯების დაფარვაში დაეხმარონ განათლების სახალხო კომისარიატები და მთავპოლიტგანები.

25. მიღებული იქნეს ზომები კავშირების ფრაქციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და მათი ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმმა შეიმუშაოს ღონისძიებები საკავშირო ფრაქციების მუშაობის გამოსაცოცხლებლად და მათი და პარტორგანოების ურთიერთობის მოსაგვარებლად.

26. ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ უნდა გააძლიეროს თავის ხელმძღვანელობა ადგილებზე, მან უნდა წარმართოს და მოაწესრიგოს რესპუბლიკების და საოლქო საკავშირო ორგანოების მთელი საკავშირო მუშაობა.

## რამდენიმე სიტყვა კომკავშირის აქტივის თვითგანვითარებაზე

თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი კომკავშირის აქტივის თვითგანვითარებას, ვფიქრობთ, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. ხოლო აქ საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ დღეს ამ საკითხს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება, რადგან ჩვენი ორგანიზაცია არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება, რაც აქტივის წინაშე აყენებს სულ ახალ და ახალ ამოცანებს.

სხვათა შორის, სრულიად მართალი იყო ჩვენი ერთი ამხანაგთაგანი, რომელმაც ტფ. კომ. აგიტ. კოლეგიის სხდომაზე, სადაც იდგა ეს საკითხი განაცხადა, რომ ერთი 6 თვე და ჩემი ცოდნის „ბაგაჟიც“ გამოშრება. ახლა ჩემს წინაშე სდგას საკითხი იმის შესახებ, თუ შემდეგისათვის როგორ უხელმძღვანელო ორგანიზაციას“-ო. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ამხანაგი ერთი მომზადებულ ამხანაგთაგანია. ამხანაგის ასეთი განცხადების შემდეგ, რასაკვირველია, ყველანი იძულებული შევიქენით გვეღიარებინა, რომ ჩვენც ყველანი ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

თუკი ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი ტფილისის ორგანიზაციაში, სადაც ამხანაგებს მეტი საშუალება აქვთ, როგორც სათანადო ლიტერატურის შოვნის, აგრეთვე მრავალი მოხსენებების მოსმენის, მაშინ როგორი მდგომარეობა უნდა იქნეს ამ მხრივ მაზრებში? ცხადია, მეტად უნუგეშო. მაგრამ რა არის ბოლოს და ბოლოს ამის მიზეზი?

უმთავრესი ამის მიზეზია აქტივის უზომო დატვირთვა. კომკავშირის ტფილისის ორგანიზაციაში არც ერთი ისეთი მომუშავე არ არის, რომ კვირაში ერთი საღამო მაინც ჰქონდეს თავისუფალი. მას მთელი დრო სჭირდება სხდომებზე და სხვა მრავალ კომისიებზე დასასწრებლად მაგრამ რით არის გამოწვეული, რომ ჩვენზე უფრო პასუხისმგებელი ამხანაგები ნახულობენ დროს თვით განვითარებისთვის, შეცადინეობენ და სწავლობენ კიდეც და ჩვენ კი ის ვერ მოგვიხერხებია? იმით, რომ ჩვენ ძლიან ცოტას ვფიქრობთ მე 14 პარტკონფერენციის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებისათვის.

აც ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა ჩვენი კავშირის ხელმძღვანელ აქტივზედ, რომ „პრაქტიკა კარი საქმეა, მაგრამ თეორიაც აუცილებელია“-ო—არ არის ჩვენ მიერ შესრულებული.

ტფილისის კომიტეტის აგიტკოლეგიის სხდომაზე ეს საკითხიც იყო დასმული, რის გარშემო შემოტანილი ქნა რამოდენიმე პრაქტიკული წინადადებები.

პირველი წინადადების აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ კვირაში ერთ დღე გამოცხადებული იქნას აქტივის სწავლის დღეთ. ამ დღის ხელმძღვანელი აქტივი უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი მუშაობისაგან, უნდა დაარსდეს სათანადო სემინარიები, სადაც გამოცდილი ხელმძღვანელის დახმარებით იწარმოებს მეცადინეობა.

მეორე წინადადება კი იმას ამბობდა, რომ ცალკე დღე არ ყოფილიყო გამოყოფილი და საერთოდ ჩვენ სწავლის გეგმა უნდა შეეგუოს პარტიის წრეების მუშაობის გეგმას.

ჩვენის აზრით ტფილისის ორგანიზაციისთვის პირველი წინადადება უფრო მისაღებია, ვინაიდან ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ გვექნება საშუალება გამოვნახოთ დრო საღამოობით, ერთის მხრივ იმიტომ რომ ჩვენი პრაქტიკული მუშაობა ხუთ საღამოს მაინც მოითხოვს კვირაში, და მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ, როდესაც პარტიული ხაზით ტარდება წრეების მუშაობა, სწორეთ ამ დროს კომკავშირის ხაზით მიდის პროკოლექტივის მუშაობა და სხვა თათბირების სხდომებიც. საერთო მუშაობის სისტემის დარღვევა კი შეუძლებელია.

რაც შეეხება მეორე წინადადებას ვფიქრობთ, რომ ის უფრო მისაღებია სამაზრო ორგანიზაციებისათვის, ვინაიდან აქ ძალების უფრო სიმცირეა ერთის მხრივ, და მეორე მხრივ სამაზრო ორგანიზაციებისათვის ის ტექნიკურადაც უფრო ხელსაყრელია.

ასეთია ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე, რომელიც ჩვენს წინაშე სდგას მთელი თავისი სიმწვავით და საჭიროებს გადაუდებელ გადაჭრას. იმედია, ამხანაგები გამოსთქვამენ თავიან აზრს ამ საკითხის გარშემო.

**გ. ჯაგახიძე.**

## წერილები ადგილებიდან

### ამაღლების თემის კომუჯრედი

ამაღლების თემის კომუჯრედის ერთი უდიდესი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ უჯრედში ეგრედ წოდებულ „თავისუფალ კანდიდატების“ რიცხვი საგრძნობლად სჭარბობს პარტიის ნამდვილ წევრთა რიცხვს. როდესაც ვლაპარაკობთ „თავისუფალ კანდიდატებზე“ მხედველობაში გვყავს ისეთი ამხანაგები, რომლებიც მხოლოდ უჯრედის მიერაა დამტკიცებული, ხოლო ცენტრის მიერ კი არა. უჯრედში ასეთ არსებულ არანორმალურ მდგომარეობას ერთხელ და საბოლოოდ უნდა მოეღოს ბოლო. დროა, რომ უჯრედმა მიიღოს თავისი პარტიული სახე. უპირველეს ყოვლისა ადგილობრივმა რაიონულმა კომიტეტმა ამას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

იქსი.

---

*) დასასრული, იხ. „კომუნისტი“ № 227.

---

# შამშოვი

პოემა

(ძღვნად ამხ. მ. კახიანს)

მსურდა, მენახა
კავკასიის მთანი,
მაგრამ რითი? როგორ?
არ მქონდა ფრთანი...
და თუ ვით იქცა,
ველარც კი ვსცანი,
ახლო განზრახვად
შორი მიზანი!..
ერთ მშვენიერ დღეს
ამხანაგ შამშეს
რაზმი დაეწყო
ცნობილ შოვისკენ
მნახა, მიმიხმო

და რას მოვისმენ:
„აბა, ხუთშაბათს
წამოდი, ბიჭო!
თორემ ამდენი
როგორ გელრიჯო?
ბევრჯერ მოგეცი
წინადადება,
შენგან სურვილი
კი არ ცხადდება
შოვში წამოსვლის
და მისი ნახვის...
ალბათ, ნამცეციც
არა გაქვს ზრახვის
ნახო ბუნების
ეს დიადება,
თორემ, არ ვიცი,
რა გემართება?
ამ ერთს ვსცდი კიდევ
და მოგიწოდებ,
შემდეგ, მერწმუნე,
არ შეგიცოდებ,
და სურვილსაც რომ
იჩენდე დიდსა,
ხელს აღარ მოგცემ,
„ჩაგიტეხ ხიდსა“!..
და მეც რა მქონდა
სხვა გასაქანი?
წავალ, რაც იქნეს,
გავარდეს ჯანი!..

⁂

დავნიშნეთ პუნქტიც
შესაკრებელი,
და, აჰა, ჩვენი
მატარებელი
ტფილისის სადგურს
განშორდა ქშენით
და შოვისაკენ
მოვუსვით ფრენით!..
ჩავსცდით ავჭალას,
მცხეთას, კავთისხევს...
აღიძრა ქარი
და ღამეც სულს ლევს:
გორს რომ ჩავშორდით,
შემდეგ—ხაშური
დასანახავად
გახდა სიმწრი!..
ღამე ნაბადით
რომ მოგვეფარა,
ამხანაგურად
ერთად შეგვყარა.
გადაგვავიწყდა
გზაც, სიცხეც, ფიქრიც,
ავტყდით და ვმღერით...
ვმღერით და ვიქრით...
ყველას სჭარბობენ
მიშა და ამო,
ხმაც აქვთ საკმაოდ
ორთავე საამო:
შამშეც ამღერდა
მეც, ვით მგოსანი,
ვართ ამ საქმეში
ორივ ხმოსანი!..
ეს კაცნელსონიც
რომ კი ახირდა...
ახ, ერთი სიტყვით,
სხვმე გასჭირდა!..
გაჩნდა ვახშამი,
და თანამგზავრი
ღვინოც, და სადღაც
გაფრინდა ჯავრი...
ენამახვილობს,
ვით მუდამ, შამშე;
არც თუ მე მინდა,
რომ ვალში დავრჩე,
მაგრამ სადმე და
სად „ძველი მგელი“
მძლია, შაირში,
ვერ გაუძელი...
ან ვფიქრობ, წერით
რომ გადვეხადო,
და, ჰა, ალვძარი
კალამი—ჯადო!..

⁂

ლიხის გვირაბმა
გაგვილო ხიბა
და შემდეგ გაშლილ
სივრცის დანახვა
ქუთაისამდი
აღარ გვერგებია:
იქით და აქეთ
ყველგან მთებია
და ღამეც ზევით,
როგორც საბანი,
მგონი, წვიმითაც
ჩამონაბანი...
ჩვენ რონოდაში
წამოვეწევით:
ზოგმა—საჯდომზე
და ზოგმაც—ზევით,
და ასე ვენდეთ
რკინას და ფოლადს,
თუმც არა რბილი
არ გვქონდა წოლაც!..

[illegible]
ვართ ქუთაისში!..
დილა კი, სველი,
ეხვია ნისლში!..
ერთი შეხედვით,
მგზავრობა ჩვენი
შეიქნა მძიმე
და მოსაწყენი...
მაგრამ აქაც კვლავ
შამშემ გვიშველა
და ლოგინებით
აგვრეკა ყველა...
შეიქნა წყობა,
ჩაცმა, მზადება,
და გამგზავრების
წინადადება...
მაგრამ ჩუ! ერთი
ავტომობილი
სდგას, როგორც ჯორი,
ყალყს დახაზილი!..
თურმე მოშლია
სადღაც მარჯვალი
და უძრაობის
დაჰკვრია მსჭვალი
და ჩვენც დაგვეტყო
უიმედობა!..
ზოგმა უმიზნოც
იწყო ყბედობა...
მაგრამ აქაც კვლავ
გზას ჰპოებს შამშე:
—„რა სათქმელია?
როგორ თუ დავრჩეთ“?
და ერთის წილ, სხვა
ავტომობილი
მყის იქნა მისგან
გამოხმობილი...
მოვენახეთ მალე
ზეთიც, ბენზინიც,
სადღაც ხელთ ვიგდეთ
ორიოდ შინიც,
და ისე მოვრთეთ
ჩვენი მანქანა,
რომ აღარა ყვა და
დაიქანა...
შემდეგ ჩავსხედით,
მოვუსვით ხელი...
გზა ნაწვიმარი
იყო და სველი,
ჩვენც კიდევ ჯერ კვლავ
მთვრალები ძილით,
როს ქუთაისი
დავაგდეთ დილით...
(შემდეგი იქნება)

**ნ. ომზლეთელი.**

## გლეხების მიწის ფონდების გადიდება

### გორჩალოს მაზრა

შაუმიანი, 2 ოქტომ. ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა კომისიამ, რომელიც ახდენდა იმ მიწების გადასინჯვას, რომლებიც იმყოფებოდენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ხელში.

კომისიამ [illegible] საქართველოს [illegible] (ცაკის [illegible] თვალიერა ადგილობრივ ყველა აღნიშნული მიწები. კომისიამ გამოარკვია, რომ გიაურ-არხის და კულაკის სახალხო მამულების მდგომარეობა ვერ არის დამაკმაყოფილებელი. პირველში არის დაახლოვებით 600 დეს. მიწა და 2 წისქვილი. არც ერთი წისქვილი არ მუშაობს, მიწებიდან დამუშავებულია მხოლოდ 72 დესეტინა. მეორეში არის 536 დეს. მიწა და 2 წისქვილი. წისქვილები მუშაობენ, მიწა დამუშავებულია მხოლოდ 40 დესეტინა

კომისიამ დაადგინა დაეთმოს გიაურ-არხის სასოფლო-სამეურნეო სკოლას ყველა შენობები, წისქვილები და მიწის საკმაო რაოდენობა, ხოლო დანარჩენი 500 დესეტინა მიწა დაურიგდეს უმიწაწყლო გლეხებს; კულაკის სახალხო მამულში მოეწყოს საცდელ-[illegible] რომელსაც დაეთმობა 36 დეს. [illegible] შენობებით, დანარჩენი 500 დესეტინა გადარიცხულ იქნეს ფონდში გლეხობისათვის მისაცემად.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია საბჭოთა მეურნეობა სად. სადახლოსთან.

კომისიამ შეიმუშავა პრაქტიკული ზომები კომუნალურ ბაღების, აგრონომიულ მიწების, საცდელ-სანიმუშო მინდვრების და ბაღების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ჩათახის ქარხნას.

კომისიამ დაადგინა გამოჰყოს ჩათახის ქარხნის სატყეო აგარაკიდან 2000 დესეტინა და გადასცეს სამაზრო სატყეო განყოფილების ადგილობრივ გლეხების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

დამტკიცებულ იქნა სოფელ ოპრეტიდან 11 კომლის გადასახლება [illegible] თანადო ნორმები ჩათახის აგარაკიდან. დადგენილ იქნა ჩათახის ქარხნის განკარგულებაში არსებული 140 დესეტინა სათიბი და 4 დეს. სახნავი მიწა გადაეცეს პირველ ყოვლისა 1922 წელს ქარხნიდან გამოსახლებულ 6 კომლს.

გლეხები ძალიან კმაყოფილი დარჩენ ამ ღონისძიებებით.

კომისიის დასკვნები გადაეცა დასამტკიცებლად საქართველოს ცაკს.

# ღია წერილი ირაკლი გიორგის ძე წერეთელს *)

## (მენშევიკების საზღვარ-გარეთელი ბიუროსა და სოც.-დემოკრატიული ოპოზიციის საყურადღებოთ)

ჩვენ, სოც.-დემ. პარტიაში მყოფი ზოგიერთი წევრები, ჯერ კიდევ 1903 წ. ეჭვის თვალით უყურებდით ჩვენი პარტიის ზოგიერთ ლიდერების მოქმედებას. ეს ეჭვი გაძლიერდა ნამეტნავათ 1917 წ., რაც სამწუხაროდ გამართლდ 1921 წლის დამარცხებამ და იმ პოზიციამ, რომელიც დაიკავა ჩვენმა მთავრობამ აქ, ევროპაში ყოფნის დროს, ერთის მხრივ, რეაქციონერ ელემენტების და მეორეს მხრივ—საბჭოთა კავშირის მიმართ.

ჩვენ ვხედავდით, რომ პარტიის ც. კ. ბიუროს და მთავრობის მუშაობა დღითი-დღე აშორებდა პარტიის ძველ, სოც.-დემ. გზას და მიაქანებდა მას ავანტიურისა და განადგურებისაკენ.

ასეთი გზა არასოდეს არ ახასიათებდა ჩვენს პარტიას და სწორედ იმ მეთოდებმა, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში შეითვისა ჩვენმა ხელმძღვანელმა ცენტრმა, დაბადა პარტიაში აზრთა არევა და განხეთქილება.

საქართველოში ეს არევა გამოიხატა მეტის სიმწვავით. ძველი მუშები—ს. დ. პარტიის ძველი წევრები, რომელთაც ვერ შესძლეს დაეძლიათ ც. კ. ბიუროს და მთავრობის სიჯიუტე და ხედვენ, რომ პარტიამ დაჰკარგა, სოც.-დ. რევოლიუციონური ხასიათი—**სტიქიურათ სტოვებენ პარტიის რიგებს და უბრუნდებიან ძველ მარქსისტულ და მუშურ გზას. ამხანაგების ერთი ნაწილი მიდის მათთან, ვინც დღეს უფრო მტკიცედ და უფრო შეგნებულად სდგას რევოლიუციის, მუშათა კლასის, მარქსიზმის ჭეშმარიტ პოზიციებზე. დანარჩენნი სდგანან უპარტიოთა წრეში და შეგნებულად მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას.** ეს სტიქიური მოძრაობა გრძელდება დღესაც.

ასეთივე მოძრაობა ჩაისახა კარგა ხანია უცხოეთში მყოფ ს.-დ. პარტიის წევრთა შორისაც. მაგრამ ამ უკანასკნელ დრომდე მრავალ მიზეზთა გამო, ამ ხაზმა ვერ მიიღო გარკვეული, გამოაშკარავებული ხასიათი. საქართველოში მომხდარმა ამბოხებამ, რომლის მოწყობაში დიდი ბრალი უდევთ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელთ და მის საზღვარგარეთელ ბიუროს და მთავრობას, უფრო მეტი გამწვავება შეიტანა ჩვენს პარტიაში და საბოლოოდ დაარღვია პარტიის მთლიანობა და დააყენა საკითხი მისი ყოფნა-არყოფნის შესახებ. პარტიაში გაჩენილმა ოპოზიციამ, როგორც საზღვარ-გარედ, ისე საქართველოში დაიწყო აქტიური მუშაობა.

ასე მივიდენ ს.-დ. პარტიის ორგანიზაციები ა. წ. 3 მაისამდე, როცა პარიზში მოხდა სოც.-დემ. პარტიის წევრთა მორიგი კრება. **ამ კრებამ დაგვანახვა, რომ ჩვენი პარტიის აქტიურ წევრთა უმრავლესობა არ იზიარებს ც. კ. ბიუროს და მთავრობის ძველ გზას.**

რეზოლიუცია, რომელსაც ხმა მისცა დიდმა უმეტესობამ უმცირესობის წინააღმდეგ, დახასიათებულია იმით, რომ ის ჰგმობს ჩვენი პარტიის ხელმძღვანელების ორპირულ ტაქტიკას მსოფლიო მუშათა კლასის მიმართ და ამავე დროს იგი არ კმაყოფილდება იმ გზით, რომელმაც მიიყვანა ქართველი ერი აგვისტოს (1924 წლის) ტრაღედიამდე.

3 მაისს დაგმობილ იქნა ძველი რეაქციონური და ავანტიურისტული გზა, მაგრამ ამით საბოლოო სიტყვა მაინც არ თქმულა და გამოსავალი გზა ოპოზიციამ მაინც ვერ გამონახა. ჩვენ ვერ გავარკვიეთ სავსებით, თუ რა ვართ ჩვენ, რა გვინდა, ვისთან ვართ და ვისთან უნდა ვიყოთ.

ამიტომ მე, როგორც სოც.-დემ. პარტიის ერთი წევრთაგანი, საჭიროთ ვხთვლი განვაცხადო, რომ შექმნილი მდგომარეობა გვავალებს ჩვენ, საბოლოოთ გამოვარკვიოთ ჩვენი პოზიცია და მივიდით იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომელსაც გვიკარნახებს მუშა—რევოლიუციონერის და სოციალისტის მოვალეობა. მე საჭიროდ მიმაჩნია გამოინახოს შერიგების და თანამშრომლობის გზა საბჭოთა კავშირის მუშათა კლასთან და მის ხელმძღვანელ პოლიტიკურ პარტიასთან. მრავალ მოსაზრებათა გარდა ამ დასკვნამდე მიმიყვანეს შემდეგმა მიზეზებმა:

1. დღეს ჩვენ ვდგევართ მსოფლიო რეაქციის გაძლიერების ფაქტის წინაშე. ჩვენ ვიცით, რომ ეს რეაქცია უპირველეს ყოვლისა მიმართულია მუშათა და გლეხკაცობის წინააღმდეგ. რუსეთის რეაქციონერების მიერ კირილე ვლადიმერს-ძის იმპერატორათ გამოცხადება, კონსერვატორთა გაძლიერება ინგლისში, ჰინდენბურგის გამარჯვება გერმანიაში, საერთაშორისო პოლიციის დაარსება კომუნისტურ მოძრაობასთან საბრძოლველათ და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციის განზრახვები, სრული რეაქცია პოლონეთში, რეაქციონური ელემენტების გათავხედება საფრანგეთში, ფაშიზმი იტალიაში, ესპანიაში,—ესაა [illegible] ბურჟუაზიის მთლიანი ფრონტი მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მსოფლიო კაპიტალიზმი, რომლის მთლიანობა შეარყია დიდმა ომმა, ისევ ასწორებს თავის ხაზს, ისევ იარაზმება იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომელსაც წარმოადგენს მისთვის მსოფლიო პროლეტარიატი და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის მუშა-გლეხი, რომლის წინააღმდეგ გაერთიანებულია მთელი რუსეთის კონტრ-რევოლიუციონერები, „იმპერატორი“ კირილედან დაწყებული „დემოკრატ“ მილიუკოვამდე.

მეორე მხრივ საშინელი ქიშპობა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის (ინგლის—საფრანგეთი, საფრანგეთი—გერმანია, ამერიკა—იაპონია) მაჩვენებელია იმისა, რომ ბურჟუაზია ემზადება განიმეოროს ახალი სისხლიერით 1914 წლის უსაშინლესი ომი.

2. მსოფლიო მუშათა კლასი და კერძოთ ევროპის პროლეტარიატი, რომლის მთლიანობაც დაარღვია 1914 წლის ომმა და რომელიც ამდენხანს ეჭვის თვალით უყურებდა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის ბრძოლას, დღეს სავსებით ერკვევა შექმნილ მდგომარეობაში; იგი, მიისწრაფვის რა მთლიანი პროლეტარული ფრონტის შექმნისაკენ, **განსაკუთრებულის იმედით შეჰყურებს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს, რომელმაც უკვე ფაქტიურათ და ფორმალურად დაამყარა საკუთარი სახელმწიფო და რომელიც დღეს უდიდესი ერთად-ერთი შეიარაღებული, მაშასადამე რეალური ძალაა ბურჟუაზიული რეაქციის წინააღმდეგ.**

ამიტომაა, რომ დღეს ინგლისის პროფკავშირები უთანხმდებიან საბჭოთა პროფესიონალურ კავშირებს, წინააღმდეგ მე-2 ინტერნაციონალის ზოგიერთ ხელმძღვანელთა სურვილისა; ამიტომაა, რომ სხვა ერთა მუშებიც უახლოვდებიან და ურთდებიან ამ შერიგების ხაზს. ჩვენ გვრწამს, რომ მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელებიც იძულებულნი იქნებიან ახლო მომავალში გაჰ[illegible] მუშათა მთლიან ფრონტის [illegible] გზას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა მუშათა მოძრაობის გარეშე მათი დარჩენა.

მუშათა კლასი ინსტინქტიურად გრძნობს რეაქციონურ საფრთხის მოახლოვებას და სცდილობს შეჰქმნას მის წინააღმდეგ ერთიანი მუშათა ძალა. და როდესაც ამ საფრთხის წინაშე ასეთ აქტივობას იჩენს ინგლისელი მუშა, რამ უნდა გააჩეროს ამ დროს 35 წლის რევოლიუციონურ ბრძოლაში გამობრძმედილი ქართველი მუშათა კლასი.

დიახ, გაჩერება ასეთ დროს და გაჩერება შუა გზაზე შეუძლებელია ჩვენი მოვალეობა მტკიცეთ ვიდგეთ პროლეტარიატის იმ რიგებში, რომელიც დარაზმულია მსოფლიო რეაქციის წინააღმდეგ.

3. ასეთ შემთხვევაში ჩვენ, ცხადია, არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ რევოლიუციის ისეთ დიდ ფაქტორს, როგორიცაა საბჭოთა კავშირი და კერძოთ საბჭოთა რუსეთი. ეს მით უფრო სავალდებულოა ჩვენთვის, რადგან მასთან ჩვენ გვაერთებს ძველი რევოლიუციონური წარსული; რუსეთის მუშათა კლასი ჩვენთვის უფრო ახლო უნდა იდგეს, ვიდრე ინგლისელისათვის, რადგან საქართველოს რევოლიუციონური მუშათა კლასი აღზრდილი და შეზრდილია რუსეთის რევოლიუციონურ მუშათა მოძრაობასთან და მეოთხედი საუკუნის მანძილზე ჩვენ ვუდექით გვერდში ერთი მეორეს, როგორც ძმა და როგორც ამხანაგი.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის და მის ხელმძღვანელ პარტიის რევოლიუციონური ბრძოლა ჩვენთვის საყურადღებოა კიდევ იმიტომ, რომ მსოფლიო რეაქციის შეერთებული ძალები განსაკუთრებულის სიძულვილით და სისასტიკით ებრძვიან სწორეთ ამ საბჭოთა კავშირს, **რადგან ეს უკანასკნელი დაუღალავი და შეურიგებელი ძალაა ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ.**

4. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი პირადი განწყობილება კომუნისტებისადმი, როგორიც არ უნდა იყოს მათი ნაკლი,—ერთი რამ ყოველთვის უდაო დარჩება ჩვენთვის, სახელდობრ ის, **რომ დღეს ეს პარტია და მის მიერ შექმნილი საბჭოთა კავშირი არის ერთად ერთი აქტიური რევოლიუციონური და მუშური ძალა.**

ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიას აქვს ნაკლი და უარყოფითი მხარეები, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ნაკლთან ბრძოლა. პრაქტიკული მუშაობის შეცდომების გასწორება არის მუშათა მოძრაობის შინაური საქმე, რომელმაც არ უნდა დაგვავიწყოს მუშათა კლასის მთავარი მიზანი,—მაგრამ დღეს ჩვენ ვხედავთ სულ სხვა რამეს: **საბჭოთა კავშირთან ბრძოლაში ჩვენი პარტიის ბელადებს ერთის მხრივ გვერდში უდგანან მონარქისტული და რეაქციონური ელემენტები, მეორე მხრივ ე. წ. დემოკრატიის ბელადები.**

**ვისზედ ამყარებს დღეს ჩვენი მთავრობა მთავარ იმედებს ბოლშევიკებთან ბრძოლაში? ვრანგელზე, ნიკოლოზ-ნიკოლოზის-ძეზე და კირილეზე (რუსეთის ახალი „მონარქი“), მილიუკოვებზე, ჩემბერლენებზე, მუსოლინებზე და საერთოდ ევროპის ბურჟუაზიაზე.**

აქვს თუ არა ასეთ იმედებს რეალური საფუძველი და რომ კიდეც ჰქონდეს—არის თუ არა ეს გზა მისაღები მუშათა რევოლიუციონური კლასისათვის? ჩვენ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია, რადგან ყოველი რუსი, მონარქისტია ის თუ „სოციალისტი“, საქართველოს დაპყრობის მომხრეა.

**ვის ეხმარება ამ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა? ის ეხმარება მსოფლიო რეაქციას, ეს რეაქცია კი ერთ თოკზე ჩამოგვახრჩობს ჩვენ—ქართველებს და ბოლშევიკებსაც.**

ვიმეორებ, ნუ თუ ასეთ მოკავშირეებთან სვლა არის მისაღები მუშათა პარტიისა და მისი ბელადებისათვის?

არა და არა! მაგრამ ობიექტიურათ დღეს ჩვენ ამ კომპანიაში ვართ, ამ ყალბ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი პარტია იჩენს მტერს იქ, სადაც მოყვარისა და მოკავშირის ძებნაა საჭირო.

ამიტომ მოხდა, რომ ჩვენი პარტიის ც. კ. ბიუროს და მთავრობის მიერ 1917 წელს და განსაკუთრებით 1918 წელში აღებული ხაზი **გადიხარა მარჯვნივ და 1924 წელს ეს ხაზი შევიდა მონარქისტების და კონტრ-რევოლიუციონერების ბანაკში.** ბოლშევიკებთან ბრძოლამ და საქართველოს საკითხში შეურიგებლობამ ობიექტიურად მიგვიყვანა ჩვენ ზემოხსენებულ რეაქციონურ მოკავშირეებამდე და ამის შემდეგ გასაგები ხდება, თუ რატომ გადაიქცა აგვისტოს ამბოხების დროს რუსული მონარქისტული და კადეტური გაზეთები და მსოფლიო რეაქციონური ბურჟუაზიის პრესა ჩვენი მთავრობის ოფიციოზებათ.

5. ამ რიგათ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია, ერთხელ და სამუდამოთ ჩამოვშორდეთ ყოველგვარ არა წმინდა მოკავშირეს და ხელი გაუწოდოთ ნამდვილ პროლეტარულ პარტიებს და მუშათა ჭეშმარიტ მოძრაობას.

და წმინდა მარქსისტულ და რევოლიუციონურ საფუძველზე მდგომნი, ჩვენ ადვილათ დავინახავთ, რომ ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და დემოკრატიულ რესპუბლიკის აღდგენისათვის იმ მეთოდებით, როგორითაც იბრძოდა დღემდე ჩვენი მთავრობა და პარტიული კომიტეტი, იყო შეცდომა. ეს არ იყო არც მარქსისტულ-რევოლიუციონური და არც ნაციონალური გზა.

1917 და 1918 წლებში, როცა საკითხი იდგა დიდი რევოლიუციის მონაპოვართა შერჩენაზე, მსოფლიო მუშათა მოძრაობის ყოფნა არყოფნაზე; როცა დასავლეთის იმპერიალიზმი ფიზიკურათ ანადგურებდა რუსეთის მშრომელ ხალხს და ავიწროებდა აქტიურ პროლეტარიატს დასავლეთში,—ჩვენი მთავრობა დადგა არა პროლეტარიატის მუშათა კლასის მხარეზე, **არამედ მიეკედლა იმპერიალიზმს და ბურჟუაზიას. ჩვენი მთავრობის ორგვარი ორიენტაცია ბურჟუაზიასა და დემოკრატიაზე გაკოტრდა. ბურჟუაზია ობიექტიურად არ იყო დაინტერესებული ჩვენით, ხოლო იქ, სადაც გამარჯვებული სოციალ-დემოკრატია დაადგა დემოკრატიული პრინციპების განხორციელებას, იგი სასტიკათ დამარცხდა ყველგან და იძულებული შეიქნა ჩაებარებინა ხელისუფლება რეაქციონურ ბურჟუაზიისათვის.**

ამის თვალსაჩინო მაგალითი ჩვენ დავინახეთ გერმანიაში, პოლონეთში, იტალიაში, თვით ინგლისში და სხვა

6. დღეს თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიები გვირჩევენ რუსეთთან საერთო ენის გამონახვას და მასთან კავშირის დაჭერას, წინააღმდეგ ამისა კი ჩვენი საზღვარგარეთელი **ლეგაციები გაფაციცებით ეძებდენ მოკავშირეს ევროპაში,** მაგრამ ვერ ჰპოვეს. ამ ძებნამ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ ვეძებთ არა **საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას,** რომ ჩვენ თანახმა ვართ **დაუკავშირდეთ ყოველ ძალას,** მხოლოთ არა დღევანდელ რუსეთს. **ასეთი მდგომარეობა ფაქტიურად ხსნის დამოუკიდებლობის საკითხს და ჩვენ წინ აყენებს კოლონიალურ პროტექტორატის საკითხს.**

**და როდესაც ეს საკითხი ხდება ასარჩევად და გადასაჭრელად, მე არ შემიძლია გადაჭრით არა ვსთქვა რომ ჩვენთვის ძველ ს.-დემოკრატებისათვის, მუშებისათვის და ქართველი გლეხებისათვის უფრო მისაღები კავშირი საბჭოთა პროლეტარიატთან და გლეხკაცობასთან, ვიდრე სხვა რომელიმე ძალასთან, განსაკუთრებით დღეს, როცა საბჭოთა რესპუბლიკა ჩამოყალიბდა ხალხურ რესპუბლიკად.**

ასეთი ძალა-უფლებისათვის ვიბრძოდით ჩვენ მუშები ძველად, ეს ძალა-უფლება უკვე დამყარდა ჩვენში და თუ შემდეგში კიდევ გვაქვს საბრძოლველი რამ, ესაა ბრძოლა შინაური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის (კულტურულათ და ეკონომიურათ). დიდი რევოლიუციის პრინციპების საბოლოოთ ცხოვრებაში გატარებისათვის და ევროპის კაპიტალისტების ბატონობის წინააღმდეგ.

ჩვენ ღრმათა გვრწამს, რომ ბოლშევიკური დიქტატურის სიმკაცრე, რომელიც გამოწვეულია შინაურ და გარეშე რეაქციისაგან თავის დასაცავათ—არის მხოლოდ დროებითი ხასიათის და საჭირო აღარ იქნება იმდენათ, რამდენადაც ჩვენ, მუშა სოციალისტები და ხალხი მათთან ერთად ვიქნებით შრომაში და შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ თავდაცვაში.

ჩვენ გვრწამს, რომ საქართველო მხოლოდ მაშინ მოიპოვებს ყველა პოლიტიკურ ნაციონალურ უფლებებს, როდესაც ჩვენ—მუშები და გლეხები—მხარში ამოვუდგებით საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას და ყველა საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირით უზრუნველვყოფთ საბჭოთა კავშირს რეაქციის საფრთხისაგან.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქართველი ერის განვითარება, გაძლიერება და აყვავება. ამ გზით შეიძლება დიდი რევოლიუციის მიზნების განხორციელება, რომელსაც ჩვენ ამდენი მსხვერპლი შევწირეთ. ამ გზით მივალთ იმ ქვეყანაში, სადაც განხორციელებული იქნება მთელი ხალხის კეთილდღეობა.

მენშევიკური პარტია ჩინოვნიკებით და სხვადასხვაგვარი კარიერის მძებნელებით გაივსო, ისინი პარტიის დაეპატრონენ და პარტიის პატრონი მუშები კი გარეკეს პარტიიდან. პარტიაში დარჩა მუშებისათვის საეჭვო ჩინოვნიკობა. და გუშინდელი ხალხის დამღუპველი. კარიერისტული ინტელიგენცია დღეს ისევ მისგანვე დაღუპულ ხალხის სახელით, ახალი მოტყუებით იტრევს ხალხს ახალ, დაუსრულებელ ავანტიურაში; ასეთ მოვლენებს ადგილი ჰქონდა 1917 წლიდან დღემდის, საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიაში; ამით ჩვენ დაგვცეს პოლიტიკურათ და დაგვაქანეს დაღუპვისაკენ. ამ სამწუხარო მაგალითის **დამამტკიცებელია ნ. ჟორდანიას მთავრობის და მის გარშემო გაბა-**

---

*) მენშევიკურ ემიგრაციაში მიმდინარე შინაური ბრძოლის დასახასიათებლად, ჩვენ ვაქვეყნებთ (მცირეოდენი შემოკლებით), როგორც დოკუმენტს, ვ. ალიხანაშვილის წერილს, რომელიც მას გაუგზავნია, საზღვარგარეთ ყოფნის დროს, ირ. წერეთლისათვის.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „კომუნისტი"-ს
მთავარი კანტორა, და
ექსპედიცია აცხადებენ
ყველა
კონტრაგენტებისა და კიოსკების
საყურადღებოთ

რომ საანგარიშო წლის დასრულების გამო მათ ევალებათ გადმოგზავნონ 5 ოქტომბრამდე ყველა დარჩენილი გაუყიდავი გაზეთების ჟურნალები და წიგნები, რომელნიც აქვთ მათ მიღებული ჩვენგან ა | წ. სექტემბრის თვის დამლევამდის.

ზემოაღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, არც ერთი ცალი გაზეთი და წიგნი არ იქნება მიღებული.

5—1 კანტორა.

ორშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია

## ტფილისის საბჭოს

შემდეგი **სექციების მორიგი სხდომა:**

1. **საფინანსო**—(აღმასკომის ოთახი № 17).

**დღის წესრიგი:**

ა) მოხსენება მიმდინარე წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩატარების შესახებ.
ბ) მიმდინარე საკითხები.

2. **ჯანმრთელობის**—(აღმასკომის ოთახი № 57).

**დღის წესრიგი:**

ა) სანიტარულ ექიმთა მოხსენება ქალაქის განაპირა ადგილების სანიტარულ მდგომარეობის შესახებ.
ბ) მიმდინარე საკითხები.

3. **სოფლად მუშაობისა და საბჭოთა აღმშენებლობის** (აღმასკ. ოთახი № 28).

**დღის წესრიგი:**

ა) მიწათმოწყობა მაზრაში.
ბ) საბჭოთა აღმშენებლობა სოფლად.
გ) მიმდინარე საკითხები.

4. **სამხედრო**—(აღმასკომის დარბაზი)

**დღის წესრიგი:**

ა) სექციის მუშაობის გეგმის დამტკიცება
გ) მიმდინარე საკითხები.

თავის სექციების მიხედვით საბჭოს—ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ტფილისის საბჭოს სექციების მუშაობის ხელმძღვანელი **არ. რუხაძე.**

ნ. 1796 2—2

# სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ამ მოკლე ხანში ტფილისში გაიხსნება ა | კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. საგამოფენო კომიტეტის მიერ უკვე გამომუშავებულ იქნა გამოფენის ხარჯთაღრიცხვა. საგასავლო ხარჯთაღრიცხვის ჯამი უდრის 65 ათას მანეთს, ხოლო საშემოსავლო ხარჯთაღრიცხვა კი—75.500 მანეთი.

საგამოფენო კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა საკითხი იმ მანქანების მასალების, იმ ახალ ნიმუშების სიის შესახებ, რომელთა [illegible]

დამატებით სიაში აღნიშნულ ექსპონატებს შორის აღსანიშნავია ამიერ-კავკასიის პირობებში პირველად ხმარებული სასოფლო-სამეურნეო ელექტრო-მანქანები ელექტრო-გუთნები და სხვა.

მეველეობის დარგში სახმარ მანქანებს შორის აღსანიშნავია ამიერკავკასიაში ძვირად ხმარებული კარტოფილის სარგველი, ფესვსაჭრელი და თივის სატკეპნი მანქანები.

მებაღეობის, მებოსტნეობის და მევენახეობის დარგების ექსპონატები შევსებულ იქნება უცხოეთიდან ჩამოტანილი საოკულირატორო და სანამყნე სასხლავებით და დანებით.

მესაქონლეობის და მერძეობის დარგების ექსპონატების სია შევსებულ იქნა ახალ ექსპონატებით: რძის ასაჭრელი სოკოებით, პასტერიზატორებით და სტერილიზატორებით.

ყველაზე მეტად აღსანიშნავია უცხოეთიდან გამოფენისათვის სპეციალურად გამოწერილი შვეიცარული და ჰოლანდიური ყველის დასამზადებელი ქარხნის მოწყობილობა.

იქიდანვე გამოფენისათვის გამოწერილი ქარხნის და ჯაგარის საწელისნოს მოწყობილობა.

დამატებითი სია შევსებულია აგრეთვე ახალ ახალი ექსპონატებით სასოფლო-მეურნეობის შემდეგი დარგებიდან: მეღვინეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, და მეტყეობიდან. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ექსპონატები: სასოფლო მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის დარგში, მელიორაციაში, კვების მრეწველობაში და მეთევზეობაში.

---

ტონებულ კარიერისტების საქციელი. ეს კარიერისტები თავიანთ ნათესავების შემწეობით უხეში, ურცხვი საშუალებით გაბატონდნენ სოც.-დემ. პარტიის ყველა ორგანიზაციებში, კომიტეტებში, კომისიებში, ცენტრ. კომიტეტში და ამ კომიტეტის აღმასრულებელ ბიუროში, საქართველოს დემოკრატიის ყველა დაწესებულებებში, ადმინისტრაციაში, ჯარში, სასამართლოში, საზღვარ-გარეთულ წარმომადგენლობაში, დამფუძნებელ კრებაში და მთავრობაში; ამ მთავრობამ და მისმა ჯგუფებმა სხვადასხვაგვარი ხრიკებით განდევნა ძველი მებრძოლი რევოლიუციონური მუშები, ყველა სპეტაკი, იდეური ამხანაგები; ფეხქვეშ გასთელეს ჩვენი მუშათა პარტიის წევრთა ტრადიციული, ზნეობრივი მართლმსაჯულება და სინიდისის სამართალი. ამ სოციალისტური იდეის უარმყოფელებმა სამაგიეროთ პარტიაში შეიტანეს ჯაშუშობა, მუშებს შორის მძულვარება, მტრობა, მუდმივი კინკლაობა, განხეთქილება, ზნეობრივი ტერორი, დაშნაკური ავანტიურიზმი და სულის შემხუთავი ბიუროკრატიზმი.

დიახ, მიუხედავათ მრავალჯერ დამარცხებისა, მრავალჯერ სისხლის მღვრელ კატასტროფაში ხალხის ჩათრევისა, ეს ჩვენი დამღუპველი „ეროვნული" მთავრობა და ცენტრ. კომ. აღმასრულებელი ბიურო (სადაც არც ერთი მუშა არ არის) ქართველი ხალხის და საქართველოს მუშათა პარტიის სახელით კვლავ განაგრძობს უპასუხისმგებლოთ დამარცხებულ პოლიტიკის წარმოებას.

გამოვდივარ რა ზემოთქმულიდან, მე, როგორც პარტიის ერთი წევრთაგანი, რევოლიუციონერი და მუშა, კატეგორიულათ მოვითხოვ დღესვე შემდეგი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას:

ა) მოხდეს ლიკვიდაცია პარიტეტული კომიტეტისა და ყველა სხვა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებისა როგორც საქართველოში, ისე ყველგან, საზღვარ-გარეთ. კერძოთ მოხდეს ლიკვიდაცია ეგრედწოდებული ნ. ჟორდანიას მთავრობის და ყველა მისი წარმომადგენლობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, ანტისაბჭოთა გამგეობის და სხვა... რომელთა მოქმედება მიმართულია ასე თუ ისე საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ბ) შედგენილი იქნეს ახალი პარტიული ბიურო ისეთ მუშების უმრავლესობისაგან, რომელნიც დგანან საქართველოს საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე; ეს ბიურო დაამთავრებს ყოველგვარ ლიკვიდაციას და მთელი ემიგრაციით საქართველოდან წამოღებული ქონებით დაბრუნდება სამშობლოში ქართველი ერისა და მუშათა პარტიის ისტორიის წინაშე თავის მოვალეობის მოსახდელათ; ამასთანავე ამავე ბიურომ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა მოწყობილი იქნას ევროპის სხვადასხვა სასწავლებლებში.

გ) ყოფ. მთავრობამ ისეთი გაუგებრობა შექმნა, რომლითაც ეს მთავრობა ევროპაში მყოფ ქართველ ემიგრაციის და „მოკავშირე" ევროპის სახელით ატყუებს ქართველ ხალხს, ხოლო მეორე მხრივ, ქართველი ხალხის და მუშათა პარტიის სახელით ატყუებს ევროპაში მყოფ ემიგრაციას და ევროპასაც.

ამნაირად შექმნეს მოტყუებულ ხალხთა შორის ერთი მხრით მორალური გახრწნა და მეორე მხრივ მტრობა და მძულვარება, რაც თავდება ხოლმე ძმათა შორის სისხლის ღვრით.

ვინაიდან ჩვენ ამას მივყევართ პოლიტიკურ და მორალურ დაცემამდე და ფიზიკურ განადგურებამდე, ვინაიდან ემიგრაციის ყოფნას ევროპაში ზარალის და ვნების მეტი არაფერი მოაქვს, როგორც თვითონ ემიგრაციისათვის, ისე ქართველი ხალხის და მსოფლიო მუშათა კლასისათვის,—დასმულ იქნეს დღესვე საქართველოში დაბრუნების საკითხი, რომ ჩვენ ევროპიდან მოსული ემიგრაცია ქართველ მშრომელ ხალხთან ერთად თავდადებული შრომით შეუდგეთ რევოლიუციის მონაპოვარ ლოზუნგების განხორციელებას, მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას, აღმშენებლობითი შრომით წინსვლას.

მაშ გავშორდეთ შეცდომის გზას და შემცდარ მეთაურებს! სადაც ორ მილიონ-ნახევარი ქართველი ხალხია, ჩვენც იქ.

ვ. ალიხანიშვილი.

# მოსავალი

### სიმინდის მოსავალი სენაკის მაზრაში.

სენაკის მაზრაში ამჟამად მიმდინარეობს სიმინდის და ღომის აკრეფა. ამ ორი ჭირნახულის მოსავალი საშუალოზე მაღალია. სენაკის ბაზარზე შემოაქვთ ახალი სიმინდი, რომელიც ერთ მანეთად ფასობს ფუთი.

### ღვინის მოსავალი კახეთში

ღვინის მოსავალი წელს კახეთში საშუალოზე მაღალია, ალაგ-ალაგ კი კარგი. თუმცა ბევრ გლეხს ღვინის შარშანდელი მოსავალი სავსებით გასაღებული არა აქვს, ყიდის ახალ ღვინოს მაჭრად, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება არის. შემსყიდველებს უფრო ხელსაყრელად მიჩნიათ იყიდონ ახალი ღვინო, რადგან იგი ორჯერ ნაკლები ღირს (60—70 მანეთი საპალნე) ამის გამო ეცემა ძველი ღვინის ფასიც. გლეხები ჩქარობენ ახალი მოსავლისთვის გაანთავისუფლონ ქვევრები ძველი ღვინისაგან, ამგვარად იმ დროს, როცა ახალი ღვინის ფასები ზევით იწევს, ძველი ღვინო საზღაპროდ იაფდება.

კახეთში წელს კარგი იყო აგრეთვე პურის მოსავალი. მცხოვრებთ პური საჭიროებაზე მეტი მოუვიდათ ამჟამად ფუთი პურის ფასი ორ მანეთს არ აღემატება.

### თხილის მოსავალი

მიუხედავათ თხილის კარგი მოსავლისა, ფასები თხილსა და კაკალზე მაინც მაღალია. ზუგდიდის მაზრაში ფუთი ფასობს 5 მან—5 მან. 50 კ. ცეკავშირმა 12,500 ფუთი ნიგვზის დამზადების მიზნით გლეხებს ავანსად დაურიგა 90.500 მანეთი. გარდა ცეკავშირის, ნიგვზის იყიდს აწარმოებენ ა | კ. სახელმწიფო ვაჭრობის სააიო ამხანაგობა, სხ დაწესებულებანი და კერძო პირები. ტობანიერის თემში ნიგვზის დამზადებას აწარმოებენ ოდესიდან მოსული ვაჭრები.

### მოსავალი ნიკორწმინდის რაიონში.

აგვისტოს დამლევს ნიკორწმინდის რაიონში (რაჭაში) მომკეს ქერის ყანები. მოსავალი კარგია, ყოველ ქცევაზე მოვიდა 30—40 ფუთ. კარგი მოსავლის პირი უჩანს აგრეთვე სიმინდის ყანებს, თუ ნაადრევმა ყინვებმა არ მოუსწრეს, რაც ხშირია ნიკორწმინდის დაბლობზე რომელიც 2100 ფუტის სიმაღლეზე სძე. შორის სათიბებზე, წელს თივის ცუდი მოსავალი იყო. თითოეულ ქცევაზე მოვიდა 10—20 ფუთი თივა.

### კანაფის მოსავალი

წელს გურიაში და ქვემო იმერეთში (სუფსის, ჩოხატაურის, სამტრედიის, ორპირის და ფარცხანაყანევის თემებში) სანიმუშოდ დათესილ იქნა კანაფი. კანაფმა კარგი ნაყოფი გამოიღო, მოსალოდნელია 100 ფუთი კანაფის თესლის და 70 ფუთი ხვეულის შეგროვება.

### თამბაქოს მოსავალი

აფხაზეთში ყველა რაიონებში თავდება თამბაქოს აკრეფა. აკრეფილია მთელი მოსავლის 80 პროცენტი.

სავსებით აკრეფა დამთავრდება ოქტომბრის შუა რიცხვებში. სულ აფხაზეთში აკრეფილ იქნება 310 ათასი ფუთი თამბაქო.

# ახალი საზომების შემოღება

ამ წლ. 1 ოქტომბრიდან მთელ საქართველოს ტერიტორიაზედ სავალდებულო სახმარებლად შემოღებულია მეტრიული საზომები. რეფორმა დასრულებულია: მეტრიული საზომები უკვე დაურიგდათ ყველა სავაჭრო დაწესებულებებს, როგორც ცენტრში ისე პროვინციაში, სათანადო პროპაგანდა გაწეულია, კოოპერატივებში და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებში თითქმის ერთი წელიწადია, რაც მეტრიულ საზომებს ხმარობენ.

ამ საზომებმა უნდა გამოსდევნონ სრულებით რუსული და ადგილობრივი საზომები. რუსული საზომები ადვილი გამოსადევნია, მაგრამ ცოტა სიძნელეს წარმოადგენს ადგილობრივი საზომების გამოდევნა. სიგრძის და წონის საზომები—მეტრი და კილოგრამი ადვილად შესცვლიან არშინს და გირვანქას, მაგრამ საწყაოები და მიწის საზომი ერთეული კი ძნელი [illegible]

ხალხი თავის საწყაოებს—ჩანახს, ლიტრას, კოდს, ბათმანს, ჩაფს, თავის ქცევას, დღიურს ისე ადვილად ვერ დასთმობს, აქ საჭიროა საზოგადოების შეგნებულ ნაწილის დახმარება, რომ მეტრიულ ზომებმა მტკიცე ნიადაგი დაიმკვიდრონ ხალხში.

მეტრიულ სისტემის უპირატესობა ის არის, რომ იგი საერთაშორისოა: მთელი განათლებული კაცობრიობა დღეს მას ხმარობს.

საზომები საჭიროა დიდი და პატარა. ასე, მაგალითად, მანძილს ტფილისიდან მოსკოვამდე ვერშოკებით არავინ გაზომავს. რუსულ საზომებში დიდსა და პატარა ზომებს შორის დამოკიდებულება არაბუნებრივი იყო; მაგ. არშინში 16 ვერშოკია. გადაქცევა ერთი საზომისა მეორედ ძნელია. მეტრიულ სისტემის დიდ-პატარა საზომებს შორის კი დამოკიდებულება უფრო ბუნებრივია, ერთი საზომი მის მიმდევნო პატარა საზომზე ათჯერ დიდია და მის მიმდევნო დიდ საზომზე ათჯერ მცირე.

მაგ. მეტრში ათი დეციმეტრია, დეციმეტრში ათი სანტიმეტრია და სხვა. დეციმეტრი მეტრზე ათჯერ მცირეა და სანტიმეტრზე კი ათჯერ დიდი. საზომების ათეულებითი სისტემა ძალიან აადვილებს ერთი საზომის მეორე საზომად გადაქცევას.

ეს იყო მიზეზი, რომ მეტრიული სისტემა გავრცელდა ყველგან.

მეტრიული სისტემა პირველად ფრანგებმა შემოიღეს 1799 წელს დიდი რევოლიუციის დროს. რომ ეს სისტემა ყველგან ყოფილიყო მიღებული და არავის ეროვნული თავმოყვარეობა არ შელახოდა, ამისთვის მათ საზომების სახელებათ იხმარეს ლათინური და ბერძნული სიტყვები (დეცი, ცენტი, მილი, დე- [illegible] გული სიტყვა არ შეუტანიათ საზომების სახელად. თითქმის 40 წელი დასჭირდათ ფრანგებს ამ საზომების შემოღებისათვის. ამ სისტემას, როგორც რევოლიუციონურს, ცუდის თვალით უყურებდენ, ნაპოლეონიც მას ძალიან ეწინააღმდეგებოდა, და მხოლოდ 1840 წლიდან იგი სავალდებულო გახდა მთელ საფრანგეთში. ამის შემდეგ მეტრიული სისტემა დამკვიდრდა დანარჩენ სახელმწიფოებში. ინგლისმა მიიღო იგი 1884 წელს; რუსეთში და საქართველოში კი მეტრიულ სისტემას გზა გაეხსნა მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ.

საჭიროა მასწავლებლობამ ენერგიულად მოჰკიდოს ხელი ახალ საზომების სასარგებლოთ პროპაგანდას როგორც ხალხში, ისე მოწაფეებში, და მალე ბოლო მოუღოს ხალხისთვის საზარალო ძველ საზომ-საწყაოებს.

ი. ბ.

# წითელ ჯარში

### ახალი დებულება მუშურ-გლეხურ წითელ არმიის პოლიტიკურ სამმართველოს შესახებ

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. 1 ოქტომბერს გამოქვეყნებულ იქნა საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს მიერ დამტკიცებული ახალი დებულება მუშურ-გლეხურ წითელი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს შესახებ.

ამ დებულებით წითელი არმიის პოლიტიკური სამმართველო წარმოადგენს სამხედრო და საზღვაო კომისარიატის ცენტრალურ ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს პარტიულ, პოლიტიკურ და პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობას მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ყველა ნაწილებსა და დაწესებულებებში, და აგრეთვე ხელმძღვანელობას უწევს ჯარის გარეშე სამხედრო მზადებაში მყოფ მშრომელთა სამხედრო-პოლიტიკურ აღზრდას.

### დროებითი დებულება სამხედრო კომისარიატის შესახებ

მოსკოვი, 3 ოქტომბერი. 1 ოქტომბრიდან მუშურ-გლეხური წითელი არმიის პოლიტიკურმა სამმართველომ შემოიღო რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს მიერ დამტკიცებული დროებითი დებულება წითელი არმიის და წითელი ფლოტის სამხედრო კომისრების შესახებ.

პოლიტიკურ მუშაობის საწარმოებლად წითელი არმიის და ფლოტის პირადი შემადგენლობის აღსაზრდელად და კომუნისტურ განათლების გასავრცელებლად ინიშნებიან სამხედრო კომისრები. სამხედრო კომისრები კომანდირებთან ერთად პასუხისმგებელნი არიან ჯარის პოლიტიკურ-მორალურ მდგომარეობისათვის.

## მე-2 ქართულ საარტილერიო ლეგიონის წლის თავის გამო

ჩვენი მე-2 ტერ. ლეგიონის წლის თავი ოქროს ასოებით აღიბეჭდება საერთოდ და კერძოდ საქართველოს წითელი არმიის ტერიტორიალური მშენებლობის ისტორიაში, რომელმაც თავის მოკლე ხნის არსებობის განმავლობაში სავსებით—გაამართლა მასზე მშრომელი ხალხის მიერ დაკისრებული მოვალეობა, ამას ამტკიცებს ლეგიონის როგორც პრაქტიკული, აგრეთვე თეორიული მომზადება, რომელიც ამ დღეებში შემოწმებული იქნა საკავშირო რესპუბლიკების სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს და პოლიტსამმართველოს კომისიის მიერ.

დღეს, წლის თავზე, ჩვენი ლეგიონი პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად ჯამს უკეთებს თავის განვლილ მუშაობას, ლეგიონი ზეიმობს თავის მიღწევებს როგორც სამხედრო მომზადების, აგრეთვე პოლიტიკური აღზრდის სფეროში. ამასთან ერთად დღეს მოხდება მომავალი სამუშაო პერიოდისათვის ახალი მიხწევების, ტერიტორიალური მშენებლობის უფრო გაღრმავების და განსამტკიცებლად გეგმის გამომუშავება, ნაკლულევანებათა აღნუსხვის და მათი გამოსწორების მიზნით.

ლეგიონი მზად არის ყოველ წუთში იარაღით ხელში გამოვიდეს საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დასაცავად, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ იერიშის მისატანათ. ლეგიონი პირნათლად შეასრულებს იმ ამოცანას, რომელსაც მას მშრომელთა მშვიდობიანობის მცველის როლი აკისრებს.

კლ. გველია.

# პროფკავშირებში

## საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმის 28 სექტემბრის სხდომის რეზოლიუცია

### კულტმუშაობის შესახებ

1. საკავშირო კულტმუშაობის მთავარი ყურადღება უახლოეს ხნის განმავლობაში უნდა მიექცეს საკლუბო მუშაობის გამოცოცხლებას და გაღრმავებას.

2. ის ხაზი, რომელიც აღებული იყო ამ მუშაობაში და ცდილობდა გაემაგრებია კლუბები ცენტრში, ხოლო მაზრებში შეექმნა გაერთიანებული საკავშირთაშორისო კლუბები, შესაფერის ძალების, თანხების და ბინის უქონლობის გამო, მიზანშეუწონლად იქნეს აღიარებული.

შემდეგისათვის კლუბების მუშაობა უნდა გამოცხოველდეს კლუბების გამგეობათა ხელახალი არჩევნების, სხვადასხვა კომისიების დაარსების და ნამდვილ წევრობის გატარების საშუალებით.

ამასთანავე ერთად უნდა ჩატარდეს კამპანია კლუბებში ახალი წევრების ჩასაბამათ, აქტივის შესაქმნელად და საკლუბო მუშაობის გამოცდილების გამოსაყენებლად.

3. მიღებულ უნდა იქნეს ყოველგვარი ზომები კლუბების მასიური მუშაობის გამოსაცოცხლებლად. წრეების მუშაობას არ უნდა ჰქონდეს უმთავრესი ადგილი კლუბის საქმიანობაში. უმთავრესი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მასიურ მუშაობას: კლუბებთან პირველ რიგში უნდა დაარსდენ პოლიტგანათლების, პროფესიონალურ პროპაგანდის, რადიოს, მსროლელთა, თვითგანვითარების და ფიზკულტურის წრეები. ამასთანავე უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს წრეების ღირსებას და არა რაოდენობას.

4. ფიზკულტურის მუშაობა მაზრებში არ არის დაყენებული საკმაოდ დამაკმაყოფილებლად. პლენუმი წინადადებას აძლევს ადგილობრივ პროფორგანიზაციებს დაუყოვნებლივ შეუდგენ ფიზკულტურის ბიუროების ორგანიზაციას. ამ ბიუროებმა უნდა დაამყარონ კავშირი ადგილობრივ საბჭოებთან და აგრეთვე საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ ფიზკულტურის ცენტრალურ ბიუროსთან და ამისათვის გამოჰყონ შესაფერისი თანხები.

5. წარსული მუშაობის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ცალკე საკავშირო ორგანიზაციებმა ვერ დააყენეს კულტმუშაობა შესაფერის სიმაღლეზე, რადგან საამისო ძალები და ნივთიერი შესაძლებლობა არ მოეპოვებათ.

პლენუმს დროულად და საჭიროთ მიაჩნია მომავალ სამაზრო კონფერენციებზე დაისვას საკითხი კულტმუშაობის გაერთიანების შესახებ საკავშირთაშორისო ორგანიზაციებთან.

6. კულტმუშაობის გასაცხოველებლად ადგილებზე, ცენტრთან კავშირის გასაძლიერებლად და გამოცდილების გამოსაყენებლად საჭიროდ იქნეს ცნობილი კულტკონფერენციების ჩატარება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების თაოსნობით და მონაწილეობით შემდეგ ადგილებზე: ბათომში, ფოთში, ჭიათურაში, ქუთაისში და ბორჯომში.

ამ კონფერენციების ჩატარების შემდეგ კულტკონფერენციები უნდა ჩატარდენ სხვა მაზრებშიაც.

7. მიუხედავათ საკავშირო და საკავშირთაშორისო ყრილობისა და კონფერენციების მთელი რიგი დადგენილებისა მრავალ მაზრებში ჯერ კიდევ არ დაუწყიათ მუშაობა გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.

პლენუმი მოაგონებს, რომ კულტმუშაობა უნდა სწარმოებდეს გეგმის მიხედვით და გეგმები და ხარჯთაღრიცხვები უნდა გაიგზავნოს მაღლა მდგომ პროფორგანოებში.

8. პლენუმს საჭიროდ მიაჩნია მიღებული იქნეს ზომები დახელოვნებული (კვალიფიციური) მუშების მოსამზადებლად კურსებისა და სხვა საშუალებებით.

# რკინის გზებზე

### ტვირთების მოძრაობა

სექტემბრის განმავლობაში დღეღამეში საშუალოდ იტვირთებოდა 567 ვაგონი. აგვისტოში კი დატვირთულა 66 ვაგონით ნაკლები. ნავთის პროდუქტებით დატვირთულა 146 ვაგონი, 15 ვაგონით ნაკლები, ვიდრე აგვისტოში. მეზობელ რკ. გზებიდან ტვირთების მიღება აღწევს სექტემბერში 191 ვაგონს, გადიდებულია 21 ვაგონით. ეს აიხსნება პურის გადატანის გადიდებით.

### რკინის გზების 100 წლის იუბილესათვის

რკინის გზათა სამმართველომ მიიღო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ პირველი რკინის გზის აშენებიდან 100 წლის შესრულების გამო [illegible] კიდევ არ არის გამორკვეული. არჩეულია სპეციალური კომისია საიუბილეო ზეიმის მოსაწყობათ.

### საუღელტეხილო ხაზის ელექტროფიკაცია

რკინის გზათა სამმართველოს უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა საკითხი საუღელტეხილო გზის ელექტროფიკაციის შესახებ. ხაშურ-ზესტაფონს შორის ელექტრონით მოძრაობა დაიწყება 2—3 წლის შემდეგ. მომავალში ელექტროფიკაცია მოხდება აგრეთვე ტფილის-ხაშურის ხაზზე და სხვა ადგილებში. ამ მიზნით დასავლეთ საქართველო- [illegible] ელექტრონის სადგურის აშენება. ასე სადგურის აშენება კანზრახულია მდინარე რიონზე.

# შავი ზღვის რკინისგზა

გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატმა საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ მიმდინარე წელშივე დაწყებულ იქნეს რკინის გზის ხაზის გაყვანა ზუგდიდიდან სოხუმამდე. ამ სამუშაოებისათვის გადადებულ იქნა 4 მილიონი მანეთი.

მიმდინარე წელს გამომუშავებული გეგმის მიხედვით იწარმოებს მუშაობა ენგურის და რუხის წყლის ხიდების ასაგებად, რომელნიც 1 ნახ. ვერსით ერთი მეორისგან დაშორებულია. მუშაობა ამ ხიდების ასაგებად დიდხანს გაგრძელდება. გეგმით რუხის წყალზე უნდა აიგოს 15 საჟენიანი ხიდი, ხოლო ენგურზე 200 საჟენიანი. ფერმები ხიდებისთვის უკვე შეკვეთილია, ფერმების საერთო წონა 250 ფუთი იქნება, ფერმების და სხვა საამშენებლო მასალის ჩამოზიდვის გაადვილების მიზნით განზრახულია დროებითი ლიანდაგის გაყვანა 20 ვერსის მანძილზე სად. ხეთიდან მდ. ენგურამდე. ეს გარემოება საშვალებას იძლევა გაიხსნას რკინისგზით მიმოსვლა ზუგდიდიდან დაწყებულ ვადაზე უფრო ადრე. მუშების მიმოსვლა რკინისგზით 15 ვერსის მანძილზე ახალ-სენაკიდან მდ. ხოფამდე უკვე გახსნილია. ამ ჟამად მდ. ხოფამდე შენდება დროებითი 15 საჟენიანი ხიდი. დროებითი მიმოსვლა სად. ხეთამდე გაიხსნება მიმდინარე წლის 6 ნოემბრისათვის.

დაიწყო მიწის სამუშაოები გზატკეცილზე ახალსენაკიდან ზუგდიდამდე.

### ზუგდიდ-ჯვარის შტო

შავიზღვის რკინისგზის სამმართველომ ცენტრში წარადგინა ხარჯთაღრიცხვა ზუგდიდ-ჯვარის შტოს გასაყვანად. ეს შტო სიგრძით იქნება 29 ვერსი და დაჯდება 1.400.000 მანეთი. ჯერ-ჯერობით სამმართველო კვლევა-ძიებისათვის ითხოვს 8.700 მანეთს. თუ სამმართველოს სალიანდაგო მასალა უფასოდ დაეთმობა, შტოს გაყვანა დაჯდება 1.100.000 მანეთი. რკინისგზის ამ შტოს გაყვანის ასეთი სიიაფეს სამმართველო ხსნის იმით, რომ ადგილების მდებარეობა, სადაც შტო უნდა იქნეს გაყვანილი, ძალიან მოხერხებულია. შტოზე საჭირო იქნება მხოლოდ ორი ხიდის აგება. საკითხი ზუგდიდ-ჯვარის შტოს გაყვანის შესახებ განსახილველად გადაეცა ა.-კ. საგეგმო კომისიას.

ზუგდიდ-ჯვარის შტო სჭრის ზუგდიდის მაზრას ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეს, მიიმართება ენგურის ხეობაში და უახლოვდება სვანეთის საზღვარს ამ ხეობაში სვანეთისაკენ მიმავალი ბილიკი. ამ მოკლე ხანში გადაკეთებული იქნება ფართე გზატკეცილად. ზუგდიდ-ჯვარის რკინის გზის შტო შავიზღვის რკინისგზას შეუერთებს სვანეთის მხარეს, რომელიც ცნობილია მდიდარი ტყეებით და დიდ ძალი მადნეულობით.

საკითხი ზუგდიდ-ჯვარის რკინისგზის შტოს გაყვანის შესახებ აღძრულ იქნა ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის მიერ.

# საგზაო მშენებლობა

## სამხრეთ-ოსეთის გზატკეცილები

დღემდე სამხრეთ-ოსეთი მოკლებული იყო რიგიან გზატკეცილებს, რაც შეუძლებელს ხდიდა ამ ავტონ. ოლქში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას. ამჟამად საგზაო მშენებლობას ოლქში ექცევა უდიდესი ყურადღება.

უკვე დაიწყო მუშობა ფართე გზატკეცილის გასაყვანათ ქ. ცხინვალიდან როკამდე. ჯერ-ჯერობით მუშობა სწარმოებს ჯავა-როკის უბანში 7—8 ვერსის მანძილზე. სამუშაობზე სექტემბერში დაბანდებული იყო ყოველდღიურად 100 მუშახელი.

წინასწარ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით გზატკეცილის გაყვანა უნდა დამთავრდეს ერთი წლის განმავლობაში, ე. ი. 1926 წლის სექტემბრისათვის. ცხადია ასეთი მცირე მუშა-ხელით შეუძლებელი იქნება გზის ასეთ მოკლე ვადაში დასრულება. თუ მუშაობა ამ დონეს არ გასცილდა, გზის გაყვანას 5—6 წელიწადს მოუნდებიან.

ყოველდღიურად სამუშაოებზე სოფლებიდან მოდიან ასობით გლეხები, მაგრამ საკმაო თანხების უქონლობის გამო გზატკეცილების ადგილობრივი სამმართველო იძულებულია უარი უთხრას გლეხებს დღიურ სამუშაოებზე. გზატკეცილის მუშათა შრომის პირობები ვერ არის დამაკმაყოფილებელი. საჭიროა მუშებისათვის მოეწყოს მოძრავი სამზარეულო, რომელიც ცხელ საჭმელს დაამზადებს. ცხელი საჭმელის უქონლობის გამო მიწის და კლდის მძლე სამუშაოები და აგრეთვე ნარდი მუშაობა გლეხებს ძალიან ჰქანცავს და ძალღონეს ართმევს. გლეხებისათვის არ არსებობს ღამის გასათევი ბინები—კარვები. მუშები იძულებული არიან ცის ქვეშ, სველ მიწაზე გაითიონ ღამე, რაც იწვევს მუშების ხშირს დაავადმყოფებას.

მუშები მოკლებულნი არიან აგრეთვე სამკურნალო-საექიმო დახმარებას.

სათანადო ორგანოებს მართებთ მეტი ყურადღება ოსეთის გზატკეცილზე მომუშავე მუშების მიმართ.

ვ.

# ამ.-კავ. საბ. კომისართა საბჭოში

— **ა. | კ. კომ. უნივერსიტეტისათვის** ა. | კ. კომისართა საბჭომ 1925—26 წ. ხარჯთ-აღრიცხვით გადასდო 30000 მან.

— **საგზაო მშენებლობა.** ა. | კ. სახკომსაბჭომ დაადგინა წარსული წლის სას.-სამეურნეო გადასახადიდან 10 პროც. ანარიცხები მთლიანად მოახმაროს საგზაო მშენებლობას.

— **ზომა-წონის ცენტრ. სამმართველოში** ა. | კ. სახ. კომისართა საბჭომ თავის წარმომადგენლად დანიშნა პროფ კოტლიარევსკი.

— **ა. | კავკასიაში** მიწათმოსაწყობ სამუშაოთა ჩასატარებლად საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიერ გადადებული თანხა განაწილებული იქნა შემდეგნაირად: საქართველოს—86,200 მან., აზერბეიჯანს—61.200 მან. და სომხეთს—30,000 მან.

— **ბამბის მეურნეებს** ა. | კ. სახ. საბჭოს დადგენილებით ფუთი ხორბალი მიეცემათ 1 მ. 50 კ.

— **კომისართა საბჭომ გადასწყვიტა** აღძრას შუამდგომლობა საკავშირო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ფუთი ბამბის ძაფი არ გაიყიდოს 21 მან. 30 კაპეიკზე ნაკლებათ.

# ფოსტის გადატანა ავტო მანქანებით

მიმდინარე სამეურნეო წლიდან საქართველოში იწყება ფოსტის ავტო-მანქანებით გადაზიდვა. ფოსტის გადაზიდვის მექანიზაცია იკისრა ამხანაგობა „ზაკავტოპრომტორგ"-მა, რომელშიდაც მიმდინარე წლიდან ერთ-ერთ მონაწილეთ შედის ა-კ. საოლქო კავშირი.

„ზაკავტოპრომტგ"-თან დადებული ხელშეკრულების ძალით სახალხო შეერთების საოლქო სამმართველოს გარაჟები და მისი ინვენტარ-მოწყობილობა ყველა გზატკეცილებზე გადადის „ზაკავტოპრომტორგის" გაკარგულებაში. პირობის ძალით „ზაკავტ." კისრულობს თბილისში არსებულ ყველა საფოსტო ყუთების ორჯერ შემოვლას დღეში და ყველა საფოსტო განყოფილებების საზოგადოებას ევალება ქალაქის საფოსტო განყოფილების ფოსტათა გადატან-გადმოტანა დღეში ორჯერ, მთელი საფოსტო ამანათების მთავარ საფოსტო კანტორიდან სადგურამდე და უკანვე ტელეგრაფის და ტელეფონის საჭიროებათა დაკმაყოფილება ქალაქის რაიონში, მთავარ კანტორისათვის ცხენების და ველოსიპედების ყოველდღიურად მიწოდება, ქალაქის განაპირა უბნებში კორესპონდენციების გადასატან-გადმოსატანად.

გარდა ამისა „ზაკავტოპრომტორგი" მოვალეა იკისროს ფოსტის გადაზიდვა თბილის-კავკავს შუაბორჯომ-ახალციხ-აბასთუმანის, თბილისს-მანგლის, სოხუმ-გუდაუთს ახალსენაკ-ზუგდიდის და კობა-ხაშმასის ხაზებზე. ხაზებზე მძიმე ფოსტა უპასაჟიროთ ივლის ორჯერ კვირაში, ყოველდღიურად იმოგზაურებს მსუბუქი ფოსტა მგზავრებითურთ დანარჩენ ხაზებზე, სადაც „ზაკავტოპრომტორგის" მანქანები მუშაობენ, საზოგადოება მოვალეა უფასოდ გადაზიდ-გადმოზიდოს ფოსტა ფოსტა-ტელეგრ. სახ. კომსარიატისათვის.

ფოსტის გადაზიდ-გადმოზიდვის სისწრაფე უნდა იქნეს მაქსიმალური,—და იმ ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია ავტომობილებისათვის დადგენილ წესდებით. საფოსტო გადაზიდვის მექანიზაციის გამო საფოსტო პუნქტები, რომელნიც ფოსტას კვირაში ორჯერ ღებულობდენ, ამიერიდან ფოსტას მიიღებენ ყოველდღიურად.

# ქრონიკა

### ტფ. აღმასკომში

— **წამლეულობის შესაძენად.** ტფ. აღმასკომმა საექიმო ქვე-განყოფილებას წამლეულობის შესაძენათ სესხის სახით მისცა 68,325 მან.

— **მილიციის შტატი.** ტფ. აღმასკომმა ტფ. მაზრის მილიციის უმცროს მილიციელთა შტატი განსაზღვრა 108 კაცით.

— **ქალაქში მიწის ნორმის** გამომუშავება ტფ. აღმასკომმა მიანდო საგეგმო კომისიას.

— **სახლი სტუდენტებისათვის.** ტფ. აღმასკომმა პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს უბინაო სტუდენტებისათვის გადასცა ბელინსკის ქუჩაზე მდებარე სახლი № 2.

— **ტფილისის გეგმა.** ტფილისის და მისი რაიონების გეგმის შესადგენათ ტფ. აღმასკომმა გამოჰყო ცალკე კომისია.

— **საბეითლო დახმარება.** ტფ. მაზრაში საქონლის ჭირის და ავადობის წინააღმდეგ საბრძოლველად დამდეგ საანგარიშო წელში იმუშავებს 18 ბეითალი.

— **ქუჩების განათება.** ტრამვაის დირექცია ამჟამად მუშაობს იმ ქუჩების განათების მოსაწყობად, რომლებზედაც მოძრაობს ტრამვაის რონოდები.

— **ტფ. აღმასკომის სანიტარულ-ტეხნიკურმა სექციამ** ზაფხულის განმავლობაში 70 სახლში გაიყვანა საკანალიზაციო მილი.

### სოც. უზრ. სახ. კომისარიატში

— **სახელმძღვანელო გეგმა.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა საპენსიო განყოფილებას შეადგინოს სახელმძღვანელო გეგმა სამაღმასკომებთან არსებულ სოც. ფილებებისათვის.

— **შესდგა საუწყებათაშორისო კომისია** სოც. უზრუნველყოფაზე მყოფ ზოგიერთ ინვალიდების დამზღვევ სალაროებისათვის გადასაუზრ. განყოცემათ.

— **არტელების გაწმენდა.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატის განკარგულებით ამჟამად სწარმოებს ინვალიდთა არტელების გაწმენდა საეჭვო პირებისაგან.

### ჯან. სახ. კომისარიატში

— **სულითავადმყოფთა ექიმების** სრ. საკავშირო ყრილობაზე საქართველოდან იგზავნებიან ექიმი გოცირიძე და ფსიქო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის პროფ. ასათიანი.

— **ექიმების საჭიროება.** ჯანსახკომს ესაჭიროება 45 ექიმი მაზრებში დასაგზავნად.

— **სამკურნალო დაწესებულებათა** შტატების განხილვას უკვე შეუდგა მ.-გ. ინსპექცია.

### მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **ტყე გლეხობას.** მიწათმოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილების ცნობით მთელ საქართველოში გლეხობას გადაეცემა 134,500 დესეტინა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები.

— **შემოსავალი ტყეებიდან.** მიმდინარე წლის განმავლობაში საქართველოში ტყეებიდან სახელმწიფოს შემოუვიდა ნახევარი მილიონი მან.

— **მეფუტკრეობა.** ამჟამად მთელ საქართველოში ითვლება 100 ათასამდე ფუტკრის ოჯახი.

### სხვადასხვა

— **უმუშევართა დაზღვევა.** სექტემბრის განმავლობაში უმუშევართა დამზღვევმა განყოფილებამ დაზღვეულ უმუშევრებს მისცა 15,719 მან.

— **სოფლად მუშაობისათვის.** შინაგან. საქ. სახ. კომისარიატმა გამოუშვა თემაღმასკომების მდივნების კურსების მსმენელთა მესამე ჯგუფი.

— **შრომის სახ. კომისარიატი** შეუდგა კახეთში საორთქლე ქვაბების შემოწმებას.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღების და ტრაქტორების შესაძენად** საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი მომავალ წელში გასცემს სესხად 300 ათას მან.

— **კონფერენცია.** ორშაბათს, ა | წ. 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში მოწვეულია საქართველოს საბჭოთა და სავაჭროთა მოსამსახურეების ტფილისის საქალაქო, შეერთებულ ურთიერთ-დამხმარე სალაროს რწმუნებულების კონფერენცია.

— **წითელ ჯვარში.** ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა შესდგება, დღეს 4 ოქტომბერს, დილის 10 საათზე, წითელი ჯვრის შენობაში.

### უზნეო სტუდენტების გამორიცხვა

თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებისა, 1 ოქტომბრიდან ამავე უნივერსიტეტის სტუდენტები: პანტელეიმონ გრიგორაშვილი და ილია ჟუჟუნაშვილი გამორიცხულნი არიან სტუდენტთა შემადგენლობიდან იმ უმსგავსო საქციელისათვის, რომელიც მათ ჩაიდინეს ა | წ. 18 აგვისტოს სიონის ტაძარში. რაც შეეხება კაპიტონ ანთაძეს, იგი სტუდენტთა შემადგენლობაში არ აღმოჩნდა.

### ახალი წიგნები

— **ს. თალაკვაძე**—საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიისათვის (ნაწილი პირველი), პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის გამოცემა, 166 გვ. ფასი 1 მანეთი.

— **А. Лозовский**—Пять лет Профинтерна, პროფინტერნის გამოცემა (მოსკოვი), 40 გვ., ფასი ერთი აბაზი.

— **Ф. Геккерт**—Революционное профдвижение в Германии, პროფინტერნის გამოცემა, 30 გვ., ფასი ერთი აბაზი.

— **მ. გოგიაშვილი**—„პოეტების ცეცხლის გზაზე"—პოემა, 54 გვ. ფასი ხუთი შაური.

# ხელოვნება

### საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში

დღეს, კვირას, 4 ოქტომბერს, დილის 10 საათიდან ხელოვნების სასახლეში დანიშნულია საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გამგეობის სხდომა (ნ. ზომლეთელი, ს. ეული, შ. დუდუჩავა, გ. ბუხნიკაშვილი, კ. კალაძე, ა. მაშაშვილი, ბ. ბუაჩიძე, ესაკია, გ. ხეჩუაშვილი, აკ. აკოპიანი, კრეიტანი, რონდელი და დარპინიანი). ერთი საათის შემდეგ იქვე შესდგება სარედაქციო-საგამომცემლო კომისიის სხდომა (ზომლეთელი, ეული, დუდუჩავა, რადიანი, კალაძე, ბუხნიკაშვილი და გედევანიშვილი).

— **„თეთრი ტერორი".** ვახტანგ გარიკი ამ ჟამად სწერს პიესას: „თეთრი ტერორი" საფრანგეთის რევოლიუციის ეპოქიდან. „თეთრი ტერორი" გაგრძელება იქნება რ. როლანის „დანტონი"-სა.

— **მხატვართა კავშირში.** შაბათს, 10 ოქტომბერს, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში, საღამოს 6 საათზე, შესდგება კავშირის წევრების საერთო კრება მეტად სასწრაფო საქმეების მოსაწესრიგებლად.

# შემთხვევები

— **მაოცხი.** 2 ოქტ. საღამოს 5 საათზე ყოფილ ნორაშენის ეკლესიის ეზოს რკინის კარები წამოიქცა და თავზე დაეცა ამ დროს შემთხვევით ქუჩაში მიმავალ სარა წითლიშვილს, რომელსაც ხელში ეჭირა 1 წლის ბავშვი. ორივენი სასიკვდილოდ არიან დაშავებულნი.

— **ბავშვის დაკარგვა** 2 ოქტ. მოქ. ბეგლარ მოსესოვმა განუცხადა მილიციას, რომ 1 ოქტ. დღის 4 საათზე სახლიდან გასულა მისი შვილი ალექსანდრე მოსესოვი მე-70 შრ. სკოლის მოწაფე და დღემდე სახლში არ დაბრუნებულა.

— **შეპყრობა.** 2 ოქტ. კურსანტების შესახ. № 3 ექიმ კლიშევსკის ბინაზე შეიპყრეს ნიკოლოზ მიკიტინი, ალექსანდრე მაკაროვი და კიმოთე ადამოვი, რომელთაც უნდოდათ გაექურდათ აღნიშნული ბინა.

ამავე დღეს ა | კ. სახელმწიფო სავაჭროს საწყობიდან მოიპარეს არითმომეტრი, ღირებული 475 მან. ქურდი ბრაუ-ლოვი შეიპყრეს.

# მუშათა ცხოვრება

## საუზმეზე

(მუშის შენიშვნა)

(ძღვნათ თამბაქოს ტრესტს).

დილის 10 საათია.—თუთუნის ქარხნის ჭიშკართან ერთი ახალგაზრდა დგას პორტფელით და გულმოდგინეთ იყურება ეზოში. ქარხნიდან ამოდის ერთი ლურჯ-ფართუკიანი მუშა.

— ამხანაგო, ეს რის ქარხანაა?— ეკითხება მუშას ახალგაზრდა.

— მეორე სახელმწიფო თუთუნის ქარხანა.

— ეს მუშები რათა სხედან ეზოში, ასე გაბნეულნი!

— იმიტომ, რომ საუზმობენ;

— კარგი, სასადილო არა გაქვთ?

— როგორც ხედავთ.

— ეს პირდაპირ, რომ პატარა ბუტკა სჩანს, იმის წინაც სხედან მუშები. ის რა ბუტკაა?

— იქ ფეხისადგილია.

— ეს აქეთ, რომ დერეფნის ქვეშ დიდრონი ყუთები აწყვია, იქაც სხედან და ის რის ყუთებია?

— ისინი ნაგვის ყუთები გახლავთ

— მაშ, მუშები ყოველ დღე ასე ნაგავში სხედან და საუზმობენ?

— როგორც ხედავთ.

— თქვენ ადგილკომი არა გყავთ?

— როგორ არა, ძალიან ყოჩაღი ბიჭებიც არიან ადგილკომში.

— მერე, რატომ არა სცდილობს იგი, რომ მუშებს სასადილო მოუწყონ?

— ბევრი ეცადა, ბევრი ილაპარაკა ამაზე, ყბები დაეღალა, მობეზრდა და დაჩუმდა.

— დირექცია რაღას ჰფიქრობს ამაზე?

— დირექციამაც მიჰმართა ტრესტს.

— მაშ, სად არის სასადილო?

— აგერ დერეფნის ქვეშ ეწყო მისთვის აგური, ქვიშა, კირი, ფიცრები და სხვა...

— მერე?

— მერე ნელ-ნელა უკან გაზიდეს და სასადილოს მოწყობა „დროებით“ ისევ გადასდვეს.

— რისთვის, ან როდემდის?

— ვიდრე ზაჰესი დასრულდებოდეს.

— არ მესმის, რა კავშირი აქვს „ზაჰეს“-ს თქვენს „სასადილოსთან“?

— მუშებსაც არ გვესმის, მაგრამ ეს ასე ხდება.

— ეგ დაუშვებელია, როგორ შეიძლება. რატომ გაზეთის საშუალებით არ მისთხოვეთ ტრესტს, რომ მან მალე მოაწყოს სასადილო?

— ეგეც ვსცადეთ; რედაქტორს თავი მოვაბეზრეთ; ასოები გაცვდა; გაზეთში ალაგი აღარ დაგვრჩა. ჩვენც დავიღალენით წერით, გავჩუმდით და მუშები კი ისევ სანაგვეზე საუზმობენ.

ტრესტი ისე მაგრა სდგას თავის სიტყვაზე, როგორც მამადავითის მთა.

— გასაკვირია და საოცარიც!..

მუშა ამბალი.

## სალამი ხამთავისის კომუნარებს!

სალამს მოუძღვნი თქვენს ძმობას,
თქვენს შრომას შეერთებულსა,
სიყვარული და სიმტკიცე,
ოჯახსა გამრავლებულსა.

სიმხნევე მეთაურებსა,
სიმრავლე კომუნარებსა,
ვაშა, ვინც მშენებლობისთვის
არ იშურებენ ძალებსა!

მომესმა:—ერთი სოფელი
შეძმობით შეერთებულა,
კომუნალური ცხოვრება
ხამთავისს განმტკიცებულა:

იქ ერთი კერა გუზგუზებს,
ჩანგი საერთოდ ჟღერისო,
შეხმატკბილებით სუყველა
შრომის ჰანგებზე მღერისო.

შენდება შრომის სამეფო,
ჩაყრილა საძირკველიო,
გარჯაა დაუზარელი,
ყველმხრივ ეწყობა ხელიო...

ვნახე და კიდეც დავრწმუნდი,
რაც მითხრეს, არა მჯეროდა,
თუ ძმურათ გული გიძგერდათ
და სიყვარულიც ხელობდა.

გისურვებთ გამარჯვებასა,
მშრომელნო, გენაცვალებით,
კომუნა სისხლ-ხორც შესხმული,
რომ ვნახე ჩემის თვალებით!

მსურს დაიქსელოს მსოფლიო
მძლეთა-მძლე კავშირებითა,
ამაგდართ გიხსენიებდენ
შემდგომნი ნეტარებითა.

მუშა შაქრონავთლულელი.

## პოლიგრაფიული წარმოების მუშებში

სტამბის მუშების დიდი უმრავლესობა დაავადმყოფებულია ერთის მხრით სტამბებში მუშაობის პირობების მავნებლობით და მეორე მხრივ კვების ნაკლულოვანების გავლენით. ამიტომ ამ ბოლო დროს კავშირმა აღძრა საკითხი მუშებისათვის ჯამაგირების მომატების შესახებ. ეს საკითხი კრებაზე სასურველათ დაბოლოვდა და ყველა სტამბების პატრონებმა ერთხმათ მიიღეს წინადადება ჯამაგირების მომატების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიგრაფიულმა ტრესტმა ამ მომატების წინააღმდეგ გაილაშქრა და მოითხოვა ეს საკითხი საკონფლიქტო კომისიაში გადაეცათ იმ მიზნით, რომ საკითხი მიეფუჩეჩებია და კიდეც მიჩუმდა...

ასეთი საქციელი პოლიგრაფიული ტრესტისა დიდ უკმაყოფილებას იწვევს მუშებში...

სამუშაო სტამბებს ძალზე ბევრი აქვთ. მუშებიც თავის მოვალეობას ყველანი პირნათლად ასრულებენ, თითქმის ნორმაზე მეტსაც კი აკეთებენ.

ნუ თუ დასაჯერებელია, რომ პოლიგრაფიული წარმოება აქ ზარალობდეს. პოლიგრაფიულ ტრესტს საკმაო მოგება რჩება და თვით მისი ბრალია, თუ ეს მოგება ზოგიერთ პირების მიერ იფლანგება (როგორც მაგ. 1-ლი სტამბის გამგემ მალანიამ შვიდი ათასი მან. გაანიავა. მე-2 სტამბის გამგემ ბაინდურიანცმა —კი 1.000 მან. და სხ.)

სტამბის მუშა.

## თუ გვაძლევთ, მოგვეცით

ექიმ სიხარულიძეს აქვს ჩაბარებული ლენინის უბანი, სადაც მთავარ სახელოსნოების და ტფილისის საყუდის მუშების დიდი უმრავლესობა სცხოვრობს. ექიმს უხდება დღეში 80—40 ავადმყოფის ნახვა სახლებში, რისთვისაც მას აქვს მიცემული სამმართველოდან და ჯანმრთელობის განყოფილებიდან ავტომობილი. ამ ავტომობილის დანიშნულება ექიმის სახლებში მიყვანა და ავათმყოფების საავადმყოფოში გადაყვანა. მაგრამ თქვენ ბევრჯერ შეხვდებით ექიმ სიხარულიძეს საღამოს 6—7 საათზე დაღლილ დაქანცულს, მოსიარულეს ფეხით ლენინის უბანში. ამავე დროს არ ყოფილა შემთხვევა, რომ ავტომობილს ვინმე ავადმყოფი გადაეყვანოს საავადმყოფოში. ავტომობილი ძველათ-ძველია, დამტვრეული და ყოველ-დღე რემონტშია.

თუ გვაძლევთ—მოგვეცით, თუ არა და მოგვაცილეთ.

მუშკორი ციც.

---

## ფოსს მოდი, „კულტუროსანო“.

ზაჰესის 1 უბანში ინჟინერ მიქელაძის კანტორაში მსახურობს უფროს მოანგარიშეთ მოქ. კ. დევდარიანი. იგი თავის თანამდებობით ისე გათამამებულია (თუ ხასიათზე არც არ არის), რომ მასთან ლაპარაკიც შეუძლებელია.

თუ ის ხასიათზეა, მაშინ სულ სხვა „კოწიაა“.

როგორ გაიგონ მუშებმა, თუ როდის არის კარგ ხასიათზე კოწია. ზაჰესშიც საჭიროა სიდინჯე და ზრდილობა და მუშებთან ლმობიერი მოპყრობა, თორემ შრომის კანონებს თქვენი გამოსწორებაც შეუძლიან.

მუშკორი მცხეთელი.

## გამოგზავნილი წერილებიდან

— **ზარმაცი მეეზოვე.** არსენალის შესახვევში, სადაც უმთავრესად მუშა - მოსამსახურეები სცხოვრობენ, გვყავს ერთი მოხუცი მეეზოვე, რომელიც თავის მოვალეობას გულგრილად ეპყრობა.

აუწიეთ ყური!

ახკორი—გ ბასიანი.

---

— **ეს წყალსადენი შეაკეთეთ.** საბჭოს ქუჩის ბოლოს არის წყალსადენი, რომელიც ძალიან დაზიანებულია, მის ირგვლივ საშინელი წუმპე-ტალახი სდგას, რის გამო წყლით სარგებლობა შეუძლებელი ხდება.

ალმასკომო, შეუკეთე აქაურ მუშებს ეს წყალსადენი!

ახკორი—ნ. ობოიანი.

---

— **აქ უნდა მოსპოთ თამბაქოს წევა.** ირაკლის და სხ. საერთო აბანოებში მექისეები თამბაქოს სწევენ. აქ ისედაც ძალიან მძიმე ჰაერია და თამბაქოს კვამლი კი საშინლად სწამლავს ჰაერს.

მუშკორი—შავსოფლელი.

---

— **გაუსწორებელი ლოთი შემანქანე რკინის გზას აღარ სჭირდება.** სად. ტფილისში მსახურობს შემანქანის თანაშემწეობაზე ვინმე კახტუნინი, რომელიც სისტემატიურად ლოთობს. მთვრალი ის საშინლად იგინება; სამუშაოს გაურბის. 26 სექტემბერს მთელი აურ-ზაური ასტეხა მან სად. ღესტაიაში.

ან გამოასწორეთ, ან და მოგვაშორეთ ასეთი გაუსწორებელი ლოთი ვინმე!

მუშკორი—რკინისგზელი.

---

— **სად არის სანიტკომი?** მე-2 უბანში ართვინის შესახვევთან არის ერთი ადგილი, სადაც ჰყრია აუარებელი ნაგავი, რომელიც საშინლად ჰყარს და სწამლავს არე-მარეს.

სანიტკომო, დაგეძინა?!

მუშკორი—გვინჩიძე.

---

— **ეხენიც აქედან აბარგეთ.** პლეხანოვის ქუჩაზე ლაღიძის დუქნისწინ სალამოობით თავს იყრიან ვიღაც საეჭვო და უზნეო ახალგაზრდები.

საჭიროა ჭკუა და წესი ასწავლოთ ამ ავარებს.

მუშკორი—ჩიძე.

# წერილები პროვინციიდან

## შეცდომა უნდა გამოსწორდეს

ლეჩხუმის მაზრის ს. საირმიდან გლეხი ქალი ალავიძე გვწერს, რომ გათხოვების დროს მას წილად ხვდა დედმამისაგან ქოშხის თემში ერთი ქცევა მიწა, რომელსაც საკუთარი შრომით ამუშავებს. ქოშხის გლეხკომმა რაღაც მოსაზრებით სცნო, რომ საირმეში მცხოვრებ ალავიძის ქალს ეყოფა ქმრის ქონება და მამისეული მიწა ჩამოართვა მას.

ეს საქმე გასაჩივრებულ იქნა მაზრაში. მაზრამ მიიღო მხედველობაში, რომ ალავიძე თავის შრომით ამუშავებს მიწებს როგორც საირმეში, ისე ქოშხიში, რომ ორივე ნაჭერი ერთ და მეორე თემში არ აღემატება ნორმას და დაადგინა, ჩამორთმეული მიწა დაბრუნებოდა ალავიძეს, მაგრამ გლეხკომი არ სცნობს მაზრის გადაწყვეტილებას და მიწა დღესაც დაუბრუნებელია.

ამ რიგად ჩვენ აქ მოვალეობათა ჩვეულებრივ არევ-დარევასთან გვაქვს საქმე. ბევრს ვსწერთ და ვლაპარაკობთ გლეხკომების დანიშნულების და მათი ამოცანების შესახებ, მაგრამ დღესაც კიდევ ბევრ გაუგებრობას აქვს ადგილი. გარდა იმისა, რომ გლეხკომები ხშირად ვაჭრობას და ალებ-მიცემობას ეტანებიან, რითაც აშკარად უხვევენ თავის დანიშნულების პირდაპირ გზიდან, ზოგჯერ ისინი ადმინისტრატიულ უფლებებზეც არ ამბობენ უარს. ამ შემთხვევაში სწორეთ ასეთ მაგალითთან გვაქვს საქმე.

რომელ კანონის ძალით ჩამოართვა გლეხკომმა მიწა ალავიძის ქალს, რა უფლებით იკისრა მან სოფლად აგრარულ რეფორმის ჩატარება?— და შემდეგ, როცა ჩადენილი უკანონობა გამოსწორებულ იქნა მაზრის დადგენილებით, რატომ რჩება სისრულეში მოუყვანელი მაზრის გადაწყვეტილება?

აშკარაა ქოშხის გლეხკომმა, რომ მეტი არა ვთქვათ, გადააჭარბა თავის უფლებებს. ის რომ სხვა ვინმეს ჩამოერთვა ალავიძისათვის მამისეული მიწა, თვით უნდა გამოსარჩლებოდა მას. აქ კი სრულიად წინააღმდეგი გამოვიდა. გლეხობის უფლებრივი დაცვა, მათი ნივთიერი და შრომით, დახმარების საკითხი, კულტურულ განმანათლებელი საქმე, ბრძოლა სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის,—აი გლეხკომების მოღვაწეობის ასპარეზი.

ქოშხის გლეხკომმა ეს კარგად უნდა დაიხსომოს და რაც შეიძლება დაჩქარებით გამოასწოროს დაშვებული შეცდომა.

ა. ბ—ლი.

## სად უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი

თავის თავად ცხადია, რომ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმის მნიშვნელობა კახეთისათვის განსაკუთრებით დიდია. სწორედ ამიტომ სიღნაღის მაზრის ახლად დაარსებული სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმი გაცილებით მეტ ყურადღებას და პატრონობას მოითხოვს, ვინემ მას ეს დღეს აქვს. თუმცა აღნიშნულ ტეხნიკუმს გადაეცა 26 დესეტინა მამული, რომლიდანაც 11 დესეტინა ვენახია, მაგრამ ეს არის და ეს, მას მეტი არაფერი აბადია. ეს მამული კი ვერ აკმაყოფილებს ტეხნიკუმის მოთხოვნილებას. ყოველივე ამით ხელმძღვანელობდა სიღნაღის სამაზრო საბჭოთა ყრილობა, როდესაც მან ითხოვა ცენტრის წინაშე აღნიშნული ტეხნიკუმის ბაკურციხიდან მუკუზანის სახალხო მამულში გადატანა, მაგრამ სამწუხაროდ ეს საკითხი დღესაც გადაუჭრელია ცენტრის მიერ.

მუკუზანში ტეხნიკუმს ხარჯები ფრიად ნაკლები დასჭირდება; მას შეუძლია ისარგებლოს იმ ინვენტარით და მოწყობილობით, რომელიც იქაურ სახალხო მამულს აქვს. აგრეთვე მუკუზანში თუ სამუდამოდ არა, ყოველ შემთხვევაში ორი-სამი წლით მაინც ტეხნიკუმს შეუძლია ისარგებლოს იმ შენობით, რომელიც იქ არის. მხოლოდ საჭირო იქნება მუშა-მოსამსახურეების შეჯგუფება და შემჭიდროება. შემდეგ კი მდგომარეობაც გაუმჯობესდება და საკუთარი ბინის აგებაც შესაძლებელი გახდება. მუკუზანის წარმოკავშირის მამულში მსახურობენ სხვადასხვა სპეციალისტები, რაც საშუალებას მისცემს ტეხნიკუმს გამოიყენოს აღნიშნული სპეციალისტები მასწავლებლებათ.

ბოლოს, რაც მთავარია, მუკუზანს ის უპირატესობა აქვს ბაკურციხესთან შედარებით, რომ პირველი მდებარეობს კახეთის შუა ადგილზე: ასე, რომ ტეხნიკუმით ისარგებლებს როგორც სიღნაღის, აგრეთვე თელავის მაზრაც.

შესაძლებელია მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა იფიქროს, რომ ტეხნიკუმის გადატანა მუკუზანში ზიანს მოუტანს სახალხო მამულსო; მაგრამ ჩემის აზრით ასეთი შიში არ იქნება მართალი, რადგან მას შეუძლია იმ 126 დესეტინა მამულიდან, რომელიც მას აქვს მუკუზანში, გამოყოს და ტეხნიკუმს დაუთმოს მხოლოთ 10—16 დესეტინა, რაც მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატს დიდათ არ დააკლდება.

იმედია, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს მიექცევა ჯეროვანი ყურადღება და საკითხი მალე იქნება გადაჭრილი, თორემ სასწავლო წელი უკვე მოსულია და დროზე უნდა შედგომა საქმეს.

მ—ა

## წლევანდელი შემოდგომა

(დუშეთი)

ჩვენს მაზრაში გლეხმა პურეულის მოსავალი უკვე შეინახა. ქერი და პური მშვენიერი იყო. დესეტინაზე იღებდნენ საშუალოთ 50—60 ფუთს. ალაგ-ალაგ მოსავალი გააფუჭეს გუდაფშუტამ და თაგვებმა. თუ ქერმა და პურმა აანაზღაურა შრომა, ეს ვერ ითქმის სხვა ხორბალზე. აგვისტოსთვის გამუდმებულმა გვალვებმა გააფუჭეს სიმინდები და ბოსტნები. ხილის მოსავალიც ვერ არის უხვი; რაც არის, იმასაც არა აქვს გასავალი: კარგი ჯიშის ვაშლი და მსხალი ისეთ ფასებში იყიდება, რომ ხარჯს ვერა ჰფარავს. ღვინის მოსავლით მაზრის გლეხობა არაა მადლიერი. წინად თუ მუხრანიდან გაჰქონდათ ღვინოები, ეხლა აქეთ ეზიდებიან ღვინოებს სვირიდან, კახეთიდან, და აზერბეიჯანიდან.

მაზრაში მოსულია ფორმალინი, სწარმოებს თესლის გუდაფშუტისაგან უფასო წამლობა. ხალხი ხალისით შეხვდა ამ ახალ საქმეს. საქონელმაც კარგად იბალახა, ჩამოაქვთ მატყლი, ყველი, ერბო და რძის სხვა პროდუქტები, ნელა-ნელა ემზადებიან ყიზლარისა და შირაქისაკენ საზამთრო საბალახოებზე: საქონელმა ცოტათი იზარალა ქირისა და თურქულისაგან.

ჩვენი მაზრის გზებს მოაშორეს ღამის რაინდები—ნაცვლიშვილი და 6-ოდე სხვები, ზოგი დაიჭირეს, ზოგიც მოჰკლეს. ეხლა სიწყნარეა ყველა გზებზე და ხალხი დღე და ღამ თავისუფლად მიდი-მოდის.

მ. შატბერაშვილი.

## წერილებიდან

### რაჭა

**დავიწყებული საქმე.** რკინის გზა ახლად გამოყვანილი იყო ტყიბულში, რომ რაჭის გლეხობამ აღძრა შუამდგომლობა ნაქერალას ძირში, „მამუკას ნადუქნართან“, ბაქანი დაარსებულიყო. ეს საკითხი დადებითად გადაიჭრა. ხარჯთ-აღრიცხვაც შედგენილია, მაგრამ ომისა და რევოლიუციის გამო დღემდი ის მირჩა. ეხლა კი დროა მოვიგონოთ ეს საკითხი და დასასრული მივცეთ რაჭის გლეხების სამართლიან მოთხოვნილებას.

ა. დალაქიშვილი.

---

### პატარა-ონი (რაჭა)

**უღირსი ფერშალი.** ჩვენი სოფლის ფერშალი იაკინთე მასხარაშვილი ისე ფეხს არ გადადგამს, თუ ავადმყოფის ჭირისუფალს ფულზე წინდაწინ არ მოურიგდა და ცხენი არ მოაყვანია. მისი დაუდევრობით არა ერთი ავადმყოფი გამოესალმა წუთისოფელს.

ნარიმანი.

---

### თელავი

**რატომ დარჩა უყურადღებოთ?** 29 სექტემბერს დილით ადრე შინამრეწველ შაქრო შარმაზანოვს შეუვარდა სახლში სამი გლეხი: კოჩიევი, ბერძნიშვილი, ჯორბენაძე და ვაჭარი ჩიქვაიძე. დამცემლებმა სცემეს დაუზოგველათ შარმაზანოვს და მის ცოლს. მეზობლები რომ არ მოშველებოდენ, შარმაზანოვი ცოცხალი არ გადარჩებოდა. მილიცია ამ საქმეზე გამოძიებას არ აწარმოებს. მან პირიქით შარმაზანოვს ჩამოართვა ხელწერილი, რომ დამცემ გლეხების წინააღმდეგ არაფერი ექნება მომავალში. რაშია საქმე?

დამხედური.

---

### ს. თერჯოლა (შორაპ. მ.)

**ავადმყოფს მოვლა უნდა.** ახალგაზრდა კალისტრატე ცხადაძე ჭკუაზე შეიშალა. მშობლებმა, რაც ჰქონდათ, თან გადაატანეს, მაგრამ ვერ მოარჩინეს, ეხლა ავადმყოფი დადის ეზო-ეზო და აშინებს ბავშვებს და ქალებს. შემოდგომაზე გლეხები მთელი დღეობით ყანებში არიან და სახლში ბავშვები ვერ დაუტოვებიათ ცხადაძის შიშით. ავადმყოფის მოვლა და სოფლიდან მოშორება ხელისუფლებამ უნდა იკისროს.

ვალ—ია.

---

### ს. ტყვიავი (გორ. მ.)

**სამიკიტნო სამკითხველოს უშლის.** სამკითხველოს გვერდით სამიკიტნოა მოთავსებული. ლოთების ხმაურობა ხელს უშლის ჟურნალ-გაზეთების მკითხველებს და სრულიად შეუძლებლად ხდის ხმამაღლა კითხვას.

ოტრევისპირელი.

## სოფლის ქრონიკა

— **ხე-ტყის სახერხი ქარხანა.** ბორჯომში ამ ჟამად აგებენ ხე-ტყის სახერხ დიდ ქარხანას.

— **წყალსადენის გაყვანა.** ქედაში (აჭარაში) ახლო ხანში დამთავრდება წყალსადენის გაყვანა.

— **რადიო სოფლად.** სოფ. კულაშში (სამტრედიის რაიონი) მოეწყო რადიო-კუთხე და ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატი.

— **ტრაქტორის შეძენა.** სოფ. იგოეთის გლეხკომმა (გორ. მაზრა) ტფ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის საშუალებით შეიძინა ერთი ტრაქტორი.

— **მიწა მოჯამაგირეებს.** ბორჯომის ალმასკომმა შეკავშირებულ მოჯამაგირეთა საზოგადოებას გადასცა მიწის ნაკვეთები კოლექტიურად დასამუშავებლად.

— **მეხილეობა.** ქარელის სათემო ალმასკომი შეუდგა გლეხებისათვის ხილის შესანახ ფარდულების აგებას.

— **ხე-ტყის დამზადება.** ოსურგეთის გლეხკომების სამაზრო თათბირმა გადასწყვიტა შეუდგეს ხე-ტყის დამუშავებას.

— **5 ოქტომბერს** დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესია სად. საჯევახოში გაარჩევს საქმეს ყოფილი პარტიის წევრის გიორგი ილიას ძე მეფარიშვილისას, რომელსაც ბრალი ედება: მკვლელობაში, ქალის გაუპატიურებაში და სხვა ბოროტმოქმედებაში. მოწვეულია ოცდაათამდე მოწმე.

# იურიდიული რჩევა-დარიგება

## ბინის ქირის შესახებ

### კითხვა:

მე მიჭირავს ერთი თვალი ოთახი, ზომით 20 კვ. არშინამდე, სიმაღლე 3 არშინს არ აღემატება, მდებარეობს მე-11 სამ. უბანში მუფერნი შესახვევი, № 13 სახლში. არ მაქვს ბინაში წყალი, ვერც ვსარგებლობ სამზარეულოთი. ჩემი ოჯახი შესდგება 5 სულისაგან. ამ ისედაც ნესტიან ოთახში გვიხდება საჭმლის დამზადებაც და ყოველივე სახმარი ნივთებ ჭურჭლით ამ პატარა ოთახში ვთავსდებით. ცხოვრება ძალიან ცუდ პირობებში გვიხდება და სახლის პატრონის ჩვენდამი მოპყრობა ყოვლად აუტანელია. ის მოითხოვს ბინის დაცლას. მე მას ვაძლევდი ქირად ოთხ მანეთს თითქმის 10 თვის განმავლობაში და დღეს ვეღარ ვიტან ამ ქირის გადახდას და ვერც ბინას დავცლი ბინის კრიზისის გამო.

გთხოვთ მიპასუხოთ, თუ რა უნდა მივსცე ბინის ქირად სახლის პატრონს, და თუ უარი მითხრა ქირის მიღებაზე, ვის მივმართო და სად შევიტანო ეს ქირა. ვარ პროფკავშირის წევრი (წიგნ. № 1283) ვმუშაობ თამ. ქარხანაში. ჯამაგირს ვღებულობ 45 მ. თვეში.

თამ. ქარ. მუშა ვ. თებზაძე.

### პასუხი:

ბინის ქირად თვიურად იხდით თვითოეულ კვადრატიულ არშინზე სამ კაპეიკს. თუ სახლის პატრონი ამ კანონიერ ქირას არ მიიღებს, დაისწარით მოწმეები და ფული შეიტანეთ ტფილისის ხაზინაში იუსტიციის სახ. კომისარის ანგარიშში.

### კითხვა:

მე ვცხოვრობ მეორე სამილიციო უბანში, კანონის შესახვევში, სახლი № 2-ში, მიჭირავს ერთი ოთახი, სივრცით 16 კვადრატიული არშინი. ის ოთახი მომაქირავა ერთმა ვაჭარმა მდგურმა. სამზარეულო იყო საზიარო. თვეში—5 მან. 24 წლ. დეკემბრიდან მივეცი ქირა 4 თვის ერთად 20 მანეთი. მას შემდეგ მე ვეღარ შევძელ ამ ქირის მიცემა და მან გამომიყარა სამზარეულოდან ნივთები ეზოში და აღარც სამზარეულოში მიშვებს და არც ეზოში. ისინი არიან 2 სული; უჭირავთ ორი ოთახი სამზარეულოთი და ის არის ვაჭარი; მე ვმსახურობ ქალაქ ტფილისის ლომბარდში დარაჯის თანამდებობაზე; ჯამაგირს ვიღებ მე-6 ხარისხით 30 მან. ჩემს ჯამაგირით ვინახავ 3 სულს: ცოლს, შვილს და დედას. ვარ კავშირის წევრი და დაზღვეული.

გთხოვთ მომცეთ რჩევა-დარიგება, თუ როგორ მოვიქცე ან რამდენი ვიხადო ოთახის ქირა თვეში და ვის მივცე.

პროფკავშირის წევრი (წიგნაკი № 9071).

### პასუხი

თვიურათ ბინის ქირათ იხდით ექვს შაურს და ორ კაპ. (32 კაპ.). თუ სახლის პატრონი ამ კანონიერ ქირას არ მიიღებს, დაისწარით მოწმეები და ეს ფული შეიტანეთ ტფილისის ხაზინაში იუსტიციის სახალ. კომისარის დეპოზიტში.

## როგორ უნდა გადვიხადოთ წყალის ფული

### კითხვა

მე მყავს სტუდენტი შვილები, რომლებიც სრული წლოვანობის გამო ჩემს დასაზღვევ წიგნაკში არ არიან შეტანილი, მაგრამ ცხოვრობენ ჩემთან, იმყოფებიან სრულ ჩემს მზრუნველობაზე და არსად არ მსახურობენ. წყლის კომისია მათ ხვედრ წყალის გადასახადში არავითარ შეღავათს არ მაძლევს და მახდევინებს სპეკულიანტებთან თანასწორად. მე მაქვს მცირე ჯამაგირი და მხოლოდ ამ ჯამაგირით ვინახავ შვიდ სულს.

ვარ განათლების მუშაკთა კავშირის წევრი (წიგ. № 4069).

რამდენი უნდა გადავიხადოთ წყლის ფული.

ძველი მასწავლებელი.

### პასუხი

თითოეულ ოჯახის წევრზე, ვინც თქვენ კმაყოფაზე იმყოფება, თითოეულ ვედრო წყალზე თქვენ გადაგეხდებათ კაპეიკის ერთი მეოთხედი.

## წერილი რედაქციის მიმართ

**ამხ. რედაქტორო!** ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით სამედიატორო სასამართლოში გამოვიწვიო ჩემი ძმა რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშა **მიხეილ წერეთელაშვილი**, რომელიც დიდიდან ჩვენი გაყრისა მოსვენებას არ მაძლევს და უკმაყოფილოა ჩვენი ქონების გაყოფისა. შეიძლება ამ უკმაყოფილებამ უბედურ შემთხვევამდისაც კი მიგვიყვანოს. ამის ნიშნებს უკვე ვხედავ.

მე ჩემის მხრივ ვასახელებ ჩემ მედიატორებად რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშებს—**არსენ ხაფავას, კოლია ნიჩუგოვსკის** და **ელიზბარ მოჭინაძეს**. მანაც დაასახელოს მედიატორები. ვადას ვაძლევ სამ დღეს დღიდან ამის გაზეთებში გამოქვეყნებისა.

მუშა იოსებ წერეთელაშვილი.

ამხ. რედაქტორო!

1917 წლიდან მე ვითვლებოდი მენშევიკურ პარტიის წევრათ. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, სამი წლის ბრძოლამ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბოლოოდ დამარწმუნა, რომ მენშევიკურ პარტიის საქმე უშინაარსო და უპერსპექტივოა. ამიტომ ერთხელ და სამუდამოთ ვტოვებ ამ ყალბი გზით სიარულს და ვდგები საბჭოთა პლატფორმაზე.

გ. ქურასხედიანი.

ლეჩხუმი, ცაგერი.

## პარტიული და საბჭოთა კალენდარი

### პარტიული

— ორშაბათს, 5 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საქ. კომპარტიის ცეკას სააგიტ.-საპროპ. განყ. შესდგება თათბირი ა. ლ. კომკავშირის ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. აუცილებელია შემდეგი ამხანაგების დასწრება:

კანდელაკი დ.
ორახელაშვილი მარია) გან. სახ. კომ.
ვირაპი — ) სახელგამი
დარახველიძე
დ. კეკელია
მიგრაშვილი
ტაბიძე
ლ. ა. კ. კ. ც. კ.

პაპავა, ასრიბეკოვ (ტ. კ.); კიკნაძე („კომუნისტ“-ის რედ.).

განყ. მდივანი: ბარათაშვილი.

---

— საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტ--საპროპაგ. განყოფილება წინადადებას აძლევს კომპარტიის და კომკავშირის ყველა იმ წევრებს და კანდიდატებს, რომლებიც მივლინებულნი არიან წელს სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში, გამოცხადდენ ტფილისის კომიტეტში სამშაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე.

---

— საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი წინადადებას აძლევს ამხ. ჭელიძეს დემენტის და კიპრიზოვ მიხეილს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ მე-3 რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. მდინარაძესთან,

---

— საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის ტფილისის კომიტეტი აუწყებს საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრებს, რომ ორშაბათს, 5 ოქტომბერს, დღის 1 საათზე, გაიმართება საქ. ახალგ. კომკავშირის ტფილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა. ყველა წევრთა და შემდეგ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლათ.

1. სერგეევი, 2. დავტიანი, 3. თავდიშვილი, 4. საკუნიან, 5. შახდინაროვი, 6. პოლოსოვი, 7. ანტონოვი, 8. კისტაური, 9. დავიდოვი, 10. მჭედლიშვილი, 11. გეორქოვი, 12. ბოდჯიევი ალი, 13. სახანბერიძე, 14. ტაგიევი რ., 15. ოქრომჭირიძე.

კომკავშირის ტფილისის კომიტეტის საორგან. განყოფ. გამგე

ბეგეჭკორი.

---

— საქ. კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ორსენალის რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 6 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის ბინაზე გაიმართება ორსენალის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

ყველა წევრთა და კანდიდატთა და აგრეთვე ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლად.

### კანდიდატების გადარიცხვა პარტიის წევრებათ

1. არჩვაძე ვალენტინ ი., 2. არხიპოვი ლავრენტი ე., 3. ბაბუსიძე ივანე გ., 4. ბიბილეიშვილი კონსტანტინე ს., 5. ბეზრუკოვი ივანე გ., 6. ბაქაროვი სარქის ა., 7. ვანეციან ოგანეს ა., 8. გერმისაშვილი ივანე ა., 9. გვაზავა ნესტორ ი., 10. გოლბა ეკატერინე ლ., 11. გრიგორიან სურენ ი., 12. ჯავახიშვილი ბალიკო ლ., 13. ჯებეიან მარტიროს ლ. 14. კობატელიძე გიორგი ნ., 15. ქურდოვანიძე ელენა ბ., 16. ლიბერმან მარიამ ბ., 17 მიკირტუმოვი ლევან ე., 18. მხიტარიან აბრამ გ., 19. ნაზაროვი კარაპეტი ბ., 20. ორკოშნელი სერგი ბ., 21. ფსუტური დავით გ., 22. პოპოვი თედორე პ., 23. სხირტლაძე ალექსანდრე ი., 24. სხირელი ალექსი გ., 25. სივიაკ სტანისლავ არ. 26. ტეპნაძე მიხეილ ი. 27. ტერ-გრიგუროვი ვართან ი., 28. ურუშანიან ერვანდ ა., 29. ჩაჩანიძე ივანე ს., 30. ჭანდიშვილი ანტონ გ., 31. ხმიადაშვილი იოსებ პ., 32. შიოიან ამაიაკ ს. 33. ზამკოვოი ვასილ არ., 34. ბუხრაშვილი გრიგოლ ნ.

მდივნის მოადგილე—წითლიძე.

---

### პროფესიული

— საბჭოთა მუშაკების კავშირის წევრთა ხელახალი აღრიცხვა 5 | 10-დან, ორშაბათიდან, იწარმოებს დილით 9—3 ნახ. საათამდე და საღამოობით 5—9 საათამდე შემდეგი წესით:

5—10 გამოცხადდებიან ისინი, რომელთა გვარებიც იწყება ასოებით ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, თ, ი, კ, ლ, მ, 10—16 დანარჩენნი. 16—18 საღამოობით არა სტიპენდიანტები—მოსწავლენი, კოლექტივებში საზოგადოებრივ სამუშაობზე მყოფნი და დროებით მომუშავენი 3 თვემდე.

# განცხადებები

ნინო ექვთიმეს ასული მამულაიშვილისა, [illegible] ასლი გუნცაძისა, ტერეზა ექვთიმეს ასული [illegible] -ასილი მამულაიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ [illegible] ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ა | წ. 3 ოქტომბერს ღამის 8 საათზე გარდაიცვალა პირველი სამის საყვარელი დედა და მეოთხეს ბებია

**ეკატერინე თავისის ასული ხელაძისა**

პანაშვიდები ყოველდღე სად. 6 ს. საკუთარ ბინაზე იზმაილ. შესახ. № 7, დაკრძალვა ნიკოლოზ. სასაფ. სამშაბათს, 6 ოქტ. ნაშუადღევის 4 საათზე. 1—1 ნ. № 53.

---

ბიძები—არტემ გიორგის ძე და იოსებ გიორგის ძე ედიბერიძეები, მეუღლით—მარიამ შიოს ასული, შვილები—გიორგი და ალექსანდრე, რძალი—ანა აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა | წ. ოქტომბრის 1-ს, დღის 12 საათზე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა პირველის დისწული, მეორის მულისწული, ხოლო დანარჩენების კი დაუვიწყარი მამიდაშვილი

**არჩილა ბაბაკიშვილი**

გამოსვენება მოხდება კვირას, ოქტომბრის 4-ს, დღის 12 საათზე. ამაღლების ქუჩა № 20. ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 34. 1—1.

---

მეუღლე—ეკატერინე, შვილები: ერმალოზი, ილარიონი, ლეონტი და სამსონი, ქალიშვილები: მინადორა და სოფიო, რძლები: სერაფიმა, ანა და ნადია, სიძეები: გრიგოლ ხუროძე და იასონ კიწურეიშვილი და შვილიშვილები: შალვა, ზოია, ვახტანგი და ოთარი ერმალოზის ძენი, ნანუ გრიგოლის ასული და ბიჭუნა იასონის ძე, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 5 ოქტომბერს, დილის 11 საათზე გადახდილი იქნება საყვარელი და დაუვიწყარი

**საბა სიმონის ძე ჯობავას**

გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების თავზე წირვა და პანაშვიდი სოფ. ნატოჩაოს (ქ. ახალ-სენაკის ახლო) წმ. გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე. 35. 1—1.

---

ალ. სალარიძე მეუღლით და შვილებით მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ნათესავებს და მეგობრებს, რომ ა | წ. ოქტომბრის 1-ს, დღის 12 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა და მეგობარი

**არჩილა ბაბაკიშვილი**

გამოსვენება მოხდება კვირას, ოქტომბრის 4-ს დღის 12 საათზე, საკუთარი ბინიდან, ამაღლების ქუჩა № 20 ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 20—2—2

---

მარიამ გიორგის ასული სალარიძისა, ევგენია მალჩევსკაია და ალექსანდრა ბაბაკიშვილი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ა | წ. ოქტომბრის, 1-ს დღის 12 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა პირველის—ძვირფასი შვილი, მეორის საყვარელი ქმარი, ხოლო მესამის დაუვიწყარი ძმა

**არჩილა ბაბაკიშვილი**

გამოსვენება მოხდება კვირას, ოქტომბრის 4-ს, დღის 12 საათზე, საკუთარ ბინიდან ამაღლების ქუჩა № 20, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე 20—2—2

---

გულდამწვარი ჭირისუფლები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ რომ კვირას, 4 ოქტომბერს, მათთვის დაუვიწყარი

**სერგო ვარდენ ქაიხოსროს ძე ჯაფარიძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. 12—2—2

---

**გაზ. „კომუნისტი“**

ხელისმომწერთა საყურადღებოდ ცხადდება შემდეგი:

1. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიაში** სახელი, გვარი და მისამართი ხელისმომწერისა აუცილებლივ გარკვევით და სწორად უნდა იყოს აღნიშნული.
2. **ყოველგვარი ცნობების მისაღებად** (გაზეთის მიუღებლობა, დაგვიანება და სხვა) უთუოდ მთავარ კანტორას უნდა წარუდგინოს ქვითარი, ან ეცნობოს ამ უკანასკნელის №,
3. **კოლექტიურ ხელისმომწერთა სიები** აუცილებლივ წარმოედგინოს მთავარ კანტორას თავის დროზე (ყოველთვის 25—29 რიცხვამდე), ადგილობრივ ორგანიზაციის მიერ შემოწმებული.
4. **გაზეთების გამოწერის დროს** აუცილებლივ გადახდილი უნდა იქნას წარსული წლის ვალი მთლიანად.
5. **კონტრაგენტებისა და პროვინციის ხელისმომწერთა მიერ გაზეთების დაქვეთა** უნდა ხდებოდეს თვის დამლევამდე, აუცილებლივ მთავარ კანტორის ხვედრი ფულის გადმოგზავნით.
6. **გაზეთის მიუღებლობის შესახებ** უნდა ეცნობოს მთავარ კანტორას დაუყოვნებლივ და არა თვის ბოლოს, რასაც ხშირად აქვს ადგილი.

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

---

**საქართველოს გზატკეცილების სამმართველო**

აცხადებს, რომ 8 ამა ოქტომბერს, 12 საათზე, სამმართველოს ბინაზე, სერგიევის ქ. № 12, შესდგება

**ზეპირი ვაჭრობა**

**სპეც-ტანსაცმელის დამზადებისათვის**

ცნობების მიღება შეიძლება სამმართველოს სამეურ. ნაწილში ყოველდღე 9—3 ს.

ნ. 1802 2—1.

---

**ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო**

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, ა | წ. 6 ოქტომბერს,

**ქ. ხაშურში**

**გაიხსნა მიწერილი სალარო**

რომელიც აწარმოებს შემოსავალ-გასავლის ყოველგვარ

**ოპერაციებს**

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის მოადგილე ი. ფანცხავა.

ნ. 1803 1—1 საქმეთა მმართველი გ. ჯაფარიძე.

ჟურნალი **ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ** ჟურნალი

ᲡᲐᲥ. ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲐ 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

## „ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐ“

ᲯᲣᲠᲜᲐᲚ „ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲘᲬᲧᲔᲑᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐᲡ 15 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

**მასალები უნდა გადმოიგზავნოს რედაქციის სახელზე.**

**რედაქცია ღიაა:** დილის 10 ს.—3 ს. და საღ. 5 ს.—7 ს.

**რედაქციის ბინა:** პროფკავშირების სახლი, ოთახი № 54.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲯᲣᲠᲜᲐᲚᲖᲔ ᲡᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ

ჟურნალის რედაქციიდან: 1) ევალებათ კავშირების ადგილკომებს როგორც თბილისში, ისე პროვინციაში მოაწყონ ჟურნალის გავრცელების საქმე; 2) ყველა მუშათა კლუბების სამხატვრო წრეებს—გამოჰყონ კორესპონდენტები და იქონიონ ჟურნალთან მჭიდრო კავშირი; 3) ადგილობრივ აგენტებს წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ გაასწორონ ანგარიშები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალი არ გაეგზავნებათ და პასუხისგებაში მიეცემიან.

ნის. 1801. 1—1

---

ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲮᲚᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

## ᲙᲘᲜᲝ-ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲠᲝᲚᲔᲑᲨᲘ:
ქ. ჯაში.
მ. ტენაზი.
ზ. ნევინსკაია.
ა. ხორავა.
ნ. სანოვი.

## ᲨᲣᲥᲣᲠᲐᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ

მხატვრული დრამა
7
ნაწილად

ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ: ᲕᲚ. ᲑᲐᲠᲡᲙᲘ

ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘ:
Ა. ᲞᲝᲚᲘᲙᲔᲕᲘᲩᲘ

ბ. 1804

---

### Ქ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-2 ᲠᲐᲘᲝᲜ. ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ

**დ. ს. სვიატოდუხოვი** ამით აცხადებს, რომ ის 8 ოქტომბერს 1925 წ., დღის 1 საათზე, სახლში № 15 ლეთხაინის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის დავით დანიელოვის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილობას, შეფასებულს 285 მანეთად, **[illegible]** დასაკმაყოფილებლად, თანახმად ალმ. საქ. ოლქ. სასამ. სახალხო სასამართლოსაგან 15 სექტ. 1925 წ. თარიღით, № 22788 გაცემულ [illegible] ფურცლისა.

46. 1—1.

### Ქ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔ-2 ᲠᲐᲘᲝᲜ. ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲘ Ა. Ა. ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ

ამით აცხადებს, რომ ის 9 ოქტომბერს 1925 წ., დღის 12 საათზე, სახლში № 11 ლერმონტოვის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის **ალფრედ ბლიუმბერგის** მოძრავ ქონებას, შრედერის როიალს, შეფასებულს 160 მანეთად, **ვლადიმერ ეივაზოვის** ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ტფილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 29 სექტემბრ. 1925 წ. თარიღით, № 3442 ალმასრულებელ ფურცლისა.

41. 1—1.

### ᲒᲐᲠᲔᲣᲑᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗ. ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔ. Ქ. ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐ

აცხადებს, რომ ის 9 ოქტომბერს 1925 წ., საათის 2 დღისა, საგურამოს ქ. № 19. მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის **ალექსანდრე შამციევის** უძრავ ქონებას—ორსართულიან აგურის სახლს, დაგირავებულს ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოსათვის უზრუნველსაყოფად სამმართველოს წინაშე **სტეფანე ბალდასაროვის** ვალისა შეფასებულს 4500 მან. დასაკმაყოფილებლად ც. **სავაჭრო სამმართველოსი.** ვაჭრობა დაიწყება თავისუფალი ფასიდან, ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ.

51. 1—1.

### ᲒᲐᲠᲔ-ᲣᲑᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗ. ᲐᲚᲛᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑ. Ქ. ᲝᲓᲘᲨᲐᲠᲘᲐ

აცხადებს, რომ ის 8 ოქტომბერს 1925 წ., საათის 1 დღისა, იზმაილოვის ქ. № 16 საჯარო ვაჭრობით გაყიდის **გრიგოლ გეგეჭკორის** მოძრავ ქონებას—კედლის საათს, ტრიუმოს და ბუფეტის კანადას, შეფასებულს 570 მან. დასაკმაყოფილებლად **ალმშენებელთა კავშირისა.** ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

38. 1—1.

---

## ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“-Ს ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ

ამით აცხადებენ ყველა იმ პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებსაც მოტანილი აქვთ ჩვენთან წიგნები და ჟურნალები გასავრცელებლად, გამოცხადდენ საანგარიშო წლის დასრულების გამო კანტორაში 15 ოქტომბრამდე ანგარიშების გასასწორებლად. ვინც აღნიშნულ ვადამდე არ გამოცხადდება, კანტორა მათთან ჩასთვლის ანგარიშს გასწორებულად და ამის შემდეგ აღარავითარ პრეტენზიებს არ მიიღებს.

5—5 **კანტორა.**

---

### ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ამით აცხადებს კავშირის უმუშევარ წევრთა საყურადღებოდ, რომ მიმდინარე 1925 წლის 5 ოქტომბრიდან დაიწყება

## ᲣᲛᲣᲨᲔᲕᲐᲠᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ

და გაგრძელდება ამავე თვის 30-დე. ამიტომ ევალება ზემოხსენებულ კავშირის ყველა უმუშევრებს გატარდენ აღრიცხვაში 30 ოქტომბრამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში მექანიკურად გამოირიცხებიან კავშირის წევრობიდან

45 1—1 **ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ**

---

ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗ. „ᲐᲕᲘᲐᲥᲘᲛᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ

ა/წ. 30 სექტემბრის თარიღით, ოქმი № 17, **დადგენილებისა**

## „ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ“

**ბილეთების გაყიდვა საქართველოს ყველა ადგილებში სწყდება მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრიდან.**

რაც შეეხება ლატარიის გათამაშებას, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გარეშე, (IV ტირაჟი მოგებისა) და გათამაშების ტეხნიკურ მხარეების სათანადოთ მოწყობის მიზნით—გადადებულია ა/წ. 25 დეკემბრისათვის. გათამაშების ვადა არის უკანასკნელი.

50 1—1 **საქართველოს „ავიაქიმის“ პრეზიდიუმი.**

---

### Ქ. ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲗᲐ ᲛᲝᲛᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

## Ე.Მ.Ს.Ი.

ამით აცხადებს ყველა აბონენტების საყურადღებოთ, რომ ტეხნიკურ დამაბრკოლებელ მიზეზების გამო დახარჯულ ელენერგიის ანგარიშების განაღდების ახალ სისტემაზე გადასვლა **გადადებულია** ამაზე გაზეთებში განსაკუთრებულ განცხადებამდე ამის გამო ე.მ.ს.ი მოაგონებს აბონენტებს, რომ დახარჯულ ელენერგიის ფული უნდა შემოიტანონ ემს-ის სალაროში ა/წ. 10 ოქტომბრამდე. აბონენტებს, რომლებიც აღნიშნულ ვადამდე არ შემოიტანენ ელენერგიის საფასურს, შეუწყდებათ ელენერგიის მიწოდება.

ელექტრონთა მომწესრიგებელი სამმართველოს გამგე **გოგინაშვილი.**

ბ. 1805 1—1

---



ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ
მუსიკალურ ტრესტის
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐ
**(МУЗПРЕД)**

ᲐᲛᲘᲗ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲘᲓᲫᲐᲚᲘ

## ᲒᲠᲐᲛᲐᲤᲝᲜᲘᲡ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲔᲑᲘ

მსოფლიო რევოლიუციის ბელადების: ამხ. ამხ. ლენინის, ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის, კლ. ცეტკინის და ბუხარინის სიტყვები და სხვა ორივე მხარეზე.

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲓᲐ 20 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘ.

ᲒᲠᲐᲛᲐᲤᲝᲜᲔᲑᲘ —
ნაწილ-ნაწილ გადახდით

ბ. 1690 3—3 **„მუზპრედ“**

---

ᲐᲛᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ

## ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ

რომ იმ პირებმა და დაწესებულებებმა, რომლებმაც წარსული საანგარიშო წლის განმავლობაში, ე. ი. 30 სექტემბრამდე, წაიღეს ნებართვები მიმღებ რადიო-სადგურის დასადგმელად, ა/წ. 31 ოქტომბრამდე უნდა გაატარონ ხელახალ რეგისტრაციაში თავიანთი სადგურები და შეიტანონ ახალი საბიუჯეტო წლისათვის ა/წ. 1 ოქტომბრიდან 1926 წლის 1 ოქტომბრამდე სააბონიმენტო გადასახადი.

ყველა მოქალაქეები, დაწესებულებები, ორგანიზაციები და წარმოებები, რომლებსაც დღემდე არ გაუტარებიათ რეგისტრაციაში მიმღები რადიო-სადგურები, ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მოახდინონ ასეთების რეგისტრაცია. ამასთანავე ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველო იძლევა გაფრთხილებას, რომ თუ ამიერ-კავკასიის საოლქო სახალხო კავშირის ტეხნიკურმა კონტროლიორებმა აღმოაჩინეს არალეგალური რადიოსადგურები, უკანასკნელი კანონის ძალით ჩამორთმეული იქნება კონფისკაციის წესით, ხოლო მათი მეპატრონეები ან გამგეები მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში სათანადო მუხლების ძალით.

რეგისტრაცია სწარმოებს თბილისში საოლქო კავშირის სამმართველოში, რუსთაველის პროსპ. № 43, ოთახი 21 რადიო; ბაქოში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში, დანარჩენ ქალაქებში ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის
რწმუნებულის მოადგილე—**ჭამარაული**
რადიო-ტელეგრაფის ინსპექტორი—**ფლეიშერი**

2—2

---

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲣᲠᲘ

## ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ

1. ფიზიკომატემატიკა პროფ. **ა. რაზმაძე და რ. ხუციშვილი.**
2. ქიმია თეორიული და გამოყენებითი—პროფ. **პ. მელიქიშვილი და** პროფ. **ი. ქუთათელაძე**
3. ბუნებისმეტყველება 1—პროფ. **ალ. თვალჭრელიძე** და დოც. **ალ. ჯანელიძე.**
4. ბუნებისმეტყველება 2—პროფ. **ალ. ნათიშვილი.**
5. აგრონომია—დოც. **კ. ამირეჯიბი** და დოც. **ნ. იოსელიანი.**
6. სამკურნალო მეცნიერება—პროფ. **სვ. ამირეჯიბი.**
7. ფილოსოფია—პროფ. **შ. ნუცუბიძე** და პროფ. **დ. უზნაძე.**
8. ენათმეცნიერება—პროფ. **გ. ახვლედიანი.**
9. ქართული ენათმეცნიერება (მეგრული, ზანური, აფხაზური, ჩერქეზული და სხ.)—პროფ. **აკ. შანიძე.**
10. ისტორია—პროფ. **ივ. ჯავახიშვილი.**
11. ხელოვნება—პროფ. **გ. ჩუბინაშვილი.**
12. მხატვრული მწერლობა—პროფ. **გრ. წერეთელი** და პროფ. **კორ. კეკელიძე**
13. სწავლა განათლება—პროფ. **გ. უზნაძე.**
14. ეკონომიური ფინანსიური მეცნიერებანი—პროფ. **ფ. გოგიჩაიშვილი და ლ. თოფურიძე.**
15. სახალხო მეურნეობა—**ლ. თოფურიძე, ბიკ. თევზაია** და **ერ. წივწივაძე.**
16. იურიდიული მეცნიერებანი—დოც. **ლ. ანდრონიკაშვილი, ირ. ტატიშვილი, პ. საყვარელიძე**
17. სოციოლოგია, სოციალიზმი და სოციალური მოძრაობა—**ს. დევდარიანი**

ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი საუკეთესო სამეცნიერო ძალები და ლიტერატორები. თანამშრომლებათ მოწვეულნი არიან აგრეთვე საბჭოთა კავშირის და უცხოეთის მეცნიერები. ლექსიკონი **გამოვა 20 წიგნათ, 4 წლის განმავლობაში.** წიგნი იქნება დიდი ფორმატისა და 300 გვერდიანი. ლექსიკონს დართული ექნება მრავალი ფერადებიანი სურათები, ტაბულები და რუკები.

მთელი ლექსიკონი ხელის მოწერით ეღირება **72 მან.** წინასწარი ხელის მოწერა სწარმოებს შემდეგი პირობებით: ხელისმომწერლებმა ყოველთვიურად უნდა **ხადონ 1—50 კ. დაწყებული 1-ლ ოქტომბრიდან 1925 წლ.;** გამოსვლის შემდეგ წიგნი,

**ეღირება 140 მან. (ხელისმოწერა უკვე დაიწყო.)**

ხელისმოწერა მიიღება შემდეგ ადგილებში:

1. **ტფილისში** მთავარი კანტორა გიორგის ქუჩა № 1.
2. ოლღას ქ. № 6 წიგნის მაღ. „განათლება“—**ს. თავართქილაძესთან.**
3. სასახლის ქუჩა № 5 წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში—**ვასო ედილაშვილთან**
4. ოლღას ქ. № 3 პოლიტ-კატორღელების წიგნის მაღაზიაში **ვანო სინაურიძესთან.**

ყოველგვარ ცნობებისათვის მიმართეთ მხოლოდ მთავარ კანტორას. აგენტებს საქვითარო წიგნაკები და მანდატები მიეცემათ მხოლოდ მთავარ კანტორიდან გამომცემელ **დიომიდე თოფურიძის** და კანტორის გამგე **ნიკიფორე ლომთათიძის** ხელისმოწერით და გამომცემლობის ბეჭდვის დასმით, გარეშე ამისა არც ერთი ქვითარი მიღებული არ იქნება, ფოსტით ხელისმომწერლებმა ფული, თავის მისამართი, სახელი და გვარი უნდა გამოგზავნონ მხოლოდ შემდეგი მისამართით: ტფილისი, გიორგის ქუჩა № 1 ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონის კანტორა.

საჭიროა ენციკლოპედიის გამავრცელებლები: ქუთაისში, ბათომში, ფოთში, სოხუმში, ახალ-სენაკში, ზუგდიდში, შორაპანში, ჭიათურაში, ხონში, სამტრედიაში, რაჭაში, ლეჩხუმში, სვანეთში, ყვირილაში, ოზურგეთში, ქობულეთში, გორში, თელავში, სიღნაღში, დუშეთში, ახალქალაქში, ახალციხეში, ნავთლუღში, ბაქოში, ცხინვალში, კავკავში, მოსკოვში და ყველა მთავარ პუნქტებში.

მსურველებმა უნდა მოგვმართონ მთავარ კანტორაში.

ყოველწლიურად გამოვა 5 წიგნი.

გამომცემლობა დარწმუნებულია, რომ **„ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი“** მეტად მნიშვნელოვანი საქმეა ქართველი **საზოგადოებისათვის** და ამიტომ ვიმედოვნებთ ყველა განსაკუთრებული ყურადღებით შეჰხვდება ამ გამოცემას და ხელს შეუწყობს მის წარმატებით დასრულებას.

გამომცემლობ. პასუხისმგებელი ხელმძღვანელი: **დიომიდე თოფურიძე**

ბ. 1793—2—2

---

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ

## ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲡᲐ

5 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲑᲘᲜᲐᲖᲔ

**პლეხანოვის პროსპ. № 6.**

შემნახველი კასა იღებს ანაბარებს და მიმდინარე ანგარიშებს, რომლებშიაც იძლევა 8—9 პროც.
გარდა ამისა აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:
ფულების გადაგზავნას საბჭოთა კავშირის ყველა ადგილებში,
ობლიგაციების მიღებას შესანახად,
სესხის გაცემას ობლიგაციების საწინდრის სახით,
აკრედიტივების გაცემა, რომლითაც ყოველ შემნახველ კასაში შეიძლება მიღება მთლიანად ან ნაწილობრივ იმ თანხის, რომელიც აღნუსხულია აკრედიტივებში, საფოსტო და სალერბო მარკების, სათამასუქო ბლანკების, სახელმწიფო სესხების ობლიგაციების და სხვ. გაყიდვა.

ბ. 1783 2—2

---

ᲛᲝᲬᲐᲤᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

## Ფ. Ი. ᲛᲘᲮᲐᲚᲔᲕᲡᲙᲘᲡ

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10-ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

14—6

---

**ელექტრონით და სინათლით**

## ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ᲡᲐᲬᲝᲚᲔᲑᲘᲗ ᲠᲔᲜᲢᲒᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲡᲝᲜᲕᲐᲚᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ

ნერვიულ და აგრეთვე ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

---

### ᲔᲥ. Ე. Მ. ᲛᲥᲘᲜᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲘᲤᲘᲚᲘᲡᲘ, ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲘᲡ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

**დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.** დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

### ᲔᲥᲘᲛᲘ Ი. Ი. ᲒᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

**ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.** დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ.
(ასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

25—23

### ᲔᲥᲘᲛᲘ Ვ. Ნ. ᲩᲣᲞᲠᲘᲜᲘᲜᲘ

**ბავშვთა და შინაგანი სნეულებანი.** ავადმყოფთა მიღება დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ. № 87.

13—1

### ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ ᲜᲔᲕᲠᲝᲞᲐᲗᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡᲐ ᲡᲕᲘᲛᲝᲜ ᲧᲘᲤᲨᲘᲫᲔ

დაბრუნდა უცხოეთიდან და დაიწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

### ᲔᲥᲘᲛᲘ Ი. Დ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲫᲔ

**ალიხანის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.**
**იღებს ავადმყოფებს**
შინაგანი, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოთა ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

### ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Მ. ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲕᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

**დაბრუნდა ტფილისში**

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ყ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

---

### ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ Ფ. Თ. ᲠᲐᲢᲘᲐᲜ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ

**კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 სათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).**

25—20

### Ე. Ქ. Ნ. Პ. ᲤᲐᲚᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ

**დაბრუნდა და განაახლა** მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შარდის ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ტლეკზე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადათ საღ. 5—7

ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10.

2511 1—1

### ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Ნ. ᲛᲐᲒᲐᲙᲘᲐᲜᲘ

**შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.**
**მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.**

25—21

### ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ Ა. Ა. ᲛᲝᲜᲡᲔ

**დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.**
მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.
კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).

25—1

### ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Გ. Მ. ᲛᲣᲮᲐᲫᲔ

**დაბრუნდა და განაახლა** ავადმყოფების მიღება.
პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58.

13—1

### ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Გ. ᲛᲔᲒᲠᲐᲑᲘᲐᲜᲪᲘ

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურნალო კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.
მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

### ᲔᲥᲘᲛᲘ ᲨᲣᲮᲛᲐᲜᲘ

**განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში**
საღამოს 6—8 საათამდე; ქალები. დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ)

1—12

### ᲔᲥᲘᲛᲘ Ე. Ი. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5-დან 7 საათ. დილით—7-დან 8 საათამდე.
მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის) ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნით (1 ფანი).

25—1

### ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Მ. ᲤᲮᲐᲚᲐᲫᲔ

**ᲙᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲜᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲜᲔᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ**

**(სიფილისი „606“—„914“)**

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეხო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

---

### ᲔᲥᲘᲛᲘ Გ. Ა. ᲚᲣᲙᲝᲕᲡᲙᲘ

**ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.**
მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.
საპიორის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან).

25—1

### ᲔᲥᲘᲛᲘ Ნ. Ა. ᲯᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘ

**შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.**
მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი.

25—1

### ᲔᲥᲘᲛᲘ Ზ. Ა. ᲗᲐᲠᲣᲛᲝᲕᲘ

**დაბრუნდა აბასთუმნიდან.**
ტრიბუნალის ქუჩა № 12.

31 13—1

### Შ. Გ ᲒᲐᲚᲣᲡᲢᲝᲕᲘ

დაბრუნდა და განაახლა შეკვეთების მიღება ქალთა ტანსაცმელისა ხელმისაწდომ ფასებში.
ფრეილინის ქუჩა № 7, მაღლა სართული.

6 1—1

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ

ᲛᲐᲠᲢᲝᲮᲔᲚᲐ
ᲮᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ
ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲚᲐᲓ.

ურეკომენდაციოთ ეთხოვეთ თავს ნუ შეიწუხებენ.
ოლღას ქ. № 6, ოთახი—1.

28 2—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** მეტრიკული მოწმობა № 2449 ილია მიხეილის ძე სვანის სახელზე. ჩ. გ.
37 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირადობის მოწმობა № 414226, პროფკავშირის წიგნაკი № 16183 და რემესის № 1849 ისაკ ზოსიმეს ძე ქაბზინაძის სახელზე. ჩ. გ.
36 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** საარიცხვო წიგნაკი № 162, პასპორტი № 103, სამხედრო ბილეთი, კავშირის წიგნაკი, დამზღვევ სალაროს წიგნაკი და სამხედრო დოკუმენტი № 17 ეგნატე ალექსის ძე პაპლენკას სახელზე. ჩ. გ.
39 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირადობის მოწმობა და მეტრიკული ამონაწერი ტასიკო პოლოსოვის ასულის ნერსესოვის სახელზე. ჩ. გ.
40 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** სამხედრო აღრიცხვის ფურცელი ფორმა № 4 და საყოველთაო სამხედრო-სწავლების წიგნაკი № 437 ვასილ ამბაკოს ძე ცეცხლაძის სახელზე. ჩ. გ.
42 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** სტუდენტის საწევრო წიგნაკი № 11 და სამხედრო საარიცხვო ბარათი № 145 რაფიელ ნესტორის ძე ელენტის სახელზე. ჩ. გ.
43 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირადობის მოწმობა № 190 ნესტორ კონსტანტინეს ძე დანელიას სახელზე. ჩ. გ.
44 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირადობის ნუსხა № 1631 ირაკლი ფარნაოზის ძე ხუბულავას სახელზე. ჩ. გ.
44 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 ანდრო ჯავახიშვილის სახელზე. ჩ. გ.
47 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირადობის მოწმობა გიორგი ბანძავას სახელზე. ჩ. გ.
48 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პროფკავშირის წიგნაკი № 8877 იასონ მეძელიძეს სახელზე. ჩ. გ.
21 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირადი წიგნაკი № 561 ალექსანდრე რემანოზის ძე ძაგნიძეს სახელზე. ჩ. გ.
33 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირადობის მოწმობა და აღრიცხვის ფურცელი ფილიმონ ბუჭუას ძე ჩიხლაძის სახელზე. ჩ. გ.
49 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** დაზღვევის წიგნაკი № 4724, სამხედრო აღრიცხვის ფურცელი პეტრე აბაშიძის სახელზე. ჩ. გ.
32 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** ზესტაფონის ცხრაწლედიდან გაცემული მოწმობ ნინა რობაქიძის სახელზე № 2325. ჩ. გ.
29 1—1

**ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ** პირველი უბნის სამხედრო მაგიდიდან მოცემული სამხედრო აღრიცხვის ბარათი, ვლადიმერ მალაქიას ძე გოროგბიანის სახელზე. ჩ. გ.

---

## ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

**შტაბის ქუჩა, № 4—6.**

## ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ:

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘ:
1. გომელაური ივ. „ქართველი მწერლები“ წ. მე-3 ფასი 1 მ.
2. კიკვაძე და ჭუმბურიძე „მეგობარი“ „ 1 მ.
3. პროფ. გეხტმანი, „საქართველო, აზერბეიჯანი, სომხეთი“ (ეკონომ. გეოგრ.) „ 1—40 კ.
4. იგივე რუსულად „ 1—50 კ.
5. ინწკირველი ამბრ. „ბუხჰალტერიის ზოგ. კურსი „ 2—50 კ.
6. გოგებაშვილი შ. „სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაცია და პრაქტიკა“ „ 2 მ.
7. ერქომაიშვილი ა. „კოოპ. თეორია და ისტორია“ „ 2—50 კ.

ᲐᲥᲕᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲑᲚᲐᲜᲙᲔᲑᲘ, ᲡᲐᲑᲣᲮᲒᲐᲚᲢᲠᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ, ᲡᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮ. ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ.

ბ. 18001—1

---

## Ა.-Კ.Ს.Ფ.Ს.Რ. ᲨᲘᲜᲐ-ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲙᲝᲛᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

**1925 Წ. ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ 30.**

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. აპრილის 2-ს დადგენილების № 13 („სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოთა მიერ—სავაჭრო წიგნების სავალდებულო შემოღების შესახებ“) შესასრულებლად, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველო წინადადებას აძლევს 1, 2, 3 და 4 ხარისხის სავაჭრო საწარმოებებს და 1, 2, 3, 4 და 5 ხარისხის სამრეწველო წარმოებებს—წარადგინონ რეგისტრაციისათვის მთავარი და საანგარიშო წიგნები მათ გახსნამდე. უკეთუ საწარმოოს უკვე გახსნილი აქვს ხსენებული წიგნები, ეს უკანასკნელნი წარდგენილ უნდა იქნენ რეგისტრაციისათვის ერთი თვის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი სავაჭრო სამრეწველო საწარმოონი ვალდებულნი არიან ხსენებული წიგნები რეგისტრაციისათვის წარადგინონ ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს სარეგისტრაციო განყოფილებაში, ხოლო აფხაზეთისა და აჭარისტანის საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე—კი—შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლობის სამმართველოში.

სარეგისტრაციოთ წარდგენილი წიგნები უნდა იქნეს დანომრილი და ზონარგაყრილი, მაგრამ ზონარის ბოლო ნაწილებზე არავითარი ბეჭედი არ უნდა იქნეს დაკრული.

საწარმოოთა ხელმძღვანელნი, რომელნიც დანიშნულ ვადაზე არ წარადგენენ წიგნებს რეგისტრაციისათვის, თანახმად ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს ზემოხსენებული დადგენილებისა, № 13, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი, თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მაგიერ **ბუკრეევი.**

1—1 ბ. 1806. სამმართველოს მდივანი **აბესაძე.**

ᲢᲘᲠᲐᲟᲘ—20.000

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს სახ. წულუკიძის ქუჩა № 4